EY Georgia LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი საქართველო
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

Building a better working world

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „თელიანი ველის" მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 30 მარტს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი,
შპს „იუაი საქართველოს" სახელით
თბილისი, საქართველო

29 ნოემბერი, 2018 წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „თელიანი ველის” მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 30 მარტს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი,
შპს „იუაი საქართველოს“ სახელით
თბილისი, საქართველო

29 ნოემბერი, 2018 წ.

მმართველობითი ანგარიშგება
სს „თელიანი ველი“

1. 2017 წლის შედეგების განხილვა

სს ,,თელიანმა ველმა“ (შემდგომში ჯგუფმა) ამონაგების სოლიდური ზრდა აჩვენა (წლიური 85%), რაც ძირითადად მიღწეული იქნა ლუდის წარმოების დაწყებით და შემდგომი რეალიზაციით ადგილობრივ ბაზარზე, დისტრიბუციის ბიზნესში ახალი პროდუქტების დამატებით და ადგილობრივ და მთავარ საექსპორტო ბაზრებზე ღვინის ბრენდის ცნობადობის ზრდით.

	2017	*2016*
შემოსავალი მზა პროდუქციის გაყიდვიდან	32,717	17,675
შემოსავალი გადაყიდვებიდან	22,258	12,118
	54,975	**29,793**

შემოსავალი საკუთარი წარმოების მზა პროდუქციის გაყიდვიდან მოიცავს შემოსავლებს საკუთარი წარმოების ღვინის, ლუდის, ჭაჭის, ცქრიალა ღვინის, ლიმონათისა და ბრენდის გაყიდვებიდან. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

	2017	*2016*
ღვინო	19,207	15,124
ლუდი	9,412	-
ცქრიალა ღვინო	1,742	1,978
ლიმონათი	1,457	-
ჭაჭა	595	524
ბრენდი	304	49
	32,717	**17,675**

ჯგუფი ახდენს სხვადასხვა სახის ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების იმპორტს და შემდეგ ყიდის მათ ქართულ ბაზარზე, მიღებული შემოსავალი პროდუქციის გაყიდვიდან პროდუქტის ტიპის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2017	*2016*
ლუდი	9,489	4,730
წვენი	3,794	2,315
არაყი	3,321	4,271
ცქრიალა ღვინო	2,811	-
ყავა	2,205	268
ვისკი	385	295
სხვა	236	129
ენერგეტიკული სასმელი	17	110
	22,258	**12,118**

რაც შეეხება სამომავლო განვითარებას, ჯგუფის ღვინოში ძირითადი მიზნებია:

- ადგილობრივ ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნება;
- მეტი ყურადღების გადატანა ჩინურ ბაზარზე;
- ბრენდის ცნობადობის გაზრდა რუსეთსა და პოლონეთში.

ჯგუფი, გარდა ღვინის და ლუდის ბიზნესისა, ფლობს ერთ-ერთ ყველაზე დიდ სადისტრიბუციო ქსელს საქართველოში და ახორციელებს როგორც საკუთარი პროდუქციის ასევე სხვა მომწოდებლების პროდუქციის სადისტრიბუციო სერვისს. ეწევა ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების დისტრიბუციას როგორებიცაა: ცქრიალა ღვინო - ბაგრატიონი 1882, ყავა - ლავაზა, წვენი - კამპა და გრანინი, არაყი - მედოფი და სობიესკი, ვისკი - მაკალანი და ცნობილი Grouse and Marie Brizard.

ჯგუფის დისტრიბუციის ბიზნესში ძირითადი მიზნებია:

- პროდუქციის პორტფელის გაზრდა;
- გახდეს წამყვანი FMCG დისტრიბუტორი საქართველოში.

ლუდის ბიზნესის მიზნები:

ჯგუფი მიზნად ისახავს 2018 წლისა და 2020 წლის ბოლოსთვის ლუდის წარმოების 15%-იანი და 25%-იანი საბაზრო წილის მოპოვებას, შესაბამისად, რისთვისაც აპირებს დისტრიბუციის ქსელის გაფართოებას და არხების გაუმჯობესებას, ახალი პროდუქტების გამოშვებას და მიზნობრივ მარკეტინგს. ჯგუფის ხელმძღვანელობა ასევე მოელის ადგილობრივი ლუდის და ლიმონათის ბრენდების ექსპორტს დსთ-ის ქვეყნებში.

ჯგუფის ფასს-ის მიხედვით 2017 წლის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება („ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება“) მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. შპს „იუაი საქართველომ“ 2018 წლის 30 მარტი ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით გამოუშვა აუდიტორული მოსაზრება, რომელიც პირობითი არ არის.

2. ღვინის და ლუდის წარმოების და დისტრიბუციის სექტორი

ღვინის წარმოებისა და დისტრიბუციის სექტორი

მიმოხილვა

საქართველოს მეღვინეობის 8,000 წლიანი ისტორია აქვს და აქ ყურძნის 500-ზე მეტი უნიკალური ჯიში ხარობს. ღვინის წარმოებისთვის ხელსაყრელი კლიმატისა და თავისი განედის (42° N პარალელი) წყალობით, საქართველო არ ჩამოუვარდება მეღვინეობით განთქმულ ზოგიერთ ქვეყანას - აშშ (კალიფორნია/ორეგონი), იტალია (ტოსკანა) და ესპანეთი (ლა-რიოხა). დღეისათვის კომერციული მიზნით მოჰყავთ ყურძნის 40 ადგილობრივი სახეობა. მათგან ყველაზე პოპულარულია საფერავი (წითელი) და რქაწითელი (თეთრი) - რომლებისგანაც იწარმოება საერთაშორისო ბაზარზე აღიარებული და მოთხოვნადი ქართული ღვინოები - ქინძმარაული, მუკუზანი და წინანდალი. ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში საქართველოში წარმოებული ღვინო ძირითადად რუსულენოვან ქვეყნებში გადიოდა ბაზარზე. ამის გამო ნახევრად ტკბილი ღვინოები, რომლებზეც საქართველოში დიდი მოთხოვნა არ არის, ქართული ღვინის ექსპორტის დაახლოებით ნახევარს შეადგენდა.

ქართული ღვინის ექსპორტ-იმპორტი

საქართველოში რეგისტრირებული მეღვინეები მეტწილად ექსპორტზე არიან ორიენტირებულები. 2015 წელს დაახლოებით 32 მილიონი ლიტრი ღვინო იყო წარმოებული, 2016 წელს წარმოება 41 მილიონ ლიტრამდე გაიზარდა. 2015 და 2016 წლებში ექსპორტმა საქართველოში წარმოებული ღვინის 86% და 90% შეადგინა. 2016 წელს ქართული ღვინის ექსპორტის დაახლოებით 81.5% ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე მოდიოდა. რუსეთი წარმოადგენდა ყოფილ საბჭოთა კავშირში ექსპორტის უდიდეს ნაწილს და მასზე 2016 წლის მთლიანი ექსპორტის 55% მოდიოდა. ჩინეთი ქართული ღვინის სიდიდით მესამე (მთლიანი ექსპორტის 10.63%) და ყველაზე სწრაფად მზარდი საექსპორტო ბაზარია (2015 წლიდან 2016 წლამდე ექსპორტი 98.3%-ით გაიზარდა) უკრაინის შემდეგ, რომელის წილი მთლიან ექსპორტში 11.6%-ია. ვინაიდან წარმოებული ღვინის 49.3%-ის ექსპორტი რუსეთში ხდება, ეს სფერო დიდად არის დამოკიდებული რუსული ბაზრის ტენდენციებზე.

საქართველოში იმპორტირებული ღვინის წილი ყოველთვის დაბალი იყო და ამ დინამიკის შეცვლა უახლოეს მომავალში არ არის მოსალოდნელი. საქსტატის მიხედვით, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს იმპორტირებული ღვინის ღირებულებამ 1.8 აშშ დოლარი შეადგინა.

საექსპორტო ფასწარმოქმნა

ქართული ღვინის ფასები იმ ქვეყნის შესაბამისად მერყეობს, რომელშიც ღვინის იმპორტი ხდება. ზოგადად, ქართული ღვინო შედარებით იაფია დსთ-ის/პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, რადგან აქ ტრანსპორტირების ხარჯი უფრო დაბალია და უპირატესობას მშრალ ან ნახევრად ტკბილ სუფრის ღვინებს ანიჭებენ. მომხმარებლებს შორის ცნობადობის და ხელმისაწვდომობის დონე მერყეობს, მაგრამ, ზოგადად, ქართული ღვინო დსთ-ის ბაზრებზე მასობრივი მოხმარების პროდუქტია, ხოლო ევროკავშირში, ჩრდილო ამერიკასა და აზიაში - პრემიუმ კლასის პროდუქტი, სადაც ძირითადად დაცული ადგილწარმოშობის დასახელების საფერავი და მშრალი თეთრი ღვინოები იყიდება. ევროკავშირის ქვეყნებში ქართულ ღვინოს, ახალზელანდიური და არგენტინული ღვინის მსგავსად, მაღალი ფასი აქვს. ავსტრალია, ჩილე, სამხრეთი აფრიკა და აშშ ევროპაში ღვინის მთავარი ექსპორტიორები არიან და, დაბალი საწარმოო თვითღირებულების გამო, განსაკუთრებით კონკურენტულები არიან დაბალი და საშუალო ფასის სეგმენტში.

პერსპექტივა და ზრდის ძირითადი ფაქტორები

საქართველოში ღვინის გაყიდვების ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორებია:

- *ჩამოსხმულ (ბოთლის) ღვინოზე მოთხოვნას ადგილობრივ ბაზარზე განაპირობებს ტურისტების მზარდი რაოდენობა და ადგილობრივი მომხმარებლების გემოვნების შეცვლა.* საქართველომ უკვე დაიმკვიდრა თავი, როგორც ტურისტულმა ქვეყანამ. საქართველოში ჩამომსვლელთა რაოდენობა 2012 წლიდან 2017 წლამდე 11.3% რთული წლიური ტემპით გაიზარდა. მთავრობა აპირებს საქართველოს ქცევას ყველასეზონური ტურიზმის ქვეყნად და ამისათვის გეგმავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შორის კავშირის გაუმჯობესებას. საქართველოში ჩამოსულ ტურისტებში ღვინის ტურები დიდი პოპულარობით სარგებლობს. როგორც მოსალოდნელია, ადგილობრივი მოთხოვნის ზრდას ქვეყნის შიდა მომხმარებლებიც განაპირობებენ, თუ ამავე ტემპით გააგრძელებენ საკუთარი ხელით დაწურული ღვინიდან ჩამოსხმულ (ბოთლის) ღვინოზე გადასვლას. ეს ტენდენცია კიდევ უფრო დაჩქარდება, რადგან ადგილობრივ მომხმარებელს ცხოვრების დატვირთული რიტმი აღარ აძლევს საკუთარი ღვინის დამზადების საშუალებას.

- *ექსპორტის ზრდის პოტენციალი.* ღვინის წარმოების სექტორი საქართველოს ეკონომიკის მომგებიანი ნაწილი ხდება. ღვინის ექსპორტის ღირებულება 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, 51.5%-ზე მეტით გაიზარდა და 165 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ღვინო მთლიანი ქართული ექსპორტის 6.1%-ს შეადგენს და სექტორი შემდგომი გაფართოების მნიშვნელოვან პოტენციალს ავლენს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ექსპორტის ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს, რადგან 2013 წელს, 2006 წლიდან საქართველოსთვის დაწესებული ემბარგოს შემდეგ, რესეთმა ისევ გაუხსნა ბაზარი ქართულ იმპორტს, და სხვა ბაზარებზე (მაგალითად, უკრაინა, ჩინეთი და ბალტიის ქვეყნები) მოთხოვნა კვლავაც მაღალია. 2013 წლიდან 2017 წლამდე ჩამოსხმული ღვინის ექსპორტი რუსეთში 20%-იანი წლიური რთული ტემპით გაიზარდა, ჩინეთში 70%-ით, პოლონეთში 20%-ით, ხოლო ესტონეთში 13%-ით. მზარდი მოთხოვნის გარდა, წარმოების გაზრდის დიდი პოტენციალი არსებობს მევენახეობის სპეციალისტების დახმარებით ვენახების ხელახლა გაშენებით და მოსავლის გაუმჯობესებით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2017 წლის 13 მაისს საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების შედეგად, ჩინეთის ბაზარზე 2018 წლის იანვარში ამ შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ გაყიდვები შეიძლება გაორმაგდეს.

- *გაზრდას განაპირობებს ღვინის საქართველოსთვის უნიკალური სახეობები.* წითელი ღვინის ნახევრად ტკბილ და საფერავის ჯიშის ყურძნისგან დამზადებულ, ასევე თეთრი ღვინის ქვევრში (თიხის ტრადიციულ კასრებში) დაყენებულ მშრალ სახეობებს მაღალი კომერციული პოტენციალი აქვს, რადგან ისინი საქართველოსთვის უნიკალურია და მოსალოდნელია მათი პოპულარობა ტურიზმისა და საექსპორტო ბაზრებზე მოთხოვნის ზრდის შედეგად. წითელი ღვინის ნახევრად ტკბილი სახეობები - ქინძმარაული და ხვანჭკარა 2017 წელს ღვინის მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 18%-ს შეადგენდა. ეს ღვინოები განსაკუთრებით პოპულარულია რუსულენოვან ქვეყნებში, რადგან საბჭოთა პერიოდშივე მოიკიდა ბაზარზე ფეხი. 2013 წლის დეკემბერში ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ქვევრის ღვინო, უძველესი კახური და იმერული მეღვინეობის ტრადიციების თანახმად, ტანინის მაღალ შემცველობას ინარჩუნებს და ბუნებრივ ანტიოქსიდანტად ითვლება.

კონკურენცია

2017 წელს ღვინის გაყიდვების დიდი ნაწილი ქართველ მწარმოებლებზე - თელიანზე და შპს „თელავის მარანზე“ მოდიოდა, დისტრიბუციის გამართული ქსელისა და ბრენდის ცნობადობის გამო. ბრენდის ცნობადობას ხელს ასევე უწყობდა პროდუქტების ხელმისაწვდომობა თანამედროვე საბაყლო მაღაზიებში. თელიანიც და თელავის მარანიც კონცენტრირებულები არიან ჩამოსხმული ღვინის ექსპორტზე გატანაზე, განსაკუთრებით რუსეთისა და უკრაინის ბაზრებზე.

საქართველოში გაყიდვების უდიდესი წილი ადგილობრივ მწარმოებლებზე მოდის. ყურძნის ჯიშების მრავალფეროვნება და მეღვინეობის დიდი ტრადიცია ქვეყანაში ღვინის საერთაშორისო მწარმოებლებისთვის ბაზარზე შემოსვლას ართულებს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩამოსხმული ღვინის გაყიდვების მიხედვით, თელიანს პრემიუმ კლასის სასტუმროების, რესტორნების, კაფეების და თანამედროვე ვაჭრობის სეგმენტის 35% ეკავა. შიდა მმართველობითი ინფორმაციის მიხედვით, თელიანის მთავარი კონკურენტებიდან, თელავის მარანს ბაზრის 25% ეკავა, ბადაგონს 20%, ხოლო თბილღვინოს 10%.

2017 წელს საცალო ვაჭრობის ობიექტებში გაყიდული ღვინის უმეტესობა საშუალოფასიანი იყო. ეკონომიური ღვინო ვერ უწევს კონკურენციას შინ დამზადებულ ღვინოს, რომელიც იაფად იყიდება, რადგან, უმეტეს შემთხვევაში, 1 ლიტრი ღვინის ფასი 3-4 ლარს არ აღემატება. საშუალო ფასის მქონე ღვინო ყველაზე პოპულარული საფასო სეგმენტია, რადგან შინ დამზადებული ღვინო მას სათანადო კონკურენციას ვერ უწევს. პრემიუმ კლასის პროდუქტები 2017 წელს არ იყო ფართოდ ხელმისაწვდომი, რადგან მოსახლეობის განკარგვადი შემოსავლის დონე საკმარის მოთხოვნას ვერ უზრუნველყოფდა. პრემიუმ კლასის ღვინის სეგმენტი საქართველოში სულ უფრო ვითარდება, რაც ღვინის ადგილობრივი მწარმოებლებისთვის გაყიდვების გაზრდის დამატებით შესაძლებლობებს ქმნის.

ლუდის წარმოებისა და დისტრიბუციის სექტორი

მიმოხილვა

საქართველოს ბაზარზე ლუდის მოხმარება მკვეთრად სეზონური ხასიათისაა. ლუდის მოხმარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება მესამე კვარტალში და მას განაპირობებს ზაფხულის მაღალი ტემპერატურა, საშვებულებო პერიოდი და ტურისტების მომატებული რაოდენობა. საცალო რეალიზაციის ობიექტებზე (მაგ. საბაყლო-გასტრონომიული მაღაზიები) გაყიდვების 80% მოდის, ხოლო კვების ობიექტებზე (მაგ. ბარები) - 20%. საქართველოში მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ მაღალი მოცულობის ეკონომიური შეფუთვის ლუდს. ამის გამო, მასობრივ და ეკონომიურ ბრენდებს ლუდის ბაზრის 65% უკავია. საქართველოს ადგილობრივი ლუდის ბაზრის დიდი ნაწილი - 87% გაყიდვების მიხედვით - სამ მწარმოებელს შორის არის გადანაწილებული. ესენია ,,ეფეს საქართველო“, ,,ქართული ლუდის კომპანია“ და „გლობალ ბიერ ჯორჯია“. ლუდის მწარმოებელთა უმრავლესობის გაყიდვების დიდი ნაწილი დედაქალაქზე მოდის. საქართველოს რეგიონებში ისინი უფრო მცირე მასშტაბის გაყიდვებით ან გარე სადისტრიბუციო ქსელებითაა წარმოდგენილი. ვინაიდან ლუდის ადგილობრივი წარმოება კარგად განვითარებული დარგია, საქართველოს ლუდის მოთხოვნის 89%-ს ადგილობრივად წარმოებული ლუდი აკმაყოფილებს.

ლუდის ადგილობრივი ბაზარი

2017 წელს საქართველოს ლუდის ბაზარი წელიწადში დაახლოებით 102 მილიონ ლიტრს გაუტოლდა. ვინაიდან საქართველოს მოსახლეობა 3.7 მილიონია, ერთ სულ მოსახლეზე ლუდის მოხმარება წელიწადში 27.5 ლიტრი გამოდის. გასული ათწლეულის განმავლობაში ლუდის ბაზარმა სტაბილური ზრდა აჩვენა. გამონაკლისია ორი წელი (2010 და 2015), როდესაც გაყიდვებზე უარყოფითად იმოქმედა გაზრდილმა აქციზის გადასახადმა. ამის მიუხედავად, ლუდის მოხმარება საქართველოში ევროპის იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებსაც ერთ სულ მოსახლეზე ლუდის მოხმარების ანალოგიური მაჩვენებლები აქვთ და, საქართველოს მსგავსად, ღვინის მწარმოებლები არიან, უფრო დაბალია. მაგალითად, იტალიაში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 31 ლიტრი ლუდი მოდის, საფრანგეთში - 33 ლიტრი, ხოლო საბერძნეთში - 36 ლიტრი.

პროგნოზი და ზრდის ძირითადი ფაქტორები

ლუდის მოხმარების ზრდის ძირითადი ფაქტორები არის ფარდობითი განკარგვადი შემოსავალი, ლუდის მომხმარებელთა რაოდენობა და ლუდის ბაზარი. TBSC კონსალტინგის კვლევის თანახმად, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ლუდის მოხმარების ზრდა 2017 წლიდან 2021 წლამდე მოსალოდნელია 9%-იანი რთული წლიური ზრდის ტემპით (წელიწადში 27.5 ლიტრიდან წელიწადში 38.5 ლიტრამდე, შესაბამისად). ლუდის მომხმარებელთა რაოდენობაზე დადებითად მოქმედებს საქართველოში ჩამოსული ტურისტების მზარდი რაოდენობა. ეს მაჩვენებელი 2012 წლიდან 2017 წლამდე 11.3%-იანი რთული წლიური ზრდის ტემპით გაიზარდა. ევროპის მსგავს ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ლუდის მოხმარების არსებული დაბალი მაჩვენებელი ბაზრის პოტენციური ზრდის კიდევ ერთი ინდიკატორია.

ისტორიულად, საქართველოში ლუდსახდელი ქარხნები არ დაინტერესებულან ლუდის ექსპორტის ბაზრით, რადგან მათ ბრენდებს მსოფლიოში ცნობადობა არ ჰქონდა. „გლობალ ბიერ ჯორჯია“ არის ჰეინეკენის მიერ ლიცენზირებული ლუდის მწარმოებელი საქართველოში, რაც მას ადგილობრივ მწარმოებლებთან შედარებით კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს და შესაძლებლობას აძლევს, ჰეინეკენის ბრენდები სომხეთსა და აზერბაიჯანში გადაყიდოს. „გლობალ ბიერ ჯორჯიას“ მთავარ კონკურენტებს - ეფეს საქართველოსა და ქართული ლუდის კომპანიას - ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული „კაიზერის“, „კოზელის“, „ჰერენჰაუზერის“, „ბავარიის“ და „პილსენერის“ ბრენდის ლუდის მწარმოებლებთან.
ქართული ლუდის ბაზრის ზრდას, სავარაუდოდ, ასევე ხელს შეუწყობს აქტიური პრომოუშენი და აგრესიული მარკეტინგული სტრატეგიები. ლუდის წამყვანი კომპანიები აგრძელებენ ამ მიმართულებით ხარჯების გაწევას, რათა გაერკვნენ მომხმარებლების მოთხოვნებში, გააუმჯობესონ ახალი ბრენდების ბაზარზე შეტანა და კომუნიკაციის კამპანიები.

კონკურენცია

საქართველოს ადგილობრივი ლუდის ბაზარი მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა: ბაზრის 87.6% სამ მწარმოებელს უკავია. ესენია: ეფეს საქართველო (ბაზრის 45.1% წილი ლიტრობის მიხედვით), ქართული ლუდის კომპანია (ბაზრის 30.1% წილი ლიტრობის მიხედვით) და „გლობალ ბიერ ჯორჯია“ (ბაზრის 12.4% წილი ლიტრობის მიხედვით). ეფესი და ქართული ლუდის კომპანია ბაზარზე შედარებით უკეთ დამკვიდრებული ბრენდებია, ხოლო „გლობალ ბიერ ჯორჯიამ“ ლუდის წარმოება და დისტრიბუცია მხოლოდ 2017 წელის ივნისში დაიწყო. ლუდის მცირე და მიკრო მწარმოებლების წილი ქართული ლუდის ინდუსტრიაში უმნიშვნელოა.

3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა

3.1 საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები

მაკროეკონომიკური პირობები

ჯგუფი ძირითადად საქართველოში საქმიანობს და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ჯგუფის მთლიანი ამონაგების 73 % მის ქართულ ოპერაციებზე მოდის. შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკური ფაქტორები, ქვემოთ, ცხრილში მოცემული ფაქტორების ჩათვლით.

	31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის
	2017
მშპ-ის ზრდა (%)	4,8
ნომინალური მშპ (მილიონი აშშ დოლარი)	15,127(1)
მონიმალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4,069(1)
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მილიონი აშშ დოლარი)	784(1)
ინფლაცია (პერიოდის ბოლო, %)	6,7
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მილიონი აშშ დოლარი)	1,347(2)
სახელმწიფო ვალი, როგორც მშპ-ის %	44,7(1)
სულ უცხოელთა შემოსვლები (ტურისტები, ტრანზიტული მგზავრები და სხვა)	7,554,936

წყარო: *საქსტატის 2017 წლის მშპ-ის წინასწარი მონაცემები*

შენიშვნები:

(1) დამოკიდებულია 2017 წლის ნომინალური მშპ-ის წინასწარ შეფასებაზე.
(2) 2017 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული 9-თვიანი პერიოდის მონაცემები.

საქსტატის მიხედვით, საქართველოში რეალური მშპ-ის ზრდა 2017 წელს დაჩქარდა 4.8%-ით, 2016 წლის 2.8%-იან ზრდასთან და 2015 წლის 2.9%-იან ზრდასთან შედარებით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო პროგნოზით, საქართველოში რეალური მშპ-ის მოსალოდნელი ზრდა არის 4.2% 2018 წელს და 4.5% - 2019 წელს. 2015-2016 წლებში ზრდის ტემპის შენელება, ძირითადად, ასახავდა სუსტ საგარეო ვითარებას, რადგან საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორებზე 2014 წლის მეორე ნახევრიდან უარყოფითად იმოქმედა ნავთობის ფასებმა. ეკონომიკური პირობები საქართველოსა და რეგიონში საგრძნობლად გაუმჯობესდა 2017 წელს, როდესაც გაიზარდა საზღვარგარეთ ექსპორტიდან, ფულადი გადარიცხვებიდან და ტურიზმიდან შემოსავალი.

ინფლაციამ 2017 წელს 6.7% შეადგინა, რაც 2017 წლისთვის სებ-ის 4%-იან მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღალი იყო. ამის მიზეზი იყო სავალუტო კურსის გაუფასურების ეფექტი, მსოფლიოში ფართო მოხმარების საქონელზე ფასების ზრდა და ბოლო დროს გაზრდილი სააქციზო გადასახადი თამბაქოზე, ავტომანქანებსა და საწვავზე, რისი მიზანიც იყო 2017 წლის დასაწყისიდან კორპორატიული სექტორისთვის ახალი საგადასახადო შეღავათების შემოღების გამო შემოსავლის დანაკლისის შევსება.

2017 წლის იანვარში სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი გაზარდა 25 საბაზისო პუნქტით 6.75%-მდე, 2017 წლის მაისში 25 საბაზისო პუნქტით 7%-მდე და 2017 წლის 13 დეკემბერს 25 საბაზისო პუნქტით 7.25%-მდე, ინფლაციის ზრდის მოლოდინის გამო. ვინაიდან ინფლაციის განმაპირობებელი ფაქტორები, სავარაუდოდ, დროებითი იქნება, სებ-მა განაცხადა, რომ 2018 წელს მოელის ინფლაციის 3.0%-იან, ანუ თავის მიზნობრივთან მიახლოებულ მაჩვენებელს. რადგან 2018 წელს ფასებზე ზეწოლის შესუსტებაა ნავარაუდევი, ამან სებ-ს 2018 წელს რეფინანსირების განაკვეთის 7.25%-დან თანდათანობით 6.75%-მდე დაწევის საშუალება უნდა მისცეს.

აშშ დოლარის გლობალური გამყარების და ამასთან დაკავშირებით მსოფლიოში ფართო მოხმარების საქონელზე ფასების მკვეთრი დაცემის და საქართველოსა და მისი მთავარი სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური ზრდის შეფერხების გამო, 2015 წელს ლარი 28.5%-ით გაუფასურდა აშშ დოლართან მიმართებით. 2016 წელს გლობალურ და რეგიონულ ფინანსურ ბაზრებზე მზარდმა გაურკვევლობამ და შეერთებულ შტატებში არჩევნების შემდეგ დოლარის გამყარებამ განაპირობა ზეწოლის განახლება და ხელი შეუწყო ლარის კიდევ უფრო - 10.5%-ით გაუფასურებას. ლარის გაუფასურება საქართველოს დაეხმარა საგარეო შოკის გადატანაში, რადგან 2015 წელს იმპორტი 2014 წელთან შედარებით 15.1%-ით, ხოლო 2016 წელს 2015 წელთან შედარებით 0.1%-ით შემცირდა, თუმცა 2016 წლის სექტემბრიდან ექსპორტის ზრდა შეინიშნებოდა. ვინაიდან სავალუტო ინტერვენციები შემოიფარგლებოდა მხოლოდ სავალუტო კურსის გადამეტებული მერყეობის განეიტრალებით, სებ-მა შეავსო საერთო სავალუტო რეზერვები მიუხედავად იმისა, რომ ლარის გაუფასურების შედეგად საქართველოს საერთო სახელმწიფო ვალი 2015 წელს მშპ-ის 41.4%-ით, ხოლო 2016 წელს 43.9%-ით გაიზარდა, 2014 წლის 35.7%-იან ზრდასთან შედარებით. 2017 წელს ლარი აშშ დოლართან მიმართებით 2.1%-ით გამყარდა, რადგან მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოსავალი ექსპორტიდან, გადარიცხვებიდან და ტურიზმიდან, და გამყარება აშშ დოლარის მიმართ 2018 წლის დასაწყისშიც გააგრძელა.

რეგიონში ეკონომიკური განვითარების შენელების მიუხედავად, ტურიზმიდან შემოსავალი განსახილველი პერიოდების განმავლობაში გაიზარდა, კერძოდ, 2016 წელს 2,166 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2017 წელს - 2,750 მილიონი აშშ დოლარი. ტურისტების ნაკადის ზრდის გამო, მომსახურების ექსპორტი 20.6%-ით გაიზარდა და 2017 წლის 30 სექტემბრით დასრულებულ 9-თვიან პერიოდში 3.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა მაშინ, როცა 2016 წლის 30 სექტემბრით დასრულებული 9-თვიანი პერიოდისთვის ეს მაჩვენებელი 2.6 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. გარდა ამისა, 2017 წლის 30 სექტემბრით დასრულებულ 9-თვიან პერიოდში 2.9%-ით გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და 1,346 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა. იგივე მაჩვენებელი 2016 წლის 30 სექტემბრით დასრულებული 9-თვიანი პერიოდისთვის 1,308 მილიონ აშშ დოლარს უდრიდა.

ვალუტის მერყეობა

ჯგუფზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა ბიზნესგარემოსა და საქმიანობის დარგის სპეციფიკის გამო. საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი ხარისხის გამო (საბანკო ანაბრებისა და სესხების დოლარიზაციის მიხედვით, რაც, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, 65.6%-სა და 56.9%-ს შეადგენდა), ჯგუფის მომხმარებლების მყიდველობით უნარზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ვალუტის მერყეობამ, კერძოდ, ლარის გაუფასურებამ დოლარისა და ევროს მიმართ.

ამასთან, ჯგუფს საერთაშორისო და ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ სასესხო დავალიანება აქვს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც (2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, 93% და 97%) მიბმულია უცხოურ ვალუტებზე (ძირითადად, აშშ დოლარზე). 2016 წელს ლარი 10.5%-ით გაუფასურდა, ხოლო 2017 წელს 2.1%-ით გამყარდა აშშ დოლარის მიმართ; 2016 წელს ევროს მიმართ ლარი 6.8%-ით გაუფასურდა, ხოლო 2017 წელს 11.1%-ით. ლარის შემდგომი გაუფასურება გაზრდის ჯგუფის საპროცენტო ხარჯებს და სხვა დანახარჯებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი ცდილობს ვალუტის ცვალებადობის ეფექტის მინიმუმამდე დაყვანას, ასეთმა ცვალებადობამ შეიძლება მის შედეგებზე გავლენა იქონიოს. ანგარიშის თარიღისთვის (2018 წლის 26 სექტემბერი), სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ლარი/აშშ დოლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2.6184 ლარი = 1.00 აშშ დოლარი იყო, ხოლო სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ლარი/ევროს ოფიციალური გაცვლითი კურსი 3.0798 ლარი = 1.00 ევრო.

საქართველოს ეკონომიკა ასევე დამოკიდებულია რეგიონის სხვა ქვეყნების, კერძოდ, რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ეკონომიკაზე. რუსეთი ქართული ექსპორტისა და იმპორტის ერთ-ერთი უმსხვილესი ბაზარია. საქსტატის მიხედვით, რუსეთის ბაზარზე 2015 და 2016 წლებში მოდიოდა საქართველოს მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 7.4% და 9.8%, ხოლო საქართველოს მთლიანი იმპორტის დაახლოებით 8.6%-სა და 9.3%-ს, შესაბამისად. 2015 და 2016 წლებში რუსეთის ეკონომიკამ დაღმავლობა განიცადა, ნაწილობრივ, მსოფლიოში ნავთობის ფასების ვარდნისა და აშშ-სა ევროკავშირის მიერ რუსეთსა და დასავლურ ქვეყნებს შორის უკრაინასა და სირიაში კონფლიქტთან დაკავშირებით არსებული პოლიტიკური დაძაბულობის შედეგად დაწესებული სანქციების გამო. 2016 წლის იანვარში რუსული რუბლი რეკორდულად გაუფასურდა აშშ დოლართან მიმართებით და 2016 წლის განმავლობაში ოდნავ გამყარდა. 2017 წელს რუსული რუბლი მეტწილად დაუბრუნდა 2015 წლის დონეს აშშ დოლართან მიმართებით და, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით, 2017 წელს რუსეთის მშპ, სავარაუდოდ, 1.8%-ით გაიზარდა ნავთობზე გლობალური ფასების ცვალებადობის გამო. თურქეთი ქართული იმპორტის უდიდესი წყაროა და საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, 2015 წელსა და 2016 წელს, შესაბამისად, მთლიანი იმპორტის 18.2% და 18.6% შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2017 წელს თურქეთი 5.1%-ით უნდა გაზრდილიყო, ხოლო 2018 წელს 3.5%-ით უნდა გაიზარდოს, პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა და მზარდი ინფლაცია საქართველოს ეკონომიკის ზრდის პოტენციურ დაბრკოლებებს წარმოადგენს. აზერბაიჯანსა და სომხეთზე 2015 წელს საქართველოს მთლიანი ექსპორტის 10.9% და 8.2% მოდიოდა, 2016 წელს - 7.2% და 7.1%, ხოლო 2017 წელს 10.0% და 7.7%, შესაბამისად. 2015 წლის დეკემბერში აშშ დოლარის მიმართ 47.6%-ით, ხოლო ევროს მიმართ 47.9%-ით გაუფასურების შემდეგ, 2016 წლისა და 2017 წლის განმავლობაში აზერბაიჯანული მანათი დასტაბილურდა. 2014 წლის ოქტომბრიდან და 2015 წლის თებერვლამდე 16.9%-ით გაუფასურების შემდეგ სომხურმა დრამმაც სტაბილურობის პერიოდი განიცადა 2017 წლის განმავლობაში.

საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური განვითარების შეფერხებამ და ვალუტის გაუფასურებამ გამოიწვია გასულ პერიოდებში საქართველოდან ექსპორტისა და საქართველოში ფულადი გადარიცხვების შემცირება. საქართველოს მეზობელ ბაზრებზე ეკონომიკური დაღმავლობა ან კრიზისი თუ გაგრძელდება ან წარმოიშობა, ეს არსებით უარყოფით გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება ჯგუფის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე და პერსპექტივებზე.

რეგიონში არსებულმა დაძაბულობამ და რღვევებმა მეზობელ ბაზრებზე შეიძლება ცუდად ცუდი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე.

საქართველოს ესაზღვრება რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი და მის საზღვრებში მოქცეულია ორი სეპარატისტული ტერიტორია - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი. რეგიონში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარება უარყოფითად მოქმედებს მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობებზე და ამის გამო დროდადრო ძალადობა იფეთქებს ხოლმე. 2006 წელს რუსეთმა საქართველოზე სანქციები დააწესა და 2008 წელს ქვეყნებს შორის კონფლიქტის ესკალაცია მოხდა, როდესაც რუსულმა ძალებმა გადაკვეთეს საერთაშორისო საზღვარი და საომარი მდგომარეობა გამოცხადდა. საფრანგეთის შუამავლობით გაფორმებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიუხედავად, რომლის მიხედვითაც რუსული სამხედრო ძალები ქვეყნიდან უნდა გასულიყო, რუსეთმა აღიარა სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა და ვითარება დაძაბული დარჩა. 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებამ და 2017 წლის თებერვალში ევროპარლამენტის მიერ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის ინიციატივის დამტკიცებამ შეიძლება კიდევ უფრო დაამძიმოს ამ ქვეყნებს შორის არსებული დაძაბულობა. მაგალითად, 2017 წელს საქართველოში განლაგებულმა რუსეთის საოკუპაციო ძალებმა საოკუპაციო ზოლი საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ უფრო გადმოწიეს. რუსეთ-უკრაინის გეოპოლიტიკური ურთიერთობა 2013 წელს დაწყებული კრიზისის მერე დაძაბული რჩება. აშშ-ის და ევროკავშირის (და სხვა ქვეყნების) სანქციები რუსეთის მიმართ გრძელდება და გაურკვეველია, როდის და როგორ გადაიჭრება კონფლიქტი რუსეთსა და უკრაინას შორის. პოლიტიკური გარემო თურქეთში დაძაბული რჩება 2016 წლის განმავლობაში თურქეთში მომხდარი სამოქალაქო არეულობის შემდეგ. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გამო თურქეთის კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც რეფერენდუმის გზით დამტკიცდა. ცვლილებები პრეზიდენტს მეტ უფლებებს ანიჭებს და შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს თურქეთში პოლიტიკურ სტაბილურობაზე. რეგიონში შემდგომმა გეოპოლიტიკურმა უთანხმოებამაც განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოზე.

შეიძლება გარკვეული სირთულეები ახლდეს საქართველოს ნორმატიული ბაზის მისადაგებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის („DCFTA“) შესახებ შეთანხმების საფუძველზე.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და შეიქმნა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირთან ვაჭრობის ორმხრივ ლიბერალიზაციას. როგორც მოსალოდნელია, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება შექმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისთვის მიუხედავად იმისა, რომ მან შეიძლება გარკვეული გამოწვევების წინაშე დააყენოს იურიდიული თუ ფიზიკური პირები და სახელმწიფო. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებამ და DCFTA-მ შეიძლება საჭირო გახადოს საქართველოს მხრიდან ევროკავშირის ვაჭრობასთან დაკავშირებული და სექტორისთვის განკუთვნილი კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც გარკვეულ სირთულეებს შექმნის, განსაკუთრებით, გარემოს დაცვის (პროდუქტის და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით) და მომხმარებელთა უსაფრთხოების საკითხში.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, მას თავისი სავაჭრო კანონმდებლობა თანდათან შესაბამისობაში მოჰყავს ევროკავშირის ნორმებთან და პრაქტიკასთან. ბოლოდროინდელ ნორმატიულ ცვლილებებს შორისაა 2013 წლის ცვლილებები შრომის კოდექსში, რითაც საქართველოს შრომითი რეგულაციები მიუახლოვდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით და DCFTA-ით აღებულ ვალდებულებებს. ამ ცვლილებების მიხედვით, დამსაქმებლებს ევალებათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება, სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაციის გაზრდა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), იზრდება დასაქმებულების უფლებები დამსაქმებლების გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, იკრძალება საფუძვლიანი მიზეზის გარეშე სამსახურიდან დათხოვნა და გარანტირებულია საბაზისო სამუშაო პირობები. ცვლილებებმა ასევე გაამკაცრა კონკურენციის კანონი საქართველოში, რომელსაც შეუძლია შეზღუდოს ჯგუფის უფლება, მოახდინოს დამატებითი შეზღუდვები თავისი ზრდის სტრატეგიის შესაბამისად.

სახელმწიფო პოლიტიკაში სხვა ცვლილებებიცაა მოსალოდნელი, მათ შორის ცვლილებები ადრე გამოცხადებული სახელმწიფო ინიციატივების განხორციელებასა თუ მიდგომებში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება შეიძლება მნიშვნელოვან ტვირთად დააწვეს მარეგულირებელ ორგანოებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებს მოსწყვიტოს და შეაფერხოს მათი ეფექტიანობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისადაგების მიზნით მარეგულირებელ გარემოში მოსალოდნელი ცვლილებების გამო ჯგუფს შეიძლება დაევალოს თავისი პოლიტიკისა და პროცედურების ისე დაკორექტირება, რომ შესაბამისობაში მოიყვანოს კანონებსა და ნორმატიულ აქტებში შესულ ცვლილებებთან. მაგალითად, ჯგუფმა ცვლილებები შეიტანა თავის შრომით კონტრაქტებში, რათა აესახა ზემოაღნიშნული ცვლილებები შრომის კანონმდებლობაში. ჯგუფის მოლოდინით, ცვლილებები კიდევ იქნება, თუმცა მას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, რამდენად მოახდენს ეს ცვლილებები მასზე გავლენას ან რამდენად შესძლებს მათ დაკმაყოფილებას.

საქართველოში საგადასახადო სისტემასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო, შესაძლოა ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები და შეიძლება ცვლილებები შევიდეს მიმდინარე საგადასახადო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში.

საგადასახადო კანონები საქართველოში შედარებით ახალი დანერგილია, უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით. ეს ქმნის გარკვეულ გამოწვევებს საგადასახადო კანონების შესრულებასთან დაკავშირებით იმდენად, რამდენადაც ასეთი საგადასახადო კანონები არ არის გასაგები ან ექვემდებარება სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციას და კომპანიებს აკისრებს რისკს იმისა, რომ მათი მხრიდან კანონის შესრულების მცდელობას საგადასახადო ორგანოები ეჭვქვეშ დააყენებენ. საგადასახადო კანონის აღსრულება ასევე შეიძლება არაპროგნოზირებადი იყოს. ამის მაგალითია კომპანიის აქტივებზე ყადაღის დადება.

ამასთან, ეს საგადასახადო კანონები ექვემდებარება შესწორებებსა და ცვლილებებს, რამაც შეიძლება დამატებითი სირთულეები შეუქმნას ბიზნესკომპანიებს. 2011 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი („**საგადასახადო კოდექსი**"). 2011 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, რომლითაც აიკრძალა საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება ან არსებული განაკვეთების ზედა ზღვრის გაზრდა (გარდა აქციზისა) საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული რეფერენდუმის გზით (გარკვეული გამონაკლისი შემთხვევების გარდა). ეს კანონი 2013 წლის 31 დეკემბრიდან მოქმედებს. საგადასახადო კოდექსის ამა თუ იმ დებულების სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს თავად სამინისტროებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებში, მათ შორის, საგადასახადო ორგანოებში, რაც ქმნის გაურკვევლობას, არათანმიმდევრულობას და კონფლიქტის საფუძველს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო კოდექსი საქართველოს საგადასახადო ორგანოებს ავალდებულებს წინასწარი საგადასახადო დასკვნის გაცემას გადასახადის გადამხდელების მიერ მოთხოვნილ საგადასახადო საკითხებზე. მართალია, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფი და მისი წევრები, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ, ამჟამად შესაბამისობაში არიან საგადასახადო კანონებთან, შესაძლებელია, შესაბამისმა ორგანოებმა მათი ინტერპრეტაციისგან განსხვავებული პოზიცია დაიკავონ და შედეგად, ჯგუფს ან მის წევრებს დააკისრონ დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები. ასევე არსებობს იმის რისკი, რომ ჯგუფს დაეკისროს ჯარიმები ან საურავები რეგულარული საგადასახადო შემოწმებების შედეგად.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონები და სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებას მომავალში, მათ შორის ცვლილებებს, რომლებიც მთავრობის შეცვლითაა გამოწვეული. ასეთმა ცვლილებებმა შეიძლება მოიცვას ახალი გადასახადების შემოღება ან იმ გადასახადების ზედა ზღვრის გაზრდა, რომლებიც ჯგუფს ან მის მომხმარებლებს ეხება, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება უარყოფითი ეფექტი მოახდინოს მის საქმიანობაზე.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საგადასახადო კოდექსში მოგების გადასახადთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც საწარმოს არ დაევალება მოგების გადასახადის გადახდა, სანამ იგი არ გაანაწილებს მოგებას მფლობელებზე ან გასწევს ასეთ დანახარჯებს ან განახორციელებს ისეთ მიწოდებას ან გადახდას, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. როგორც მოსალოდნელია, ეს ცვლილება გააქტიურებს ეკონომიკურ საქმიანობას და გაზრდის კერძო სექტორის კაპიტალიზაციას. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ არ ეხება გარკვეულ ფინანსურ ინსტიტუტებს, მათ შორის ბანკებსა და სადაზღვევო ორგანიზაციებს (ცვლილებები ფინანსურ ინსტიტუტებს, მათ შორის ბანკებსა და სადაზღვევო კომპანიებს 2019 წლის 1 იანვრიდან შეეხება). თუმცა არავითარი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ეს ცვლილებები სასურველ შედეგს გამოიღებს.

ადგილობრივი სავალუტო ბაზრის არასტაბილურობამ ან ზრდის არარსებობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფზე.

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, როგორც წესი, საქართველოს გარეთ ლარის გადაცვლის ბაზარი არ არსებობს. ლარის სხვა ვალუტებზე გადაცვლის ბაზარი საქართველოში არსებობს, მაგრამ მისი ზომა მოკრძალებულია. სებ-ის მიხედვით, 2015 წელს ლარი-აშშ დოლარის და ლარი-ევროს ბაზრების სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობა (რაც მოიცავს გაყიდვის და ყიდვის ჯამს, მაგრამ არ მოიცავს სებ-ის საქმიანობას), შეადგენდა 25.8 მილიარდ აშშ დოლარს და 11.7 მილიარდ ევროს, შესაბამისად; ამავე წყაროს მიხედვით, 2016 წელს ლარი-აშშ დოლარის და ლარი-ევროს ბაზრების სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობა (სებ-ის საქმიანობის გამოკლებით) გაუტოლდა 28.2 მილიარდ აშშ დოლარს და 10.8 მილიარდ ევროს, შესაბამისად, ხოლო 2017 წელს იგივე მაჩვენებლები, შესაბამისად, 26.0 მილიარდ აშშ დოლარს და 6.9 მილიარდ ევროს უდრიდა. სებ-ის მიხედვით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მას ჰქონდა 3 მილიარდი აშშ დოლარი საერთო ოფიციალური რეზერვების სახით. მართალია, მთავრობამ განაცხადა, რომ ეს რეზერვები საკმარისი იქნება შიდა სავალუტო ბაზრის შესანარჩუნებლად მოკლევადიან პერსპექტივაში, ამ ბაზრის ზრდის არარსებობამ, მიმდინარე ანგარიშის მნიშვნელოვანი დეფიციტისა და საგარეო ვალთან ერთად, შეიძლება დააბრკოლოს საქართველოს ეკონომიკის განვითარება, რაც არსებითად დააზიანებს ჯგუფის კორპორატიული კლიენტების ბიზნესს, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ჯგუფის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

გარდა ამისა, სავალუტო ბაზრის არასტაბილურობამ შესაძლოა ცუდად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე ამ უკანასკნელის დოლარიზაციის მაღალი ხარისხისა და მიმდინარე საგარეო ვალის დიდი წილის გამო. აშშ დოლარის მიმართ ლარის მნიშვნელობანი არასტაბილურობა დაფიქსირდა 1998 წლის აგვისტოს შემდეგ რუსეთის ფინანსური კრიზისის, 2008 წელს რუსეთთან კონფლიქტის და 2015 წელს ნავთობზე ფასების დაცემის გამო რეგიონში ეკონომიკური ზრდის ტემპის ვარდნის შემდეგ. 2015 წელს სებ-მა საქართველოს ეკონომიკაზე მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შენელების უარყოფითი გავლენის შესამსუბუქებლად ლარს 28.5%-ით გაუფასურების საშუალება მისცა. აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსი 2915 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 2.3949, 2016 წლის 31 დეკემბრისთვის 2.6468, 2017 წლის 31 დეკემბრისთვის 2.5922 და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 2.4969. მთავრობისა და სებ-ის მიერ ლარის ცვალებადობის შეზღუდვის უნარი დამოკიდებული იქნება მთელ რიგ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე, მათ შორის იმაზე, თუ რამდენად შეუძლიათ სებ-ს და მთავრობას, გააკონტროლოს ინფლაცია, ხელმისაწვდომია თუ არა უცხოური სავალუტო რეზერვები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სხვა ფულადი ნაკადები უცხოურ ვალუტაში. თუ ეს ვერ მოხერხდება, ან თუ ლარი კიდევ უფრო ან მკვეთრად გაუფასურდება, ეს უარყოფითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე. საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოში წლიური ინფლაცია, რომელიც იზომება სამომხმარებლო ფასების ინდექსით (**„სამომხმარებლო ფასების ინდექსი“**) პერიოდის ბოლოსთვის, 2015 წელს შეადგინა 4.9%, 2016 წელს 1.8% და 2017 წელს 6.7%. მიუხედავად იმისა, რომ 2018 წელს მოსალოდნელია ინფლაციის ფაქტორების შესუსტება, რადგან მოიმატებს აქციზის გადასახადის ეფექტები და იკლებს ვალუტის გაუფასურება, არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველოს ეკონომიკაზე აღარ მოახდენს გავლენას საკვებ პროდუქტებსა და ნავთობზე ადგილობრივი ან გლობალური ფასების ზრდა. მართალია, დეფლაცია ლარის მყიდველობით უნარს გაზრდის, მაგრამ ის უარყოფითად აისახება უცხოურ ინვესტიციასა და ბანკის საკრედიტო საქმიანობის მომგებიანობაზე. მეორე მხრივ, მაღალ და ხანგრძლივ ინფლაციას შეუძლია ბაზრის არასტაბილურობა, ფინანსური კრიზისი, მომხმარებელთა მყიდველობითი უნარის შემცირება და მათი ნდობის დაკარგვა გამოიწვიოს. ნებისმიერი ასეთი მოვლენა დააზარალებს ქვეყნის ეკონომიკას და უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის მომხმარებლებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ჯგუფის საქმიანობაზე.

3.2. ჯგუფთან დაკავშირებული რისკები

ჯგუფი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესძლებს ხელმძღვანელი პირებისა და კვალიფიციური თანამშრომლების აყვანას და შენარჩუნებას.

წამყვანი ხელმძღვანელობის ამჟამინდელ გუნდში შედიან პირები, რომელთა, ჯგუფის აზრით, მნიშვნელოვანი გამოცდილება და კომპეტენცია აქვთ. იმას, თუ რამდენად შესძლებს ჯგუფი შეინარჩუნოს, წაახალისოს და მოიზიდოს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი ხელმძღვანელი პირები, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი საქმიანობისთვის. არ არსებობს იმის გარანტია, რომ ჯგუფი შესძლებს საჭირო კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას და შენარჩუნებას. ხელმძღვანელობის წამყვანი გუნდის შემცირება ან მისი წევრების დაკარგვა, საჭირო სპეციალისტების მოზიდვის, გადამზადების ან შენარჩუნების თვალსაზრისით მარცხი, უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებსა და პერსპექტივებზე.

თელიანი ველის ექსპორტი კონცენტრირებულია რამდენიმე ქვეყანაზე, განსაკუთრებით, რუსეთსა და უკრაინაზე.

თელიანის საექსპორტო გაყიდვები შეადგენდა 2017 წლის ღვინის მთლიანი გაყიდვების 68%-ს და კონცენტრირებული იყო ქვეყნების მცირე რაოდენობაზე, განსაკუთრებით რუსეთსა და უკრაინაზე, რაც, 2017 წელს, შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 13%-სა და 42%-ს შეადგენდა. ბოლო წლებში რუსეთსა და უკრაინაში ეკონომიკის ზრდის ტემპი შენელებულია, უკრაინაში კი პოლიტიკური არასტაბილურობის მაღალი დონეა. თელიანის ამონაგებზე ამან უარყოფითად იმოქმედა და მომავალშიც უარყოფითად აისახება, თუ პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ამ ქვეყნებში არ გამოსწორდება რუსეთსა და უკრაინაზე ექსპორტის კონცენტრაციისა და ამ ქვეყნებზე დამოკიდებულების შესამცირებლად თელიანის ხელმძღვანელობა აქტიურად ეძებს ექსპორტის ახალ შესაძლებლობებს ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ თელიანის გაყიდვები ჩინეთში 2017 წელს წინა წელთან შედარებით 533%-ით გაიზარდა და მთლიანი ექსპორტის 8% შეადგინა, ხელმძღვანელობამ შეიძლება ვერ მოახერხოს ზედმეტი კონცენტრაციის რისკის წარმატებით შერბილება, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის შედეგებსა თუ პერსპექტივებზე.

კონკურენტების მიერ გაჩაღებული ფასების ომი

საქართველოს ლუდის ბაზარს აქვს უმნიშვნელო ეკონომიური ლუდის სეგმენტი საშუალოზე დაბალი ფასებით. ფასების ზოგადი ვარდნის ან კონკურენტების მიერ ლუდის ეკონომიური სეგმენტის განვითარების შემთხვევაში, „გლობალ ბიერ ჯორჯია“ შეიძლება იძულებული გახდეს, შექმნას ეკონომიური ბრენდი, რომელიც მის წამყვან ბრენდებს მომხმარებლების ნაწილს წაართმევს და შეამცირებს საერთო მომგებიანობას.

ლუდის წარმოებისა და დისტრიბუციის ბიზნესი სერიოზულ კონკურენციას განიცდის.

როგორც პირველ თავში აღინიშნა, ლუდის ქართული ბაზარი მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ „გლობალ ბიერ ჯორჯიამ“ ბაზრის 12.4%-იანი წილი თავდაპირველი წარმოებიდან და 2017 წლის ივნისში ლუდის ფართო გაყიდვის დაწყებიდან ოთხ თვეში მოიპოვა, ამის მისაღწევად მას მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელება მოუხდა გაყიდვებსა და მარკეტინგულ საქმიანობაში. ამიტომ „გლობალ ბიერ ჯორჯიამ“ შეიძლება ვერ მოახერხოს ზრდის ასეთი ტემპის შენარჩუნება, ბაზრის წილის, გაყიდვებისა და მოგების მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევა, რაც უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებსა და პერსპექტივებზე.

4. განცხადება ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ

უსაფრთხოების მხარდაჭერა

ჩვენი ჯგუფისთვის არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე იმ ადამიანების უსაფრთხოება, რომლებიც ჩვენთან არიან დასაქმებულები ან რომლებთანაც ვთანამშრომლობთ. როგორც სასმლის ერთ-ერთმა წამყვანმა მწარმოებელმა ჯგუფმა, ჩვენ მიზნად დავისახეთ უბედური შემთხვევების სრულად აღმოფხვრა და ამის მისაღწევად ჩვენს ჯგუფში დავნერგეთ პრინციპი „უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა“.

ჩვენს სამუშაოსთან დაკავშირებული უბედური და ფატალური შემთხვევები საწარმოო ობიექტების გარეთ ხდება, როცა ადამიანები მოგზაურობენ ან ჩვენი პროდუქციის დისტრიბუციით არიან დაკავებულები. გარემოში, რომელსაც ვერ ვაკონტროლებთ, გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან დაზღვეული არ ვართ. ჩვენი სტრატეგიაა, სისტემურად გადავჭრათ უსაფრთხოების საკითხი არა მხოლოდ წარმოების ობიექტებზე, არამედ მთელი ჯგუფის მასშტაბით და განსაკუთრებული ყურადღება საგზაო უსაფრთხოებაზე გავამახვილოთ.

პასუხისმგებლიანი მოხმარება

ჩვენი ღვინო ბუნებრივი პროდუქტია, რომელიც ყოველდღიურად ათასობით ადამიანს ანიჭებს სიამოვნებას. მათი უმრავლესობა ალკოჰოლს ზომიერად იღებს და იცავს ცხოვრების ჯანსაღ წესს. თუმცა, ზედმეტი ალკოჰოლის მიღებას აშკარად უკავშირდება ჯანმრთელობის და ქცევითი რისკები და ისინი მხოლოდ ერთ კონკრეტულ პირზე არ მოქმედებს. ალკოჰოლის საზიანო დოზით მიღება სხვა ადამიანებს, საზოგადოებას, ჩვენს დარგსა და მის რეპუტაციას ვნებს.

იმისათვის, რომ საზოგადოება ალკოჰოლის მიღებას მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს, ჩვენ აქტიურად ვავრცელებთ გზავნილს „დალიე პასუხისმგებლობით“. თელიანი ველი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური პარტნიორია. ჩვენი ბოლოდროინდელი სოციალური კამპანია 2018 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დროს ყველას შეახსენებდა, რომ თხილამურებით სრიალისა და სნოუბორდინგის დროს არ უნდა დაელიათ. ჩვენ ხაზს ვუსვამდით შესაძლო საფრთხეებს - ნასვამ მდგომარეობაში სწრაფი რეაქციის უნარი სუსტდება და აღქმა ნელდება. ჩვენ ყველას მოვუწოდებთ, ალკოჰოლის მიღებას პასუხისმგებლობით მოეკიდონ და მომხმარებლებს განვუმარტავთ ალკოჰოლის მავნე დოზით მიღების რისკებს.

საზოგადოებასთან ერთად გაზრდა

ჩვენი საქმიანობის გამო ყოველდღიურად ათასობით ადამიანთან ვურთიერთობთ. თუ შეგვიძლია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობა გავაუმჯობესოთ, ასეც ვიქცევით. ეს ბიზნესისთვისაც კარგია და ჩვენს გრძელვადიან სტრატეგიასაც ემსახურება.

ჩვენი საქმიანობით ბევრ ადამიანზე ვახდენთ გავლენას - დაწყებული ფერმერებით, რომლებისგანაც პროდუქციას ვიძენთ, დამთავრებული ადამიანებით, რომლებიც ჩვენი ღვინის ქარხნის გარშემო ცხოვრობენ. ჩვენ დამოკიდებულები ვართ ადგილობრივი თემების სტაბილურობაზე და სიამოვნებით ვუზიარებთ მათ ჩვენს წარმატებას, რათა დავეხმაროთ პირობების გაუმჯობესებაში. ჩვენი ყველაზე დიდი წვლილი ადგილობრივი თემების კეთილდღეობაში ისევ ჩვენი ძირითადი საქმიანობით ხდება: სამუშაო ადგილების შექმნით, ადგილობრივ მომწოდებლებთან პარტნიორობით და გადასახადების გადახდით.

სპონსორობა

სპონსორობის ფარგლებში, ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისებასა და დამკვიდრებაზე. როგორც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპონსორები, მიზნად ვისახავთ, სპორტის პოპულარიზაციის ახალ ეტაპზე გადასვლას და ჯანსაღ აქტივობებში ბავშვების და მოზარდების ჩართვას. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, განვიხილოთ ახალი ინიციატივები, რომლებიც დაგვეხმარება ჩვენი მიზნებისა და ხედვის განხორციელებაში.

განათლება ღვინის შესახებ

ღვინის შესახებ განათლების გავრცელება თელიანი ველის ბრენდის იდეოლოგიის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. „სომალიეთა სკოლა“ ამ მიმართულებით გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ამჯერად, ჩვენი საქმიანობის 20 წლისთავის აღსანიშნავად გამოვუშვით ღვინო სპეციალური შეფუთვით, რომელიც ჩვენს საგანმანათლებლო საქმიანობას ეძღვნებოდა.

ჩვენი ბრენდის წარმომადგენლები რეგულარულად სტუმრობენ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტს ჩვენი ქვეყნისთვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დარგის შესახებ სტუდენტების ინფორმირების მიზნით.

5. საკადრო საკითხები

ჩვენი წარმატების მთავარი ფაქტორი არის ერთიანი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელსაც შეუძლია ჯგუფის მიზნების მიღწევა. ჩვენი სერიოზულად ვეკიდებით საუკეთესო პროფესიონალების მოძიებას და მოზიდვას, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას, მათ პროფესიულ განვითარებაში ინვესტიციის ჩადებას და მათი ერთგულების წახალისებას. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება და მართვის სისტემა, რომელსაც ის განახორციელებს, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენი ყველაზე ძვირფასი რესურსის - ჩვენი თანამშრომლების მართვაში. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება შეიმუშავებს ადამიანური რესურსების პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებითაც განისაზღვრება ძირითადი პრინციპები, მიმართულებები, მიდგომები დამეთოდები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ყველა საქმიანობისთვის ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემების შექმნისთვის. ჩვენი ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პროცედურების მაგალითებია:

• დასაქმების დაგეგმვა და ახალი თანამშრომლების მოზიდვა
• კადრების ადმინისტრირება
• ხელფასები და კომპენსაციები
• ქცევის კოდექსი
• თანამშრომელთა განვითარება და გადამზადება
• ადამიანური უფლებები
• საჩივრები
• ხარჯების შეკვეცა
• ნეპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნესსაქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკით განსაზღვრულია პრიორიტეტები და კონტროლის პროცედურები იმისათვის, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს და მოიცავს სამუშაოზე დასაქმების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის პროცესებთან დაკავშირებულ პროცედურებს. ჩვენ ვზრუნავთ თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციაზე.

სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა ჯგუფის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციულ ზომებს, როგორიცაა თანამშრომლების რეგულარული ტრენინგების და სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამუშაო ადგილების სერტიფიცირება და ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისება.

გენერალური დირექტორი
გიორგი ცხადაძე
20 ნოემბერი, 2018 წ.

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნესსაქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკით განსაზღვრულია პრიორიტეტები და კონტროლის პროცედურები იმისათვის, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს და მოიცავს სამუშაოზე დასაქმების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის პროცესებთან დაკავშირებულ პროცედურებს. ჩვენ ვზრუნავთ თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციაზე.

სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა ჯგუფის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. ჯგუფი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციულ ზომებს, როგორიცაა თანამშრომლების რეგულარული ტრენინგების და სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამუშაო ადგილების სერტიფიცირება და ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისება.

_____

გენერალური დირექტორი
გიორგი ცხადაძე
20 ნოემბერი, 2018 წ.

სს „თელიანი ველი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 5
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება 6
სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 8
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 10-44

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თელიანი ველის” აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „თელიანი ველის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, ქვემოთ წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხის ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხის განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს ჩვენი აუდიტის განმალობაში
შემოსავლის აღიარება ჯგუფს აქვს შემოსავლის რამდენიმე წყარო ღვინისა და სხვა სასმელების დისტრიბუციიდან. ჯგუფი ფლობს საწყობებსა და სადისტრიბუციო სატრანსპორტო საშუალებებს და რეალიზაციას აწარმოებს სუპერმარკეტების ქსელებზე, სხვა სავაჭრო ობიექტებსა და რესტორნებზე. შემოსავლების აღიარება ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო ჩვენი აუდიტის განმავლობაში, რადგან ჯგუფის შემოსავლების დივერსიფიცირებული წყაროების გამო არსებობს შემოსავლის არასათანადოდ აღიარების რისკი, განსაკუთრებით პერიოდების ბოლო თარიღებისთვის. ამასთან, ჯგუფმა ვადაზე ადრე მიიღო ფასს 15 „კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტები“. ფასს 15-ს კომპლექსური მოთხოვნები აქვს და საკმაოდ დიდი დოზით საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ, აგენტი-პრინციპალის ურთიერთობის განსაზღვრის, კლიენტების მიმართ გადახდების აღრიცხვის და საცალო მოვაჭრეებისთვის მიწოდებული ინდივიდუალური საქონლის აღრიცხვისთვის. შემოსავლების აღიარების შესახებ ინფორმაცია გაცხადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2, მე-3 და მე-19 განმარტებით შენიშვნებში.	• ჩვენ შევამოწმეთ შემოსავლების აღიარების პროცესის კონტროლის მექანიზმები, შემოსავლების აღიარების დროის ჩათვლით; • ჩავატარეთ ანალიტიკური პროცედურები და შევამოწმეთ წლის ბოლოსთვის შემდგარი შემოსავლების აღიარების გარიგებების შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ჯგუფი; • გაყიდვის ოპერაციების ნიმუშები შევადარეთ ინვოისებს; • შევაფასეთ ძირითად კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები და ეს პირობები შევადარეთ გამოყენებულ სააღრიცხვო მიდგომას; • შევაფასეთ წლის განმავლობაში გაფორმებული ახალი სადისტრიბუციო შეთანხმებების შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ჯგუფი და ჯგუფის მიერ იმის განსაზღვრა, ამ სახელშეკრულებო ურთიერთობებში პრინციპალად გამოდის თუ აგენტად, ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად „კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები“; • გავაანალიზეთ ჯგუფის გადახდები თავისი კლიენტების მიმართ და შევაფასეთ მათი გავლენა მიღებული ან მისაღები ანაზღაურების განსაზღვრაზე; • შევაფასეთ გარიგების ფასის გადანაწილება ჯგუფის მიერ თავის საცალო მოვაჭრეებისთვის მიწოდებულ ინდივიდუალურ საქონელზე; • შევაფასეთ ჯგუფის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფასს 15-ზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ჯგუფის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნესოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

დირექტორთა საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, დირექტორთა საბჭოს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში შეიძლება ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და, თუ შესაძლებელია, წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

დირექტორთა საბჭოსთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაწონის ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის რუსლან ხოროშვილი.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 მარტი, 2018 წ.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2017*	*2016 წ. გადაანგარიშებული**	*2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადაანგარიშებული**
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	102,168	68,134	9,558
არამატერიალური აქტივები	17	723	480	124
გადახდილი ავანსები	10	1,658	926	1,309
გადავადებული საგადასახადო აქტივები	7	–	–	340
სულ გრძელვადიანი აქტივები		**104,549**	**69,540**	**11,331**
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	17,122	8,426	10,761
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	9	11,900	6,755	6,470
მოგების წინასწარ გადახდილი გადასახადი		–	93	60
წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		–	2,780	2,057
გადახდილი ავანსები	10	2,795	1,020	460
სხვა მიმდინარე აქტივები		7	29	60
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	11	4,381	17,034	2,375
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	17,437	2,399	3,425
სულ მიმდინარე აქტივები		**53,642**	**38,536**	**25,668**
სულ აქტივები		**158,191**	**108,076**	**36,999**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		5,200	2,771	771
დამატებითი შენატანები კაპიტალში		78,748	38,846	12,958
უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვი		(1,782)	(1,740)	(1,777)
(აკუმულირებული ზარალი) / გაუნაწილებელი მოგება		(11,829)	2,814	3,024
კაპიტალი, განკუთვნილი მშობელი კომპანიის აქციონერებისთვის		**70,337**	**42,691**	**14,976**
არასაკონტროლო პაკეტი		1	1	1
სულ კაპიტალი	13	**70,338**	**42,692**	**14,977**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	14	61,482	7,611	9,605
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	7	–	–	1,044
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**61,482**	**7,611**	**10,649**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16	14,848	18,116	2,529
მოგების გადასახადის დავალიანება		–	642	605
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა		1,178	–	2,438
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	14	9,795	38,610	5,154
მიღებული ავანსები		95	140	136

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

სხვა მიმდინარე ვალდებულებები	455	265	511
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**26,371**	**57,773**	**11,373**
სულ ვალდებულებები	**87,853**	**65,384**	**22,022**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**158,191**	**108,076**	**36,999**

* აქ წარმოდგენილი ზოგიერთი თანხა არ შეესაბამება 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შესულ კორექტირებებს. იხ. მე-2 შენიშვნა.

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით 2018 წლის 30 მარტს.

შოთა ხობელია გენერალური დირექტორი

გიორგი კასრაძე ფინანსური დირექტორი

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016 წ. გადაანგარიშებული*
საქონლის რეალიზაცია	19	54,975	29,793
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	20	(34,433)	(15,774)
საერთო მოგება		**20,542**	**14,019**
ბიოპროდუქციის სამართლიანი ღირებულების მოძრაობა	21	253	16
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	22	(15,724)	(7,797)
ადმინისტრაციული ხარჯები	23	(7,147)	(4,325)
სხვა საოპერაციო ხარჯები	24	(2,557)	(270)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		**(4,633)**	**1,643**
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	15	(3,316)	(886)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		169	99
წმინდა საკურსო ზარალი		(7,024)	(1,043)
სხვა არასაოპერაციო დანაკარგები		–	(64)
სხვა არასაოპერაციო მოგება		558	–
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		**(14,246)**	**(251)**
მოგების გადასახადის სარგებელი	7	–	41
წლის ზარალი		**(14,246)**	**(210)**
განკუთვნილი:			
- მშობელი კომპანიის აქციონერებისთვის		(14,246)	(210)
- არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის		–	–
მოგება ერთ აქციაზე:			
- საბაზისო და გაზავებული ზარალი ერთ აქციაზე:	13	(0.000035)	(0.0000011)

* აქ წარმოდგენილი ზოგიერთი თანხა არ შეესაბამება 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შესულ კორექტირებებს. იხ. მე-2 შენიშვნა.

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2017*	*2016 წ. გადაანგარიშებული**
წლის ზარალი		**(14,246)**	**(210)**
სხვა სრული (ზარალი) / შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირებაც ხდება			
საკურსო სხვაობა უცხოური ოპერაციების სხვა ვალუტაში გადაყვანისას		(42)	37
წმინდა სხვა სრული (ზარალი) / შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირებაც ხდება		**(42)**	**37**
წლის მთლიანი სრული ზარალი, წმინდა		**(14,288)**	**(173)**
განკუთვნილი:			
- მშობელი კომპანიის აქციონერებისთვის		(14,288)	(173)
- არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის		–	–

* აქ წარმოდგენილი ზოგიერთი თანხა არ შეესაბამება 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შესულ კორექტირებებს. იხ. მე-2 შენიშვნა.

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	საქციო კაპიტალი	*დამატებითი შენატანები კაპიტალში*	*ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად მიღებული მეტობა*	*უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვი*	*გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)*	*სულ*	*არასაკონ-ტროლო პაკეტი*	*სულ*
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**771**	**12,958**	**3,214**	**(1,777)**	**2,909**	**18,075**	**1**	**18,076**
სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობითი ცვლილების კორექტირება (2.5ა შენიშვნა)	–	–	(3,214)	–	115	**(3,099)**	–	**(3,099)**
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული*)	**771**	**12,958**	**–**	**(1,777)**	**3,024**	**14,976**	**1**	**14,977**
წლის ზარალი	–	–	–	–	(210)	**(210)**	–	**(210)**
სხვა სრული შემოსავალი	–	–	–	37	–	**37**	–	**37**
სააქციო კაპიტალის გამოშვება (მე-13 შენიშვნა)	2,000	25,916	–	–	–	**27,916**	–	**27,916**
გარიგების დანახარჯები	–	(28)	–	–	–	**(28)**	–	**(28)**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული*)	**2,771**	**38,846**	**–**	**(1,740)**	**2,814**	**42,691**	**1**	**42,692**
მოდიფიცირებული რეტროსპექტული გადასვლა ფასს 15-ზე (2.5ბ შენიშვნა)	–	–	–	–	(397)	**(397)**	–	**(397)**
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**2,771**	**38,846**	**–**	**(1,740)**	**2,417**	**42,294**	**1**	**42,295**
წლის ზარალი	–	–	–	–	(14,246)	**(14,246)**	–	**(14,246)**
სხვა სრული ზარალი	–	–	–	(42)	–	**(42)**	–	**(42)**
სააქციო კაპიტალის გამოშვება (მე-13 შენიშვნა)	2,429	39,902	–	–	–	**42,331**	–	**42,331**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,200**	**78,748**	**–**	**(1,782)**	**(11,829)**	**70,337**	**1**	**70,338**

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

* აქ წარმოდგენილი ზოგიერთი თანხა არ შეესაბამება 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შესულ კორექტირებებს. იხ. მე-2 შენიშვნა.

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2017*	*2016 გადაანგარიშებული**
საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		(14,246)	(251)
კორექტირებები გაბეგვრამდელი ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოსაყვანად			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	20, 22, 23, 24	5,203	1,418
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	17	31	21
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		3,316	886
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		(169)	(99)
უიმედო დავალიანების ხარჯი	9	633	79
ბიოპროდუქციის სამართლიანი ღირებულების მოძრაობა		(253)	–
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (მოგება)/ზარალი		(558)	44
ფინანსურ და საინვესტიციო საქმიანობისთვის მიკუთვნებადი წმინდა საკურსო ზარალი		6,577	1,170
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		**534**	**3,268**
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები			
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(7,691)	2,335
ცვლილებები სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებში		(6,779)	(364)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		(2,768)	(659)
ცვლილებები სხვა აქტივებში		22	31
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		6,385	583
ცვლილება სხვა მიმდინარე ვალდებულებებში		190	(246)
ცვლილებები საგადასახადო დავალიანებაში, მოგების გადასახადის გათვალისწინების გარეშე		3,958	(390)
ცვლილებები მიღებულ ავანსებში		(45)	4
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) / საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები, პროცენტისა და მოგების გადასახადის გადახდამდე		**(6,194)**	**4,562**
გადახდილი მოგების გადასახადი		(642)	(659)
გადახდილი პროცენტი	15	(3,956)	(759)
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) / საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(10,792)**	**3,144**
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(46,784)	(43,796)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(274)	(377)
შეზღუდული წვდომის ანგარიშზე ფულადი სახსრების განთავსება		(9,729)	(22,544)
შეზღუდული წვდომის ანგარიშიდან ფულადი სახსრების გამოტანა		22,539	9,482
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		717	62
შეძენილ ძირითად საშუალებებზე წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		–	(2,771)
მიღებული პროცენტი		31	99
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(33,500)**	**(59,845)**
ფინანსური საქმიანობა			
ახალი აქციების გამოშვება	13	42,331	27,888
ნასესხები სახსრების დაფარვა	15	(47,747)	(3,790)
აღებული სესხები	15	64,936	31,021
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**59,520**	**55,119**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		**15,228**	**(1,582)**
საკურსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(190)	556
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12	2,399	3,425
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	12	**17,437**	**2,399**

* აქ წარმოდგენილი ზოგიერთი თანხა არ შეესაბამება 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შესულ კორექტირებებს. იხ. მე-2 შენიშვნა.

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

არაფულადი ოპერაციები:

- 2017 წლის განმავლობაში 2,149 ლარის ნასესხები სახსრები კაპიტალიზდა ძირითადი საშუალებების ნაწილში (2016 წ.: 818 ლარი) და მოიცავდა საპროცენტო ხარჯებს 1,710 ლარის ოდენობით (2016 წ.: 712 ლარი) და საკურსო ზარალს 439 ლარის ოდენობით (2016 წ.: 106 ლარი) (მე-6 შენიშვნა);
- ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის 5,351 ლარს შეადგენდა (2016 წ.: 15,003 ლარი);
- 2017 წლის განმავლობაში კომპანიამ მოახდინა ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსების რეალიზება 261 ლარის ოდენობით (2016 წ.: 482 ლარი);
- ჯგუფმა ვადაზე ადრე მიიღო შემოსავლის აღიარების ახალი სტანდარტი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით, რის შედეგადაც სავაჭრო დებიტორული ანგარიშები დაკორექტირდა (შემცირდა) 1,001 ლარით, ხოლო სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაიზარდა 604 ლარით 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით;
- სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს კაპიტალიზებულ ცვეთას 148 ლარის ოდენობით (2016 წ.: 43 ლარი).

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „თელიანი ველი“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კომპანია“) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2000 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თელავი, თბილისის გზატკეცილი #3. მისი ჩვეულებრივი აქციები განთავსებულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილ კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“). მისი შვილობილი კომპანიები წარმოდგენილია მე-2 შენიშვნაში.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ღვინის, ლუდის ლიმონათისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და დისტრიბუცია, ასევე იმპორტირებული ლუდისა და სხვა სასმელების დისტრიბუცია.

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიმოქცევაში გამოშვებული აქციების 3%-ზე მეტს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები: დანარჩენი აქციონერებიდან თითოეული აქციათა 3%-ზე ნაკლებს ფლობდა.

აქციონერები	*2017 %*	*2016 %*
სს „ჯორჯია კაპიტალი“ (ყოფილი სს „ბიჯეო ინვესთმენთს“)	47.57	23.67
სს „ლიბერთი კონსიუმერი“	28.06	47.75
შპს „ფაიერბერდ რიპაბლიკს ფონდი“	10.51	11.63
შპს „ფაიერბერდ ავრორა ფონდი“	8.57	15.16
შპს „ფაიერბერდ ფონდი“	4.29	–
საქართველოს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული აქციები	0.27	0.74
სხვა	0.73	1.05
სულ	**100.00**	**100.00**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს წევრები ჯგუფის 1,852,591 აქციას ანუ აქციათა 0.36%-ს ფლობენ (2016 წ.: 1,830,111, ანუ 0.66%).

ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ბიჯეო ჯგუფი“.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

2.1 მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ბიოპროდუქციისა და იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

2017 წლის განმავლობაში ჯგუფმა განიცადა 14,246 ლარის ოდენობის ზარალი, ხოლო საოპერაციო საქმიანობაში გამოიყენა 10,792 ლარის ოდენობის წმინდა ფულადი ნაკადები. უარყოფითი საოპერაციო შედეგები 2017 წელს უკავშირდებოდა ბიზნესის ახალი მიმართულებების წამოწყებას ლუდისა და ლიმონათის საწარმოებლად. 2018 წლის შუიდან დაწყებული, ჯგუფი „ჰეინეკენის“ და „კრუშოვიცეს“, ხოლო 2019 წლიდან - „ამსტელის“ ბრენდების ლუდის წარმოებას გეგმავს.

(ათას ლარში)

ახალი ბიზნესმიმართულებების ინვესტიცია და საბრუნავი კაპიტალი დაფინანსდა არსებულ აქციონერებზე აქციების გამოშვებით და ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული გრძელვადიანი სესხით (მე-14 შენიშვნა). ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფის ფულადი სახსრების საჭიროება 12 თვის განმავლობაში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების შემდეგ და მოახდინა პროგნოზი, რომ კაპიტალური დანახარჯების და საბრუნავი კაპიტალის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, დამატებითი დაფინანსება იქნება საჭირო 5,400 ლარის ოდენობით. 2018 წლის 29 მარტს ხელმძღვანელობამ მოიპოვა ფინანსური მხარდაჭერის წერილი სს „ჯორჯია კაპიტალისგან“, რომლის მიხედვითაც, სს „ჯორჯია კაპიტალი“ აცხადებს, რომ აქვს სურვილი და განზრახვა, რომ ჯგუფი უზრუნველყოს 5,500 ლარით, რაც საჭირო იქნება კაპიტალური დანახარჯებისა და საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ ჯგუფი მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ, მოიპოვებს საჭირო ფინანსებს და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევენ, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღება ან მიღების უფლება; და
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების შესაბამისად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან საკონტრაქტო გარიგებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არასაკონტროლო პაკეტის და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებული მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგ შვილობილ კომპანიებს მოიცავს:

(ათას ლარში)

შვილობილი კომპანია	*წილობრივი მონაწილეობა, %*	*ქვეყანა*	*სფერო*	*შეძენის/დაფუძნების თარიღი*
შპს „თელიანი თრეიდინგი“	100.0	საქართველო	საქონლის ბითუმად რეალიზაცია	30 მარტი, 2007 წ.
შპს „თელიანი თრეიდინგი“	100.0	უკრაინა	საქონლის ბითუმად რეალიზაცია	31 ივლისი, 2008 წ.
შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“	100.0	საქართველო	ლუდისა და ლიმონათის წარმოება და დისტრიბუცია	24 დეკემბერი, 2014 წ.
შპს „ლე კავკასი“	100.0	საქართველო	ბრენდის წარმოება	26 მარტი, 2007 წ.
შპს „კუპა“	70.0	საქართველო	მუხის კასრების წარმოება	29 მარტი, 2007 წ.

კომპანიის ორ შვილობილ კომპანიას (შპს „ლე კავკასი“ და შპს „კუპა“) 2009 წლიდან აქტიური ოპერაციები არ ჰქონია.

შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“ დაფუძნდა 2014 წლის დეკემბერში. 2017 წლის ივნისში დაასრულა ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობა და დაიწყო ადგილობრივ „აისის“ ბრენდის ლუდისა და „ბერიკას“ ბრენდის ლიმონათის წარმოება.
2018 წლის განმავლობაში ჯგუფი მოელის დამატებითი კაპიტალური დანახარჯების გაწევას და ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობის დასრულებას „ჰაინეკენისა“ და „კრუშოვიცეს“ ბრენდების ლუდის ჩამოსასხმელად.

შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია მათი შეძენის თარიღიდან, ანუ იმ დღიდან, როდესაც ჯგუფმა მათზე კონტროლი მოიპოვა და მათი კონსოლიდაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც ჯგუფი მათზე კონტროლს დაკარგავს. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალიზებული მოგება და ზარალი, და დივიდენდები, სრულად არის გაქვითული.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ა) შემოსავალი

საქონლის რეალიზაცია

მზა პროდუქციის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ასრულებს აღებულ ვალდებულებას, ანუ, როდესაც საქონელზე კონტროლი გადაეცემა მყიდველს - ჩვეულებრივ, საქონლის ჩაბარების დროს.

მზა პროდუქციის კონსიგნაციით გაყიდვის დროს, შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს, ან გარკვეული ვადის გასვლისას, რომლის განმავლობაშიც საცალო მოვაჭრეს შეუძლია გაუყიდავი საქონლის დაბრუნება. მზა პროდუქციის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება გარიგების წმინდა ფასით, რომელიც ასახავს მომხმარებლისთვის გადასახდელი თანხის კორექტირებებს (ფულადი თანხები, რომლებსაც ჯგუფი უხდის ან მოელის, რომ გადაუხდის მომხმარებელს) და მოცულობის გამო ფასდაკლებებს.

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შედის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

ბ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და დაუმთავრებელი მშენებლობა აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცილებელი, ჯგუფი ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ვაზის გაშენება წარმოდგენს ხარჯს, რომელიც გაიწია ახალი ვაზის ჩასაყრელად და მოსავლელად პირველი მოსავლის მოწევამდე. მას შემდეგ, რაც ვაზი მოსავალს იძლევა, დაგროვილი დანახარჯები მიეკუთვნება მწიფე ვენახებს და მათი სასარგებლო მომსახურების ვადას ერიცხება ცვეთა.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

ვაზი	45-დან 50 წლამდე
შენობა-ნაგებობები	7-დან 50 წლამდე
მანქანა-დანადგარები	5-დან 20 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-დან 7 წლამდე
სხვა	3-დან 8 წლამდე

აქტივების ცვეთა ხდება მათი ექსპლუატაციაში მიღების მომდევნო თვიდან. მიწას და ვენახს ცვეთა არ ერიცხება.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო

(ათას ლარში)

ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

წარმოების პროცესში უშუალოდ მონაწილე ძირითად საშუალებებზე ცვეთის დანარიცხი წარმოადგენს საწარმოო ზედნადებ ხარჯს და აღირიცხება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება (თუ წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაიყიდა) ან, როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები (თუ წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ გაიყიდა).

გ) სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

ისეთი აქტივის შეძენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხის მიღების ხარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხის მიღების ხარჯი შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც კომპანია გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დ) ბიოლოგიური აქტივები და ბიოპროდუქცია

სოფლის მეურნეობის პროდუქცია აღირიცხება ბასს 41-ის *„სოფლის მეურნეობა“* თანახმად. ყურძნის მოსავლის აღება, როგორც წესი, ოქტომბერში ხდება. მოსავლის აღებამდე, ყურძნის მოშენების დანახარჯები აღირიცხება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში. მოსავლის აღებისას ყურძენი ხდება სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ამიტომ ფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით ბასს 41-ის შესაბამისად და სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად ყოველგვარი მოგება თუ ზარალი აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების დროისთვის სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ზოგადად, ჯგუფის ყურძნის ზუსტი საბაზრო ფასით შეფასება შეუძლებელია, რადგან ყურძენი არ იყიდება ღია ბაზარზე, ამიტომ ხელმძღვანელობა ღირებულებას ადგენს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე, წარსულში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით.

გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ეს შეფასება წარმოადგენს ყურძნის პირობით ღირებულებას, რომელიც მოსავლის აღებისას გადაიტანება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში.

ბასს 41-ის მიხედვით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია ასევე ფასდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლო და სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

სამრეწველო მცენარეები აღირიცხება თვითღირებულებით, ბასს 16-ის *„ძირითადი საშუალებები“* შესაბამისად.

ე) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თითოეული პროდუქტის ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად გაწეული ხარჯები შემდეგნაირად აღირიცხება:

- ნედლეული: შესყიდვის ხარჯი საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით;
- მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება: მასალების და მუშახელის პირდაპირი დანახარჯები და საწარმოო ზედნადების წილი ჩვეულებრივი საწარმოო სიმძლავრის პირობებში, მაგრამ ნასესხებ სახსრებზე გაწეული დანახარჯების გამოკლებით

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ჩამოიწერება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

ვ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც, ამავდროულად, ჯგუფის სამუშაო ვალუტაა. ჯგუფი თითოეული წევრისთვის განსაზღვრავს სამუშაო ვალუტას და თითოეული მათგანის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული მუხლები ფასდება ამ სამუშაო ვალუტის გამოყენებით. ჯგუფი კონსოლიდაციის პირდაპირ მეთოდს იყენებს.

(i) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის სამეურნეო ერთეულების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ

(ათას ლარში)

გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

ფულადი მუხლების დაფარვით ან კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ ფულადი მუხლებისა, რომლებიც საზღვარგარეთ საქმიანობაში ჯგუფის წმინდა ინვესტიციების ჰეჯირებისთვის არის განკუთვნილი. ისინი აღირებულია სხვა სრულ შემოსავალში წმინდა ინვესტიციების ჩამოწერამდე, როდესაც ხდება მთლიანი თანხის რეკლასიფიკაცია მოგებაში ან ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში ასევე აისახება ამ ფულადი მუხლების საკურსო სხვაობებზე მიკუთვნებული დარიცხული გადასახადი და კრედიტები. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული მოგებისა და ზარალის აღიარების შესაბამისად (ანუ თუ მუხლების სამართლიანი ღირებულების მოგება ან ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან მოგებაში ან ზარალში, შესაბამისად, მათზე საკურსო სხვაობებიც სხვა სრულ შემოსავალსა თუ მოგებაში ან ზარალში აისახება).

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ii) კომპანიების ჯგუფი

კონსოლიდაციისას საზღვარგარეთ წარმოებული ოპერაციების აქტივები და ვალდებულებები ლარში გადაიყვანება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით, ხოლო მათი მოგება-ზარალის ანგარიშგება გადაიყვანება იმ სავალუტო კურსებით, რომლებიც მოქმედებს შესაბამისი ოპერაციების დღეს. კონსოლიდაციისთვის აუცილებელი კონვერტაციის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში. საზღვარგარეთ წარმოებული ოპერაციების ჩამოწერის შემთხვევაში, სხვა სრული შემოსავლის ამ კონკრეტულ უცხოურ ოპერაციასთან დაკავშირებული კომპონენტის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიხედვით, ლართან მიმართებაში 1 უკრაინული გრივნას ოფიციალური გაცვლითი კურსი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის იყო:

	2017	*2016*
პერიოდის დასასრული	0.0924	0.0977
პერიოდის საშუალო	0.0943	0.0927

როდესაც შიდაჯგუფურ ბალანსზე საკურსო სხვაობა წარმოიშვება, რომელიც არსებითად შეადგენს სამეურნეო სუბიექტის წმინდა ინვესტიციის ნაწილს საზღვარგარეთ წარმოებულ ოპერაციაში, მაშინ საკურსო სხვაობის აღიარება არ ხდება მოგებაში ან ზარალში კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. მისი აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება კაპიტალის ცალკე კომპონენტზე, ამ საზღვარგარეთ წარმოებული ოპერაციის ჩამოწერამდე.

ზ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-7 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც სხვა გადასახადები.

უკრაინაში მიღებული მოგება, რომელიც დაკორექტირდა მუდმივი და დროებითი სხვაობების გასათვალისწინებლად, როგორც ადგილობრივი საგადასახადო კანონმდებლობითაა ნებადართული, იბეგრება მოგების გადასახადით. მოგების გადასახადის განაკვეთი უკრაინაში 18%-ია

უკრაინაში ბუღალტრული გატარებისას, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება, რის შედეგადაც, აქტივებისა

(ათას ლარში)

და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი სხვაობების შედეგად წარმოშობილი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებების ნაწილში. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობის გამოქვითვა.

დამატებითი ღირებულების გადასახადი („დღგ“)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის სავაჭრო დებიტორული თუ სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ნაწილში.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. ამიტომ ჯგუფი თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

თ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ი) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით

(ათას ლარში)

და აღრიცხულია მოგებასა და ზარალში.

ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებს და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს, რომლებიც ბასს 39-ის თანახმად სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას მიეკუთვნება.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება ძირითადად მაშინ წყდება, როდესაც:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა;
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ხელშეკრულება ამაზე, და არც გადაუცია და არც დაუტოვებია აქტივთან დაკავშირებული ძირითადი რისკები და სარგებელი, და არც კონტროლი გადაუცია აქტივზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით.

ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორიცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფულადი სახსრების მომავალი შეფასებული ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელიც ჯერ არ არის გაწეული). სავარაუდო სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი კვლავაც ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას იმ განაკვეთით, რომელიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გაუფასურების შედეგად განცდილი ზარალის შესაფასებლად. საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. სესხები მათ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი, ხოლო უზრუნველყოფა მთლიანად რეალიზებულია ან ჯგუფისათვის არის გადაცემული.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება

(ათას ლარში)

გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ სამომავლო ჩამოწერის ამოღება მოხერხდება, იგი გატარდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილის კრედიტში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემთხვევაში, ამას ემატება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მხოლოდ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას მოიცავს, რაშიც შედის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება და პროცენტიანი სესხები.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

(კ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და ხარჯი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება.

შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში. ჯგუფის არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა 5 წლიდან 10 წლამდეა.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

ლ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება

(ათას ლარში)

არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

ჯგუფი გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი საქმიანობის გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, გაუფასურებელი აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების აღიარებაც სხვა სრულ შემოსავალში მოხდება ნებისმიერი მანამდე მომხდარი გადაფასების თანხამდე.

ისეთი აქტივების შემთხვევაში, რომლებშიც გუდვილი არ შედის, ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. მსგავსი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

მ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან ანაბრებს, რომელთა ვადაც სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისგან და მოკლევადიანი ანაბრებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად.

ნ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა. თუ ჯგუფი მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო კონტრაქტის საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

ო) სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ჯგუფი სოფლის მეურნეობის პროდუქციას საბალანსო ანგარიშის შედგენის ყოველი თარიღისთვის აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

(ათას ლარში)

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ო) სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ა) ცვლილება ძირითადი საშუალებების გარკვეული კლასების შემდგომ აღრიცხვაში

ჯგუფმა ძირითადი საშუალებების სააღრიცხვო პოლიტიკა გადააფასა, კერძოდ ძირითადი საშუალებების გარკვეული კლასების ღირებულება ხელახლა განსაზღვრა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ჯგუფი მანამდე მიწას, შენობა-ნაგებობებს, ვენახებსა და ღვინის ავზებს აღრიცხავდა გადაფასების მოდელით, რომლის მიხედვითაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მიწა, შენობა-ნაგებობები, ვენახები და ღვინის ავზები ფასდებოდა სამართლიანი ღირებულებით გადაფასების თარიღისთვის და აკლდებოდა შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

2017 წლის 1 იანვარს ჯგუფმა გადაწყვიტა მიწისა და შენობა-ნაგებობების, ვენახებისა და ღვინის ავზების აღრიცხვის პოლიტიკის შეცვლა, რადგან ჯგუფის აზრით, თვითღირებულების მოდელი უფრო ზუსტად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას და უფრო მეტად შეესაბამება კონკურენტების მიერ მიღებულ პრაქტიკას. გარდა ამისა, თვითღირებულების მოდელი უფრო მეტად შეესაბამება აქტივების ბიზნესდანიშნულებას, ვინაიდან მათი ღირებულების რეალიზება ძირითადად უწყვეტი გამოყენებით ხდება.

სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის შემდეგ, თავდაპირველი აღიარების მერე ჯგუფი იყენებს თვითღირებულების მოდელს, რომლის მიხედვითაც, ყველა ძირითადი საშუალება აღირიცხება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ჯგუფმა თვითღირებულების მოდელი რეტროსპექტულად გამოიყენა.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

კორექტირებების ეფექტი წარმოდგენილია ქვემოთ:

ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

	1 იანვარი, 2016 წ. კორექტირებებამდე	*სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის ეფექტი*	*1 იანვარი, 2016 წ. გადაანგარიშებული*
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13,198	(3,640)	9,558
სხვა	1,773	–	1,773
სულ გრძელვადიანი აქტივები	**14,971**	**(3,640)**	**11,331**
სულ მიმდინარე აქტივები	**25,668**	**–**	**25,668**
სულ აქტივები	**40,639**	**(3,640)**	**36,999**
კაპიტალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად მიღებული მეტობა	3,214	(3,214)	–
გაუნაწილებელი მოგება	2,909	115	3,024
სხვა	11,953	–	11,953
სულ კაპიტალი	**18,076**	**(3,099)**	**14,977**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	1,585	(541)	1,044
სხვა	9,605	–	9,605
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**11,190**	**(541)**	**10,649**
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**11,373**	**–**	**11,373**
სულ ვალდებულებები	**22,563**	**(541)**	**22,022**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**40,639**	**(3,640)**	**36,999**

ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი, 2016 წ. კორექტირებებამდე	*სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის ეფექტი*	*31 დეკემბერი, 2016 წ. გადაანგარიშებული*
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	71,631	(3,497)	68,134
სხვა	1,406	–	1,406
სულ გრძელვადიანი აქტივები	**73,037**	**(3,497)**	**69,540**
სულ მიმდინარე აქტივები	**38,536**	**–**	**38,536**
სულ აქტივები	**111,573**	**(3,497)**	**108,076**
კაპიტალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად მიღებული მეტობა	3,755	(3,755)	–
გაუნაწილებელი მოგება	2,556	258	2,814
სხვა	39,878	–	39,878
სულ კაპიტალი	**46,189**	**(3,497)**	**42,692**

(ათას ლარში)

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	7,611	–	7,611
სულ მიმდინარე ვალდებულებები	57,773	–	57,773
სულ ვალდებულებები	65,384	–	65,384
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	111,573	(3,497)	108,076

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ამონარიდი მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2016 კორექტირებებამდე	*სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის ეფექტი*	*2016 გადაანგარიშებული**
საქონლის რეალიზაცია	29,793	–	29,793
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(15,917)	143	(15,774)
საერთო მოგება	**13,876**	**143**	**14,019**
სხვა	(12,376)	–	(12,376)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი	**1,500**	**143**	**1,643**
სხვა	(1,894)	–	(1,894)
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე	**(394)**	**143**	**(251)**
მოგების გადასახადის სარგებელი	41	–	41
წლის ზარალი	**(353)**	**143**	**(210)**

ამონარიდი სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31 დეკემბერი, 2016 წ., კორექტირებებამდე	*სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის ეფექტი*	*31 დეკემბერი, 2016 წ. გადაანგარიშებული**
წლის ზარალი	**(353)**	**143**	**(210)**
წმინდა სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი), რომლის რეკლასიფიცირებაც ხდება შემდეგი პერიოდების მოგებაში ან ზარალში	37	–	37
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება	541	(541)	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი), წმინდა	**225**	**(398)**	**(173)**

ამონარიდი ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31 დეკემბერი, 2016 წ. კორექტირებებამდე	*სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის ეფექტი*	*31 დეკემბერი, 2016 წ. გადაანგარიშებული**
საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე	(394)	143	(251)
კორექტირებები დასაბეგრი ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოსაყვანად			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	1,561	(143)	1,418
სხვა კორექტირებები	2,225	–	2,225
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**3,144**	**–**	**3,144**
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა	**(59,845)**	**–**	**(59,845)**

(ათას ლარში)

ფულადი ნაკადები			
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**55,119**	**–**	**55,119**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა	**(1,582)**	**–**	**(1,582)**
საკურსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	556	–	556
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3,425	–	3,425
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**2,399**	**–**	**2,399**

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ბ) ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება და სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობითი ცვლილება

ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ცვლილების ხასიათსა და გავლენას:

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში, და შეიცვალა 2016 წლის აპრილში, და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ჯგუფმა ვადაზე ადრე გამოიყენა შემოსავლის აღიარების ახალი სტანდარტი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. ვადაზე ადრე გამოყენების შედეგად გაუნაწილებელი მოგება შემცირდა 397 ლარით, და სასაქონლო-მატერიალური მარაგები შესაბამისად გაიზარდა (604 ლარი), ხოლო მოთხოვნები შემცირდა (1,001 ლარი).

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ღვინის, ლუდის ლიმონათისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და დისტრიბუცია, ასევე იმპორტირებული ლუდისა და სხვა სასმელების დისტრიბუცია. ჯგუფის კლიენტები არიან საცალო ვაჭრობის მაღაზიები, მომცრო სუპერმარკეტები, რესტორნები და ბარები. ფასს 15-მა შემდეგი გავლენა მოახდინა მის შემოსავლების აღიარების პრინციპებზე:

(i) პრინციპალის და აგენტის საკითხები

ვინაიდან ჯგუფი ალკოჰოლურ და არაალკოჰოლურ სასმელებს საბოლოო მომხმარებლებზე ყიდის მაღაზიების, მცირე სუპერმარკეტების, ბარებისა და რესტორნების მეშვეობით (შუამავალი გამყიდველები), ხელმძღვანელობას ესაჭიროება იმის განსაზღვრა, აკონტროლებს თუ არა ჯგუფი ამ საქონელს საბოლოო მომხმარებლებზე გადაყიდვამდე. გარკვეული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების მიხედვით, შუამავალ გამყიდველებს უპირობო უფლება აქვთ, გაუყიდავი საქონელი ჯგუფს დაუბრუნონ და ჯგუფმა სრულად უნდა დაიბრუნოს გაუყიდავი საქონელი ნებისმიერ დროს კონკრეტული პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გასვლამდე. შესაბამისად, ასეთი ტიპის ხელშეკრულებების გაფორმებისას ჯგუფი იტოვებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების რისკს მანამ, სანამ საქონელი არ გადაიყიდება საბოლოო მომხმარებლებზე. ფასს 15-ის თანახმად, ხელმძღვანელობამ არ აღიარა ასეთი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი საბოლოო მომხმარებლების მიერ საქონლის შესყიდვამდე. 2017 წლის 1 იანვრისთვის საწყის ნაშთებში შეტანილი კორექტირებები გულისხმობდა საქონლის გაყიდვის შედეგად სავაჭრო მოთხოვნების შემცირებას 1,001 ლარით, სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდას 604 ლარით და გაუნაწილებელი მოგების შემცირებას 397 ლარით.

(ii) გარიგების ფასის განსაზღვრა

ფასს 15-ის მიხედვით, ჯგუფის მიერ თავისი მომხმარებლებისთვის გადასახდელი საზღაური აღირიცხება როგორც გარიგების ფასის შემცირება, რადგან ხელმძღვანელობის შეფასებით, ასეთი გადახდები არ ეხება მომხმარებლის მიერ ჯგუფისთვის მიწოდებულ გარკვეულ საქონელს ან მომსახურებას. წინა სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, ასეთი გადახდები აისახებოდა რეალიზაციის და მარკეტინგის ხარჯებში. ფასს 15-ზე გადასვლის შედეგად, ჯგუფმა რეალიზაციის და მარკეტინგის ხარჯებიდან 4,416 ლარი გადაიტანა შემოსავალში.

(iii) ხელშეკრულების შესრულების ვალდებულების განსაზღვრა

ხელმძღვანელობის შეფასებით, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების გაყიდვა და შესაბამისი მარკეტინგული მასალების უსასყიდლო მიწოდება ხელშეკრულების შესრულების ცალ-ცალკე ვალდებულებას წარმოადგენს. თუმცა, ამას გავლენა არ მოუხდენია შემოსავლის განაწილებაზე, რადგან ხელშეკრულების შესრულების ორივე ვალდებულება ერთდროულად შესრულდა. ვინაიდან ამ მარკეტინგული მასალების

(ათას ლარში)

თვითღირებულება ადრე რეალიზაციის და მარკეტინგის ხარჯებში აღირიცხებოდა, ხელმძღვანელობამ 1,248 ლარის ოდენობის ეს ხარჯები გადაიტანა გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში.

(iv) წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები

ფასს 15-ში უფრო დეტალურად არის ასახული წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები, ვიდრე ახლანდელ ფასს-ში. კერძოდ, ჯგუფმა განავრცო განმარტებითი შენიშვნები შემოსავლის აღიარებისას გამოყენებული განსჯისა (მე-3 შენიშვნა) და სახელშეკრულებო ნაშთების შესახებ (მე-19 შენიშვნა).

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

შემოსავლის ახალი სტანდარტის მოთხოვნით, ფასს 15-ის ვადაზე ადრე მიღების გავლენა განმარტებით შენიშვნებში შემდეგნაირად უნდა აისახოს:

ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი, 2016 წ, ანგარიშგებაში ასახული	*ფასს 15-ის მიღების ეფექტი*	*1 იანვარი, 2017 წ.*
სულ გრძელვადიანი აქტივები	**69,540**	**–**	**69,540**
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8,426	604	9,030
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	6,755	(1,001)	5,754
სხვა	23,355	–	23,355
სულ მიმდინარე აქტივები	**38,536**	**(397)**	**38,139**
სულ აქტივები	**108,076**	**(397)**	**107,679**
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	2,814	(397)	2,417
სხვა	39,878	–	39,878
სულ კაპიტალი	**42,692**	**(397)**	**42,295**
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**7,611**	**–**	**7,611**
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**57,773**	**–**	**57,773**
სულ ვალდებულებები	**65,384**	**–**	**65,384**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**108,076**	**(397)**	**107,679**

ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი, 2017 წ. თანხები ფასს 15-ის მიღების გათვალისწინების გარეშე	*ფასს 15-ის მიღების ეფექტი*	*31 დეკემბერი, 2017 წ. ანგარიშგებაში ასახული*
სულ გრძელვადიანი აქტივები	**104,549**	**–**	**104,549**
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	16,046	1,076	17,122
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	13,693	(1,793)	11,900
სხვა	24,620	–	24,620
სულ მიმდინარე აქტივები	**54,359**	**(717)**	**53,642**
სულ აქტივები	**158,908**	**(717)**	**158,191**
კაპიტალი			

(ათას ლარში)

გაუნაწილებელი მოგება	(11,112)	(717)	(11,829)
სხვა	82,167	–	82,167
სულ კაპიტალი	**71,055**	**(717)**	**70,338**
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**61,482**	**–**	**61,482**
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**26,371**	**–**	**26,371**
სულ ვალდებულებები	**87,853**	**–**	**87,853**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**158,908**	**(717)**	**158,191**

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ამონარიდი მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი, 2017 წ. თანხები ფასს 15-ის მიღების გათვალისწინების გარეშე	*ფასს 15-ის მიღების ეფექტი*	*31 დეკემბერი, 2017 წ. ანგარიშგებაში ასახული*
საქონლის რეალიზაცია	60,183	(5,208)	54,975
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(33,657)	(776)	(34,433)
საერთო მოგება	**26,526**	**(5,984)**	**20,542**
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(21,201)	5,664	(15,537)
სხვა	(9,638)	–	(9,638)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი	**(4,313)**	**(320)**	**(4,633)**
სხვა	(9,613)	–	(9,613)
წლის ზარალი	**(13,926)**	**(320)**	**(14,246)**
მოგება ერთ აქციაზე:			
- საბაზისო და გაზავებული ზარალი ერთ აქციაზე:	(0.000034)	(0.000001)	(0.000035)

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება: ინფორმაციის გახსნის ინიციატივა“

ცვლილებების თანახმად, საწარმოებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, როგორც ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებების, ისე არაფულადი ცვლილებების (როგორიცაა საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი) ჩათვლით. ჯგუფმა მე-15 შენიშვნაში როგორც ამჟამინდელი, ისე შედარებადი პერიოდის ინფორმაცია წარმოადგინა.

ცვლილებები ბასს 12-ში „მოგებიდან გადასახადები: გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება არარეალიზებულ ზარალთან მიმართებით“

ცვლილებები განმარტავს, რომ საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, ხომ არ ზღუდავს საგადასახადო კანონმდებლობა დასაბეგრი მოგების წყაროებს, რომლებიდანაც მან შეიძლება მოახდინოს გაქვითვები არარეალიზებულ ზარალთან დაკავშირებული გამოსაქვითი დროებითი სხვაობის შემობრუნებისას. ამასთან, ცვლილებები განმარტავს, როგორ უნდა განსაზღვროს საწარმომ მომავალში მისაღები დასაბეგრი მოგება და განსაზღვრავს გარემოებებს, რომლებშიც დასაბეგრი მოგება შეიძლება მოიცავდეს გარკვეული აქტივების ამოღებას საბალანსო ღირებულებაზე მეტი ღირებულებით. ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან მას არ აქვს დასაბეგრი მოგება ახალი საგადასახადო მოდელის შემოღების შემდეგ, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს (მე-7 შენიშვნა).

გ) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოსცა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ ბოლო ვერსია, რომელიც ანაცვლებს ბასს 39-ს *„ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“* და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება,

(ათას ლარში)

გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით.

ჯგუფი აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღისთვის და არ გადაიანგარიშებს შედარებად ინფორმაციას. საერთო ჯამში, ფასს 9-ის მიღების შემდეგ ჯგუფი არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავისი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე და კონსოლიდირებულ კაპიტალზე.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

(i) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიღება იმოქმედებს ჯგუფის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მაგრამ გავლენას არ იქონიებს ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე. სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს ჯგუფი ფლობს იმისათვის, რომ მიიღოს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფულადი სახსრები და მოსალოდნელია, რომ დებიტორული ანგარიშები წარმოშობს მხოლოდ ძირითადი თანხის დაფარვასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს. ამრიგად, ჯგუფი მოელის, რომ ეს აქტივები ფასს 9-ის მიხედვითაც ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება. ჯგუფმა გააანალიზა ამ ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და დაასკვნა, რომ ისინი აკმაყოფილებს ფასს 9-ის მიხედვით ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კრიტერიუმებს. ამიტომ ამ ინსტრუმენტების ხელახლა კლასიფიკაცია სავალდებულო არ არის.

(ii) გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, ჯგუფს ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა სავალო ფასიან ქაღალდზე, სესხსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. ჯგუფი გამოიყენებს გამარტივებულ მიდგომას და აღრიცხავს ყველა სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე მოსალოდნელ ზარალს მათი მთლიანი ვადის განმავლობაში. ჯგუფი არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის კონსოლიდირებულ კაპიტალზე, რადგან მისი სესხები და მისაღები ანგარიშები არ არის უზრუნველყოფილი, მაგრამ გავლენის მასშტაბის დასადგენად იგი ჩაატარებს დამატებით დეტალურ ანალიზს, რომელიც გაითვალისწინებს ყველა გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, საპროგნოზო ელემენტების ჩათვლით.

(iii) ჰეჯირების აღრიცხვა

ჯგუფს ამ ეტაპზე არ აქვს ჰეჯირების ურთიერთობა, ამიტომ იგი არ მოელის ფასს 9-ის გავლენას მისი შემოღების შედეგად.

ფასს 16 „იჯარა“

ფასს 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს 17-ს *„იჯარა“*, ფაისკ 4-ს *„როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“*, იმკ 15-ს *„საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“* და
იმკ 27-ს *„გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“*.
ფასს 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება).

მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16 როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების

(ათას ლარში)

წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ახალ სტანდარტზე გადასვლის გავლენას.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მოსაზრებები

შემოსავლის აღიარება - საქონელზე კონტროლის გადაცემა

ხელმძღვანელობა განსჯის საფუძველზე განსაზღვრავს, აკონტროლებს თუ არა ჯგუფი შუამავალი გამყიდველებისთვის მიწოდებულ საქონელს, საბოლოო მომხმარებლებზე მათ გადაყიდვამდე. ყიდვა-გაყიდვის გარკვეული ხელშეკრულებების მიხედვით, შუამავალი გამყიდველები ვალდებულები არიან, რომ საქონლის ღირებულება გადაიხადონ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას გადაყიდიან საბოლოო მომხმარებელზე და აქვთ უპირობო უფლება, დაუბრუნონ გაუყიდავი საქონელი ჯგუფს ნებისმიერ დროს, პროდუქტის ვარგისიანობის გასვლამდე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით, ჯგუფი ინარჩუნებს საქონელზე კონტროლს მანამ, სანამ არ მოხდება მისი გადაყიდვა საბოლოო მომხმარებლებზე და არ აღიარებს შემოსავალს ამ მომენტამდე.

წმინდა ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

ჯგუფი თავისი სავაჭრო მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაწილს უკრაინაში თავისი შვილობილი საწარმოს მიმართ, თავისი წმინდა ინვესტიციის ნაწილად აღრიცხავს. ხელმძღვანელობის აზრით, ამ შიდაჯგუფური თანხების ამოღება მოსალოდნელი არ არის ახლო მომავალში და ეს დამოკიდებულია უკრაინული შვილობილი საწარმოს საერთო შედეგებზე, ამიტომ ეს თანხები შეადგენს უკრაინაში მდებარე შვილობილ საწარმოში ჯგუფის წმინდა ინვესტიციის ნაწილს. ამ ფულად მუხლებზე საკურსო სხვაობების აღიარება თავდაპირველად ხდება სხვა სრულ შემოსავალში. ამ განსჯის თანახმად, 2017 წელს 564 ლარის საკურსო ზარალი აისახა სხვა სრული შემოსავლის ნაწილში (2016 წ.: 54 ლარი).

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება

ჯგუფის მიერ აღებული მოსავალი შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით მოსავლის აღების დროისთვის. ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების დროისთვის სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ზოგადად, ჯგუფის ყურძნის ზუსტი საბაზრო ფასით შეფასება შეუძლებელია, რადგან ყურძენი არ იყიდება ღია ბაზარზე, ამიტომ ხელმძღვანელობა ღირებულებას ადგენს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე, წარსულში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. ჯგუფი თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფი ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიანიშნებს ჯგუფში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან

(ათას ლარში)

ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დარყდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

ხელმძღვანელობის შეფასებით, 2,320 ლარის (2016 წ.: 1,687 ლარი) ოდენობის უიმედო თანხების რეზერვი ყველაზე ზუსტად ასახავს დებიტორული დავალიანების გაუფასურებით გამოწვეულ შესაძლო დანაკარგებს (მე-9 შენიშვნა).

4. უკრაინის ეკონომიკური ვითარება

2017 წელს უკრაინის საბანკო სისტემა უფრო მოქნილი და უკეთ კაპიტალიზებული გახდა. სამწლიანი პაუზის შემდეგ ბანკებმა ისევ დაიწყეს კრედიტების გაცემა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. ამას წინ უძღოდა დადებითი ძვრები უკრაინის ეკონომიკაში. 2014-2015 წლების კრიზისის შემდეგ უკრაინის ეკონომიკამ აღმავლობა დაიწყო და შეინარჩუნა მშპ-ის ზრდის დადებითი ტემპი (2017 წლის პირველი კვარტალის გარდა). ეკონომიკური ზრდა ნელი, მაგრამ დადებითი იყო. ხოლო, ფართო მოხმარების საქონელსა და ინვესტიციებზე მოთხოვნა სწრაფად გაიზარდა. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს აღმავლობა დაედო საფუძვლად მშპ-ის ზრდის დაჩქარებულ ტემპს, რომელიც 2018 წელს 2-3%-მდე გაიზარდა.

(ათას ლარში)

4. უკრაინის ეკონომიკური ვითარება (გაგრძელება)

უკრაინის ეროვნული ბანკის მოლოდინით, ინფლაციის ტემპი შენელდება 2018 წელს. 2017 წლის ბოლოს უკრაინის ეროვნულმა ბანკმა ორჯერ, ჯამში ორი პროცენტით, გაზარდა ძირითადი განაკვეთი 14.5%-მდე. მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შესახებ გადაწყვეტილება ძირითადად განაპირობა 2018 წლის დასაწყისში ინფლაციის მიზნობრივ დონეებამდე დაყვანის საჭიროებამ. გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის დახმარებით მოსალოდნელი ინფლაციის ზრდა თავიდან იქნება აცილებული.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის წმინდა აქტივები, რომლებზეც ქვეყნის რისკი ვრცელდება, დაახლოებით 4,419 ლარს შეადგენდა (2016 წ.: 3,600 ლარი). უკრაინაში მიმდინარე არასახარბიელო მოვლენებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფისა და მისი უკრაინული შვილობილი საწარმოს ფინანსურ შედეგებზე და მდგომარეობაზე, თუმცა მათი გავლენის ზუსტი განსაზღვრა ამ ეტაპზე შეუძლებელია.

5. შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

ჯგუფის დირექტორებმა საქმიანობის შეფასების საზომად წარმოადგინეს EBITDA, რადგან ისინი ამ მაჩვენებელს მონიტორინგს უწევენ კონსოლიდირებულ დონეზე და მიაჩნიათ, რომ ის რელევანტურია ჯგუფის ფინანსური შედეგების შეფასებისთვის. EBITDA გამოითვლება მოგების დაკორექტირებით ისე, რომ არ იქნეს გათვალისწინებული გადასახადის გავლენა, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული წმინდა დანახარჯები, ცვეთა, ამორტიზაცია, საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი და სხვა არარეგულარული შემოსავალი და ხარჯი. ფასს არ განსაზღვრავს EBITDA-ს, როგორც შედეგების საზომს. ჯგუფის მიერ EBITDA-ს განმარტება შესაძლოა არ იყოს შედარებადი საქმიანობის შედეგების ანალოგიური სახელწოდების საზომებთან და სხვა საწარმოების მიერ გაცხადებულ ინფორმაციასთან.

დაკორექტირებული EBITDA-ს შეჯერება მოგებასთან ასე გამოიყურება:

	შენიშვნა	*2017*	*2016 წ. გადაანგარიშებული*
წლის ზარალი		**(14,246)**	**(210)**
მოგების გადასახადის სარგებელი	7	–	(41)
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		**(14,246)**	**(251)**
კორექტივები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	20, 22, 23, 24	5,234	1,396
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		3,316	886
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		(169)	(99)
საკურსო ზარალი		7,024	1,043
სხვა არასაოპერაციო დანაკარგები		–	64
სხვა არასაოპერაციო მოგება		(558)	–
EBITDA		**601**	**3,039**

(ათას ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	*შენობა-ნაგებობები*	*მანქანა-დანადგარები*	*ავტოსატრანსპორტო საშუალებები*	*სხვა*	*ვაზი*	*ვენახის გაშენება*	*დაუმთავრებელი მშენებლობა*	*სულ*
თვითღირებულება გადაანგარიშებული 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,146**	**2,849**	**7,318**	**1,070**	**590**	**1,155**	**116**	**71**	**14,315**
შემოსვლები	–	24	945	251	63	–	30	58,787	**60,100**
გასვლები	(31)	–	(15)	(175)	(29)	(70)	–	–	**(320)**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,115**	**2,873**	**8,248**	**1,146**	**624**	**1,085**	**146**	**58,858**	**74,095**
შემოსვლები	–	11	18,286	4,864	942	–	2	15,436	**39,541**
გასვლები	–	(202)	(71)	(130)	(10)	–	–	–	**(413)**
გადატანა დაუმთავრებელი მშენებლობიდან	–	14,917	59,202	–	–	–	–	(74,119)	**–**
საკურსო სხვაობა	–	–	–	–	(5)	–	–	–	**(5)**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,115**	**17,599**	**85,665**	**5,880**	**1,551**	**1,085**	**148**	**175**	**113,218**
ცვეთა გადაანგარიშებული 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**–**	**13**	**3,646**	**636**	**462**	**–**	**–**	**–**	**4,757**
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში, გადაანგარიშებული	–	199	910	183	52	74	–	–	**1,418**
ცვეთა აქტივის გასვლისას	–	–	(8)	(174)	(28)	(4)	–	–	**(214)**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**–**	**212**	**4,548**	**645**	**486**	**70**	**–**	**–**	**5,961**
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	–	445	4,000	664	172	70	–	–	**5,351**
ცვეთა აქტივის გასვლისას	–	(60)	(69)	(115)	(10)	–	–	–	**(254)**
საკურსო სხვაობა	–	–	–	–	(8)	–	–	–	**(8)**

(ათას ლარში)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	597	8,479	1,194	640	140	–	–	11,050
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,146	2,836	3,672	434	128	1,155	116	71	9,558
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,115	2,661	3,700	501	138	1,015	146	58,858	68,134
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,115	17,002	77,186	4,686	911	945	148	175	102,168

(ათას ლარში)

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ჯგუფმა ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობა 2017 წლის მაისში დაასრულა. 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაციამ შეადგინა 2,149 ლარი (2016 წ.: 818 ლარი) და მოიცავდა ფინანსურ საქმიანობაზე გაწეულ დანახარჯებს 1,710 ლარის ოდენობით (2016 წ.: 712 ლარი) და საკურსო ზარალს 439 ლარის ოდენობით (2016 წ.: 106 ლარი).

ჯგუფმა წარმოადგინა ძირითადი საშუალებები საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციისგან, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისა და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან მიღებული გარე სესხების უზრუნველსაყოფად (მე-18 შენიშვნა).

7. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა მთლიანად შეაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს 12-ის *„მოგებიდან გადასახადები“* შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

2017 წელს კომპანიას დივიდენდი არ გადაუხდია, ამიტომ განაწილებულ მოგებაზე (დივიდენდებზე) დარიცხული მოგების გადასახადი ნულს გაუტოლდა. 2016 წელს ჯგუფმა აღიარა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შემობრუნების შედეგად მიღებული მოგების გადასახადის 704 ლარის ოდენობის სარგებელი მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მოგების გადასახადის სარგებელი მოიცავს შემდეგს:

	2017	*2016*
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება		
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	–	663
მოგების გადასახადის გადავადებული სარგებელი	–	(704)
მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გაცხადებული მოგების გადასახადის სარგებელი	**–**	**(41)**

მოგების გადასახადის სარგებლისა შეჯერება საქართველოს შიდა საგადასახადო განაკვეთისა და სააღრიცხვო მოგების ნამრავლთან 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ასეთია:

	2017	*2016*
წმინდა დივიდენდები / დასაბეგრი მოგება	**–**	**(394)**
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	**15/85**	**15%**
თეორიული მოგების გადასახადის სარგებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთის მიხედვით	–	(59)
უსასყიდლო მიწოდება	–	136
მარკეტინგის ხარჯი	–	69

(ათას ლარში)

რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული შემოსავალი	–	(15)
ცვლილება გადავადებული საგადასახადო აქტივის რეზერვში	–	329
საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების ეფექტი	–	(446)
უკრაინაში მოქმედი უფრო მაღალი გადასახადის ეფექტი	–	(55)
მოგების გადასახადის სარგებელი წლის განმავლობაში	**–**	**(41)**

2017 წელს ჯგუფის უკრაინულმა შვილობილმა საწარმომ განიცადა წმინდა საგადასახადო ზარალი 820 ლარის ოდენობით (2016 წ.: 633 ლარი). ამრიგად, ჯგუფმა არ გადაიხადა მოგების გადასახადი უკრაინაში.

(ათას ლარში)

7. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა მომდევნო პერიოდებზე შეუზღუდავი ვადით გადატანილი საგადასახადო ზარალი 8,471 ლარის ოდენობით (2016 წ.: 7,650 ლარი) უკრაინაში არსებული შვილობილი კომპანიისგან. რადგან ზემოაღნიშნული ზარალის სამომავლო გამოყენების პროგნოზირება შეუძლებელია, ჯგუფმა აღიარა რეზერვი შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი დინამიკა შესაბამის წლებში ასეთია:

	2016 გადაანგა-რიშებული	*ცვლილება მოგება-ზარალის კონსოლი-დირებულ ანგარიშგებაში ასახვით*	*ცვლილება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახვით*	*2017*
გადავადებული საგადასახადო აქტივები				
მომდევნო პერიოდებში გადატანილი ზარალი	1,377	147	–	1,524
მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივები	**1,377**	**–**	**–**	**1,525**
აუღიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივები	(1,377)	(147)	–	(1,524)
გადავადებული საგადასახადო აქტივები, სულ	**–**	**–**	**–**	**–**

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი დინამიკა შესაბამის წლებში ასეთია:

	2015 გადაანგა-რიშებული	*ცვლილება მოგება-ზარალის კონსოლი-დირებულ ანგარიშგებაში ასახვით*	*ცვლილება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახვით*	*2016*
გადავადებული საგადასახადო აქტივები				
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	261	(261)	–	–
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	49	(49)	–	–
სხვა ვალდებულებები	65	(65)	–	–
მომდევნო პერიოდებში გადატანილი ზარალი	1,228	149	–	1,377
მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივები	**1,603**	**(226)**	**–**	**1,377**
აუღიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივები	(1,263)	(114)		(1,377)
გადავადებული საგადასახადო აქტივები, სულ	**340**	**(340)**	**–**	**–**
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები				
ძირითადი საშუალებები	(1,545)	1,004	541	–
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	(44)	44	–	–
არამატერიალური აქტივები	(11)	11	–	–
გადახდილი ავანსები	15	(15)	–	–
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები, სულ	**(1,585)**	**1,044**	**541**	**–**
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	**(1,245)**	**704**	**541**	**–**

(ათას ლარში)

(ათას ლარში)

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	*2016*
ნედლეული	8,037	3,763
წარმოების დამხმარე მასალა	3,005	1,546
მზა პროდუქცია (წარმოებული)	2,976	1,181
მზა პროდუქცია (იმპორტი)	2,150	1,306
დაუმთავრებელი წარმოება	291	296
სხვა მარაგები	663	334
	17,122	**8,426**

9. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

სავაჭრო დებიტორული ანგარიშების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურებოდა

	2017	*2016*
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	14,220	8,442
გამოკლებული: საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიში	(2,320)	(1,687)
	11,900	**6,755**

საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშის ცვლილება 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	*2016*
1 იანვრის მდგომარეობით	**1,687**	**1,608**
დარიცხვა წლის განმავლობაში	633	79
31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,320**	**1,687**

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და მათი ვადა, როგორც წესი, 30-90 დღეა.

31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო დებიტორული დავალიანების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

2017	*არც ვადაგადა-ცილებული და არც გაუფასუ-რებული*	*<30 დღე*	*30-90 დღე*	*90-180 დღე*	*სულ*
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	8,328	2,418	1,141	13	**11,900**

2016	*არც ვადაგადა-ცილებული და არც გაუფასუ-რებული*	*<30 დღე*	*30-90 დღე*	*90-180 დღე*	*სულ*
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	6,468	211	58	18	**6,755**

(ათას ლარში)

10. გადახდილი ავანსები

31 დეკემბრის მდგომარეობით, გრძელვადიან აქტივებში შემდეგი გადახდილი ავანსები აისახა:

	2017	*2016*
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	566	827
კლიენტებისთვის გადახდილი ავანსები (ა)	1,092	99
	1,658	**926**

(ა) ჯგუფი კლიენტებს წინასწარ საზღაურს უხდის ახალი ხელშეკრულებების გაფორმების ან არსებული ხელშეკრულებების განახლებისთვის. ეს ხარჯები გადავადდება მანამ, სანამ არ გახდება ამოღებადი მომავალი მოგებიდან. კლიენტებისთვის გადახდილი ავანსები ამორტიზდება წრფივი მეთოდით ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში, რაც ერთიდან სამ წელს შეადგენს. ამორტიზაციის თანხა აღირიცხება, როგორც გარიგების ფასის შემცირება ფასს 15-ის შესაბამისად.

31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე აქტივებში შემდეგი გადახდილი ავანსები აისახა:

	2017	*2016*
კლიენტებისთვის გადახდილი ავანსები	1,710	296
ნედლეულსა და საქონელში გადახდილი ავანსები	300	259
მარკეტინგულ მომსახურებაში გადახდილი ავანსები	227	–
სესხის ასაღებად გადახდილი ავანსები	–	174
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისთვის გადახდილი ავანსები	–	63
სხვა	558	228
	2,795	**1,020**

11. შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები

	2017	*2016*
ფულადი შენატანი საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციასთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში (მე-14 შენიშვნა)	1,759	1,796
ფულადი შენატანი თიბისი ბანკთან გაფორმებული აგროსესხის ფარგლებში (მე-14 შენიშვნა)	2,600	1,500
გარანტია მომწოდებლის აკრედიტივისთვის	–	13,738
	4,359	**17,034**

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	*2016*
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	16,862	2,093
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	575	306
	17,437	**2,399**

მიმდინარე ანგარიშებს ერიცხება წლიური 2%-5%.

(ათას ლარში)

13. კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააქციო კაპიტალი მოიცავდა 520,000,000 ჩვეულებრივ აქციას (2016 წ.: 400,000,000), რომლებიც გამოშვებული და სრულად გადახდილი იყო (2016 წ.: 277,094,255). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 0.00001 ლარი.

2017 წლის განმავლობაში ჯგუფმა რამდენჯერმე გამოუშვა აქციები თავისი არსებული აქციონერებისთვის. 2017 წლის იანვარში ჯგუფმა გამოუშვა 92,310,000 ახალი აქცია და მოიზიდა 16,154 ლარი, რათა დაეფარა აქციონერებისგან მიღებული მოკლევადიანი ბრიჯ-კრედიტი. 2017 წლის ივნისში ჯგუფმა დამატებით გამოუშვა 82,547,143 აქცია და მოიზიდა 13,961 ლარი, რათა დაეფინანსებინა ლუდის წარმოებასთან დაკავშირებული საბრუნავი კაპიტალი. 2017 წლის დეკემბერში 67,738,602 აქცია იქნა გამოშვებული და 12,216 ლარი იქნა მოზიდული. მოზიდული თანხით ჯგუფი გაისტუმრებს ვალდებულებებს, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დაუფარავი იყო და აპირებს ლუდსახდელი ქარხნისთვის დამატებითი აღჭურვილობის შეძენას.

აქციონერებმა ჯგუფის სააქციო კაპიტალი მთლიანად ლარში გადაიხადეს და მათ უფლება აქვთ მიიღონ დივიდენდები ლარში.

2017 და 2016 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

შემოსავალი აქციაზე

საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება მოცემული წლისათვის ჯგუფის ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა მოგების/ზარალის შეფარდებით წლის განმავლობაში აქციონერთა მფლობელობაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილთან. ჯგუფის გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე უდრის საბაზისო შემოსავალს ერთ აქციაზე, რადგან ჯგუფს არ აქვს გაზავებადი პოტენციური ჩვეულებრივი აქციები.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია შემოსავლებისა და აქციების შესახებ მონაცემები, რომლებიც გამოყენებულია ერთ აქციაზე საბაზისო და გაზავებული შემოსავლის გამოსათვლელად:

	2017	*2016*
ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისთვის მიკუთვნებადი წლის ზარალი	(14,246)	(210)
ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილი	4,08625,000	197,642,200
საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე	**(0.0000035)**	**(0.0000011)**

14. პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები

	დაფარვის ვადა	*ვალუტა*	*2017*
გრძელვადიანი პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები			
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 18.5 მილიონი ევროს სესხი (ა)	20 ოქტომბერი, 2025 წ.	ევრო	56,307
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 8 მილიონი აშშ დოლარის სესხი (ბ)	31 მარტი, 2021 წ.	აშშ დოლარი	5,175
			61,482
მოკლევადიანი პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები			
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 18.5 მილიონი ევროს სესხი (ა)	20 ოქტომბერი, 2025 წ.	ევრო	1,972
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 8 მილიონი აშშ დოლარის სესხი (ბ)	31 მარტი, 2021 წ.	აშშ დოლარი	2,902
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული 5 მილიონი ლარის სესხი (დ)	15 დეკემბერი, 2018 წ.	ლარი	4,868
სხვა	31 დეკემბერი,	აშშ	53

(ათას ლარში)

2017 წ.	დოლარი	
		9,795
		71,277

(ათას ლარში)

14. პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები (გაგრძელება)

	დაფარვის ვადა	*ვალუტა*	*2016*
გრძელვადიანი პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები			
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 8 მილიონი აშშ დოლარის სესხი (ბ)	31 მარტი, 2021 წ.	აშშ დოლარი	7,611
მოკლევადიანი პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები			
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 8 მილიონი აშშ დოლარის სესხი (ბ)	31 მარტი, 2021 წ.	აშშ დოლარი	3,120
აქციონერებისგან მიღებული 6 მილიონი აშშ დოლარის სესხი (გ)	15 თებერვალი, 2017 წ.	აშშ დოლარი	16,597
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული 0.5 მილიონი ევროს სესხი (გ)	28 თებერვალი, 2017 წ.	ევრო	1,538
აქციონერისგან მიღებული 0.7 მილიონი აშშ დოლარის სესხი (გ)	24 თებერვალი, 2017 წ.	აშშ დოლარი	2,027
5 მილიონი ევროს საბანკო სესხი (გ)	30 ივნისი, 2017 წ.	ევრო	13,791
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული 1.5 მილიონი ლარის სესხი (დ)	15 ივნისი, 2017 წ.	ლარი	1,482
სხვა	31 დეკემბერი, 2016 წ.	აშშ დოლარი	55
			38,610
			46,221

(ა) 2017 წელს ჯგუფმა ისესხა 12,333 ათასი ევრო ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკისგან და 6,167 ათასი ევრო გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან (DEUTSCHE INVESTITIONS- UND ENTWICKLUNGSGESELLSCHAFT MBH). აღნიშნული სესხი ჯგუფმა გამოიყენა აქციონერებისგან მიღებული მიმდინარე მოკლევადიანი ბრიჯ-კრედიტების დაფარვისა და ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობაში ინვესტირებისთვის.

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებასთან გაფორმებულმა სასესხო ხელშეკრულებამ გარკვეული ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებები დააკისრა ჯგუფის შვილობილ კომპანიას - გლობალ ბიერ ჯორჯიას. ეს ვალდებულებები ამოქმედდება პროექტის დასრულების შემდგომ ფაზაზე - 2019 წლის 20 აპრილიდან.

(ბ) 2011 წელს ჯგუფმა ისესხა 8,000 ათასი აშშ დოლარი საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციისგან (OPIC). 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული სასესხო ხელშეკრულება 18,538 ლარის (2016 წ.: 15,728 ლარი) საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებებითა და სასაქონლო-მატერიალური მარაგებითაა უზრუნველყოფილი.

საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციასთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულება ჯგუფს გარკვეულ ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებებს აკისრებს. ჯგუფმა უნდა შეინარჩუნოს (i) მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებთან თანაფარდობის 2-ზე მეტი კოეფიციენტი, (ii) დავალიანების საკუთარ მატერიალურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი არანაკლებ 1.5-ისა და (iii) სესხის დაფარვის კოეფიციენტი არანაკლებ 1.4-ისა. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულება (iii) დაირღვა, თუმცა ჯგუფმა ამ ვალდებულების დარღვევისთვის სათანადო წესით მოიპოვა ნებართვის წერილი.

(გ) ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობის დასაფინანსებლად ჯგუფმა მიიღო მოკლევადიანი ბრიჯ-კრედიტები აქციონერებისგან, სხვა დაკავშირებული მხარეებისგან და ქართული კომერციული ბანკისგან. ბრიჯ-კრედიტები სრულად დაიფარა ახალი აქციების გამოშვებით და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისგან და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან მიღებული სახსრებით რეფინანსირებით.

(დ) მოკლევადიანი სესხები ჯგუფმა მიიღო ქართული კომერციული ბანკისგან საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

(ათას ლარში)

15. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	2017	*2016*
1 იანვრის მდგომარეობით	**46,221**	**14,759**
ფულადი ნაკადები	13,233	26,472
მოგება-ზარალის ანგარიშში ასახული საკურსო ზარალი	6,358	3,286
მოგება-ზარალის ანგარიშში ასახული ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	3,316	886
დაუმთავრებელ მშენებლობაზე კაპიტალიზებული დანახარჯები, რომლებიც გაიწია ფინანსურ საქმიანობაზე (მე-6 შენიშვნა)	1,710	712
დაუმთავრებელ მშენებლობაზე კაპიტალიზებული საკურსო ზარალი (მე-6 შენიშვნა)	439	106
31 დეკემბრის მდგომარეობით	**71,277**	**46,221**

(ათას ლარში)

16. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება ასე გამოიყურებოდა:

	2017	*2016*
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	8,930	3,063
ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობასა და სხვა ძირითად საშუალებებზე გადასახდელი თანხები	5,351	15,004
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარის მიმართ	567	49
	14,848	**18,116**

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება პროცენტიანი არ არის და, ჩვეულებრივ, 30-დან 90 დღემდე ვადაში იფარება.

17. არამატერიალური აქტივები

31 დეკემბრისთვის არამატერიალური აქტივები მოიცავდა შემდეგს:

	სასაქონლო ნიშნები	*საბულალტრო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა*	*შემუშავების პროცესში მყოფი პროგრამული უზრუნველყოფა*	*სულ*
თვითღირებულება				
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**30**	**163**	**–**	**193**
შემოსვლები	97	27	253	**377**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**127**	**190**	**253**	**570**
შემოსვლები	2	272	–	**274**
შიდა გადაცემა	–	253	(253)	**–**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**129**	**715**	**–**	**844**
ამორტიზაცია				
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**–**	**69**	**–**	**69**
ამორტიზაციის დანარიცხი წლის განმავლობაში	–	21	–	**21**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**–**	**90**	**–**	**90**
ამორტიზაციის დანარიცხი წლის განმავლობაში	9	22	–	**31**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9**	**112**	**–**	**121**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**127**	**100**	**253**	**480**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**120**	**603**	**–**	**723**

18. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

ქართული და უკრაინული საგადასახადო გარემო

(ათას ლარში)

საქართველოს და უკრაინის საგადასახადო და სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს, და შესაძლოა ხშირი იყოს ცვლილებები. ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღქმა შეიძლება ეჭქვეშ დააყენონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა. ხელმძღვანელობის აზრით, სათანადოდ მოახდინა კანონებისა და რეგულაციების ინტერპრეტაცია და ყველა საგადასახადო რისკი ჯეროვნად წარმოადგინა და აღრიცხა.

უზრუნველყოფისთვის გამოყენებული აქტივები

ჯგუფმა წარმოადგინა ჯგუფის (გარდა მისი ერთ-ერთი შვილობილი კომპანიისა - შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“) საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები და სასაქონლო-მატერიალური მარაგები საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციისგან მიღებული გარე სესხების უზრუნველსაყოფად. შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები და სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ავტომანქანების გამოკლებით, წარმოდგენილი იქნა ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისა და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან მიღებული გარე სესხების უზრუნველსაყოფად.

(ათას ლარში)

18. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები (გაგრძელება)

უზრუნველყოფისთვის გამოყენებული აქტივები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფისთვის გამოყენებულ აქტივებს 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	*2016 გადაანგარიშებული*
იპოთეკით დატვირთული ძირითადი საშუალებები	6,215	6,532
გირაოთი დატვირთული სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8,682	5,555
	14,897	**12,087**

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისა და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფისთვის გამოყენებულ აქტივებს 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	*2016*
იპოთეკით დატვირთული ძირითადი საშუალებები	90,610	–
გირაოთი დატვირთული სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4,876	–
	95,486	**–**

19. შემოსავალი

	2017	*2016*
შემოსავალი (საკუთარი წარმოების) მზა პროდუქციის გაყიდვიდან	32,717	17,675
შემოსავალი გადაყიდვებიდან	22,258	12,118
	54,975	**29,793**

შემოსავალი საკუთარი წარმოების მზა პროდუქციის გაყიდვიდან მოიცავს შემოსავლებს საკუთარი წარმოების ღვინის, ლუდის, ჭაჭის, ცქრიალა ღვინის, ლიმონათისა და ბრენდის გაყიდვებიდან. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

	2017	*2016*
ღვინო	19,207	15,124
ლუდი	9,412	–
ცქრიალა ღვინო	1,742	1,978
ლიმონათი	1,457	–
ჭაჭა	595	524
ბრენდი	304	49
	32,717	**17,675**

(ათას ლარში)

19. შემოსავალი გაყიდვებიდან (გაგრძელება)

ჯგუფი ახდენს სხვადასხვა სახის ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების იმპორტს და შემდეგ ყიდის მათ ქართულ ბაზარზე. მიღებული შემოსავალი პროდუქციის გადაყიდვიდან პროდუქტის ტიპის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2017	*2016*
ლუდი	9,489	4,730
წვენი	3,794	2,315
არაყი	3,321	4,271
ცქრიალა ღვინო	2,811	–
ყავა	2,205	268
ვისკი	385	295
სხვა	236	129
ენერგეტიკული სასმელები	17	110
	22,258	**12,118**

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

ჯგუფმა აღიარა შემოსავლებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2017 წ.	*1 იანვარი , 2017 წ.*
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	11,900	5,754
მიღებული ავანსები	95	140

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. მიღებული ავანსები ითვლება კლიენტებისგან მიღებულ საზღაურად და წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, გადასცეს საქონელი ამ კლიენტებს.

95 ლარის მისაღები ავანსების აღიარებაა მოსალოდნელი შემოსავლის სახით 2018 წლის იანვარში, რაც უკავშირდება საანგარიშგებო თარიღისთვის დასაკმაყოფილებელ ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებას. 2017 წლის განმავლობაში ჯგუფმა აღიარა 140 ლარის ოდენობის შემოსავალი, რომელიც აისახა სახელშეკრულებო ვალდებულებებში საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში.

20. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2017	*2016 გადაანგარიშებული*
საკუთარი წარმოების პროდუქციის თვითღირებულება	17,811	8,113
გადაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	16,622	7,661
	34,433	**15,774**

ქვემოთ მოცემულია თვითღირებულება ხარჯების ტიპების მიხედვით:

	2017	*2016 გადაანგარიშებული*
გადაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	16,622	7,661
ნედლეული	15,040	7,470
ცვეთა	1,145	401
კომუნალური ხარჯები	664	50

(ათას ლარში)

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	456	192
სხვა წარმოების დანახარჯები	506	–
	34,433	**15,774**

(ათას ლარში)

21. ბიოპროდუქცია

ბიოპროდუქციის სამართლიანი ღირებულება იყო:

	2017	*2016*
1 იანვრის მდგომარეობით	**–**	**–**
მოსავლის მოყვანასთან დაკავშირებული დანახარჯები	587	459
სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში გადატანილი ყურძნის მოსავლის სამართლიანი ღირებულება	(840)	(475)
ბიოპროდუქციის სამართლიანი ღირებულების მოძრაობა	**253**	**16**
31 დეკემბრის მდგომარეობით	**–**	**–**

ყურძნის მოსავლის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების დროისთვის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. 1 ტონა ყურძნის სავარაუდო საბაზრო ფასი, რომელიც გამოყენებულია 2017 წლის მოსავალთან მიმართებით, არის 1 ლარი.

1 ტონა ყურძნის სავარაუდო საბაზრო ფასის 10%-ით ცვლილება ლარამდე გამოიწვევდა იმ წლის ყურძნის მოსავლის სამართლიანი ღირებულების ცვლილებას 59 ლარით.

წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულების 253 ლარის ოდენობის სარგებელი (2016 წ.: 16 ლარი) აღირიცხა და აისახა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ეს შეფასება წარმოადგენს ყურძნის პირობით ღირებულებას, რომელიც მოსავლის აღებისას გადაიტანება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში.

22. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2017	*2016*
გაყიდვების მასტიმულირებელი და სარეკლამო ხარჯი	4,918	4,110
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	4,299	1,311
ტრანსპორტირების ხარჯები	2,926	1,213
ცვეთა და ამორტიზაცია	2,481	540
საიჯარო და კომუნალური გადასახადები	942	306
რეალიზაციის და მარკეტინგის ხარჯები ექსპორტზე	52	265
სხვა	106	52
	15,724	**7,797**

23. ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	*2016*
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	2,824	2,220
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	974	393
პროფესიული მომსახურება	835	182
საიჯარო და კომუნალური გადასახადები	539	265
ცვეთა და ამორტიზაცია	446	455
საოფისე ხარჯები	271	126
სამივლინებო ხარჯები	212	162
სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	145	48
კომუნიკაციის ხარჯები	124	68
საბანკო ხარჯები	89	49
დაზღვევა	46	10
საწვავის ხარჯები	41	31
სხვა	601	316

(ათას ლარში)

7,147	**4,325**

პროფესიული მომსახურების გასამრჯელო მოიცავს ჯგუფის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საზღაურს 110 ლარის ოდენობით (2016 წ.: 72 ლარი).

(ათას ლარში)

24. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2017	*2016*
ცვეთა (ა)	1,162	–
დებიტორული ანგარიშების რეზერვის დარიცხვა (მე-9 შენიშვნა)	633	79
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები ა)	551	–
სხვა	211	191
	2,557	**270**

(ა) 2017 წელს ლუდსახდელი ქარხანა სრული დატვირთვით არ ამუშავდა. ამის გამო ზედნადები ხარჯები სრულად არ განაწილდა ნაწარმზე დაბალი წარმოებისა თუ მოცდენილი სიმძლავრის გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯი მიეკუთვნა სხვა საოპერაციო ხარჯების კატეგორიას ჯგუფის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

25. რისკის მართვა

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს პროცენტიან სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სხვა მიმდინარე ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა ჯგუფის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობისთვის. ჯგუფს აქვს უშუალოდ თავისი საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული სავაჭრო დებიტორული ანგარიშები, ფინანსური დაწესებულებების მიმართ მთხოვნები და ფულადი სახსრები და მიმდინარე ანგარიშები.

ჯგუფს აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები.

ჯგუფის საბაზრო რისკი უმნიშვნელოა, რადგანაც მას არ აქვს ისეთი მნიშვნელოვანი აქტივები ან ვალდებულებები, რომლებზეც სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა იმერყეველს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო.

ჯგუფის ხელძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას. ჯგუფი საკმაოდ შეზღუდულად ეწევა ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც ფინანსური რისკის აღება მოუწევდა. ჯგუფი არ ეწევა წარმოებული ინსტრუმენტებით რაიმე საქმიანობას რისკის მართვის ან სხვა მიზნებისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ჯგუფს ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფის საკრედიტო რისკი წარმოდგენილია სავაჭრო დებიტორული ანგარიშების, შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრების, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრების და მოკლევადიანი ანაბრების აგრეგირებული ნაშთით 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სავაჭრო დებიტორული ანგარიშები

კლიენტის საკრედიტო რეიტინგი ფასდება საფუძვლიანი საკრედიტო ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები. მე-4 შენიშვნაში აღწერილი გარემოებების გამო ჯგუფის შვილობილმა საწარმომ უკრაინაში შეწყვიტა კლიენტებისთვის საკრედიტო ლიმიტების შეთავაზება. თუმცა, 2017 წლიდან ჯგუფმა თავისი ახალი პროდუქციის ხაზების - ლუდისა და ლიმონათის ღირებულების დაგვიანებით გადახდის უფლება მისცა თავის კლიენტებს და ამიტომ 2017 წლის 31 დეკემბრისთვის გარკვეული დებიტორული დავალიანება ვადაგადაცილებულია. ჯგუფი აკონტროლებს ამ დებიტორულ დავალიანებას და ცალკე ახდენს გაუფასურების ანალიზს ყოველი მსხვილი კლიენტისთვის. გარდა ამისა, დიდი რაოდენობით მცირე მოცულობის მოთხოვნები გაერთიანებულია ერთგვაროვან ჯგუფებად და მათი გაუფასურებაც კოლექტიურად ფასდება.

მიმდინარე ანგარიშებზე და მოკლევადიან ანაბრებზე განთავსებული ფულადი სახსრები

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც ანაბრები

(ათას ლარში)

აქვს განთავსებული, ასევე ყოველდღიურად კონტროლდება ძირითადი კლიენტებისა და შესაბამისი მისაღები ანგარიშების სტატუსიც.

2017 წლის 31 დეკემბერს საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა 33,143 ლარს (2016 წ.: 25,882 ლარი) უტოლდებოდა.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. სავალუტო კურსის მერყეობის რისკი ჯგუფს აქვს ძირითადად უცხოურ შვილობილ კომპანიებში წმინდა ინვესტიციებზე.

ჯგუფი კონტრაქტებს აფორმებს აშშ დოლარში, ევროში, გრივნასა და ლარში. ჯგუფი არ იყენებს სავალუტო წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომ დააზღვიოს მომავალი გარიგებები და ფულადი ნაკადები.

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, რომელ ვალუტებში ჰქონდა ჯგუფს მნიშვნელოვანი რისკი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში გამოხატულ ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე.

2017	*ლარი*	*აშშ დოლარი*	*უკრაინული გრივნა*	*ევრო*	*სულ*
აქტივები					
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	6,755	592	3,236	1,317	**11,900**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,452	13,478	239	1,268	**17,437**
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	2,622	1,759	–	–	**4,381**
ვალდებულებები					
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	(4,868)	(8,130)	–	(58,279)	**(71,277)**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(6,973)	(928)	(193)	(6,754)	**(14,848)**
ნეტო პოზიცია	**(12)**	**6,771**	**3,282**	**(62,448)**	**(52,407)**

2016	*ლარი*	*აშშ დოლარი*	*უკრაინული გრივნა*	*ევრო*	*სულ*
აქტივები					
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	3,837	93	2,321	504	**6,755**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	758	4	199	1,438	**2,399**
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	1,500	1,796	–	13,738	**17,034**
ვალდებულებები					
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	(1,482)	(29,410)	–	(15,329)	**(46,221)**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(2,292)	(1,731)	(42)	(14,051)	**(18,116)**
ნეტო პოზიცია	**2,321**	**(29,248)**	**2,478**	**(13,700)**	**(38,149)**

ქვემოთ მოცემული ანალიზი ითვლის ლარის მიმართ სავალუტო კურსების სავარაუდო ცვლილებების ეფექტს მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის შემთხვევაში. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა ან კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

2017	*სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება*	*გამყარება*	*გაუფასურება*
აშშ დოლარი	13.50%	914	(914)
ევრო	16.00%	(9,992)	9,992
უკრაინული გრივნა	30.00%	985	(985)

(ათას ლარში)

2016	*სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება*	*გამყარება*	*გაუფასურება*
აშშ დოლარი	14.0%	(4,095)	4,095
ევრო	17.5%	(2,398)	2,398
უკრაინული გრივნა	30.0%	743	(743)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ლიკვიდურობის რისკი იმართება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შეფასებით, პროგნოზირებული და ფაქტობრივი ფულადი ნაკადების მონიტორინგით, ასევე ფულადი რესურსების მისადაგებით ფინანსური ანგარიშგების ვადიანობის ანალიზთან.

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არადისკონტირებული დაფარვის სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე:

2017	*მოთხოვნამდე*	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	–	1,933	9,366	63,226	17,925	**92,450**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	–	14,848	–	–	–	**14,848**
	–	**16,781**	**9,366**	**63,226**	**17,925**	**107,298**

2016	*მოთხოვნამდე*	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	–	21,100	17,621	9,330	–	**48,051**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	–	18,116	–	–	–	**18,116**
	–	**39,216**	**17,621**	**9,330**	**–**	**66,167**

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ მოძრაობაზე ან სამართლიან ღირებულებებზე. თუმცა, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები არ ახდენს გავლენას ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების არცერთ კომპონენტზე. ყველა პროცენტიან სესხს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები და შესაბამისად ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფი არ დგას საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე ამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს, საემისიო შემოსავალს და კაპიტალის ყველა სხვა რეზერვს, რომლებიც მიკუთვნებადია მშობელი კომპანიის წილობრივი მონაწილეებისთვის და შეფასებულია 70,338 ლარით 2017 წლის 31 დეკემბრისთვის (2016 წ.: 42,692 ლარი).

ჯგუფის მიერ კაპიტალის მართვა, სხვა მიზნებთან ერთად, იმასაც ისახავს მიზნად, რომ დააკმაყოფილოს პროცენტიან სესხებთან და გადასახდელ ანგარიშებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც განსაზღვრავს კაპიტალის სტრუქტურის მოთხოვნებს. ჯგუფმა აიღო სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან, რომელმაც ჯგუფის კაპიტალს გარკვეულ ფინანსური ვალდებულებები დააკისრა (მე-14 შენიშვნა). ჯგუფმა უნდა შეინარჩუნოს მთლიანი ვალდებულებების არამატერიალური აქტივებით შემცირებულ წმინდა აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი არაუმეტეს 1.5-1 დონეზე. ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა ფინანსურ ინსტიტუტს უფლებას მისცემს, რომ დააჩქაროს სესხის დაფარვა.

	2017	*2016*

(ათას ლარში)

სულ ვალდებულებები	**87,853**	**65,384**
კაპიტალი	70,338	46,189
არამატერიალური აქტივები	(723)	(480)
საკუთარი მატერიალური აქტივები	**69,615**	**45,709**
მთლიანი ვალდებულებების არამატერიალური აქტივებით შემცირებულ წმინდა აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი	**1.26**	**1.43**

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

(ათას ლარში)

26 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

პროცენტიანი სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის *„დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“* მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

27.1 საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან შესაბამის ფინანსურ წელს განხორციელდა:

	შესყიდვები	*საიჯარო და კომუნალური ხარჯები*	*სადაზღვევო ხარჯი*	*დაკავშირებული მხარეებისთვის გადახდილი ავანსები*	*ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ*
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები					
2017					
სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“	–	–	273	94	–
შპს „ნიუ კოფი კომპანი“	2,212	60	–	–	556
სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“	–	–	47	–	23
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“	–	–	–	21	–
2016					
სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“	–	–	20	–	–
სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“	–	–	47	–	–

27.2 საინვესტიციო და ფინანსური გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან შესაბამის ფინანსურ წელს განხორციელდა:

	ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	*ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული კაპიტალიზებული დანახარჯები*	*ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები*	*ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ*
აქციონერები				
2017				
სს „ჯორჯია კაპიტალი“ (ა)	337	617	–	954
შპს „ფაიერბერდ რიპაბლიკს ფონდი“ (გ)	–	29	–	–

(ათას ლარში)

შპს „ფაიერზერდ ავრორა ფონდი“ (ბ)	–	29	–	–
2016				
სს „ჯორჯია კაპიტალი“ (ბ)	–	717	–	14,164
შპს „ფაიერზერდ რიპაბლიკს ფონდი“ (ბ)	–	105	–	2,230
შპს „ფაიერზერდ ავრორა ფონდი“ (ბ)	–	105	–	2,230
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები				
2017				
საქართველოს ბანკი	–	–	14,377	–
„გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგს ლიმიტედი“ (ბ)	–	27	–	–
2017				
საქართველოს ბანკი	–	–	14,146	–
„გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგს ლიმიტედი“ (ბ)	–	139	–	1,538

(ათას ლარში)

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

27.2 საინვესტიციო და ფინანსური გარიგებები (გაგრძელება)

(ა) ჯგუფმა თავის გარანტს - სს „ჯორჯია კაპიტალს“ უნდა გადაუხადოს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისა და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან მიღებული სესხების ძირითადი თანხის 2%. გარანტიაზე გაცემული საკომისიოს 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დარიცხული მთლიანი ოდენობა 954 ლარი იყო.

(ბ) ჯგუფს გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგს ლიმიტედისგან (Galt & Taggart Holding Limited), შპს „ფაიერბერდ რიპაბლიკს ფონდისგან“, შპს „ფაიერბერდ ავრორა ფონდისგან“ და სს „ჯორჯია კაპიტალისგან“ მიღებული აქვს პროცენტიანი სესხები.

27.3 ჯგუფის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

ქვემოთ ცხრილში მოცემულია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ხარჯად აღიარებული თანხები:

	2017	*2016*
ხელმძღვანელობის სახელფასო ხარჯი	703	610
ხელმძღვანელი პირების პრემიები	400	380
	1,103	**990**

28. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

მართვის მიზნებისთვის ჯგუფი მოიცავს ერთიან სეგმენტს, რომლის ანგარიშგებასაც ახდენს - ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელით ვაჭრობა. ხელმძღვანელობა ორგანიზებას უწევს საკუთარი წარმოების მზა პროდუქციის გაყიდვას და იმპორტირებული საქონლის გადაყიდვას ოთხ რეგიონში: საქართველო, უკრაინა, დსთ-ს სხვა ქვეყნები და სხვა ქვეყნები.

ხელმძღვანელობა აკვირდება გეოგრაფიული ერთეულების საოპერაციო შედეგებს განცალკევებულად, რათა გადაწყვეტილება მიიღოს რესურსების განაწილებასა და შედეგების შეფასებაზე. ამა თუ იმ გეოგრაფიული ერთეულის მიერ მიღწეული შედეგები ფასდება შემოსავლებისა და საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება-ზარალის მიხედვით და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საოპერაციო მოგების ან ზარალის შესაბამისად.

გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაცია შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის	*საქართველო*	*უკრაინა*	*დსთ-ის სხვა ქვეყნები*	*სხვა ქვეყნები*	*გადაუნაწილებელი*	*სულ*
გარე კლიენტებისგან მიღებული შემოსავალი	40,145	5,609	3,814	5,407	–	**54,975**
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(27,308)	(3,078)	(1,406)	(2,641)	–	**(34,433)**
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(3,316)	–	–	–	–	**(3,316)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	169	–	–	–	–	**169**
		–	–			
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე	**–**	**–**	**–**	**–**	**(14,246)**	**(14,246)**

(ათას ლარში)

მოგების გადასახადის ხარჯი	–	–	–	–	–	–
წლის ზარალი	**–**	**–**	**–**	**–**	**(14,246)**	**(14,246)**

(ათას ლარში)

28. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი, 2016 წ.	*საქართველო*	*უკრაინა*	*დსთ-ის სხვა ქვეყნები*	*სხვა ქვეყნები*	*გადაუნაწილებელი*	*სულ*
გარე კლიენტებისგან მიღებული შემოსავალი	18,977	4,959	2,238	3,619	–	**29,793**
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(11,268)	(2,045)	(857)	(1,747)	–	**(15,917)**
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(886)	–	–	–	–	**(886)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	99	–	–	–	–	**99**
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე	**–**	**–**	**–**	**–**	**(394)**	**(394)**
მოგების გადასახადის სარგებელი	–	–	–	–	41	**41**
წლის ზარალი	**–**	**–**	**–**	**–**	**(353)**	**(353)**

გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაცია გრძელვადიანი აქტივების შესახებ 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის	*საქართველო*	*უკრაინა*	*დსთ-ის სხვა ქვეყნები*	*სხვა ქვეყნები*	*გადაუნაწილებელი*	*სულ*
ძირითადი საშუალებები	102,109	59	–	–	–	**102,168**
არამატერიალური აქტივები	723	–	–	–	–	**723**
სულ	**102,832**	**59**	**–**	**–**	**–**	**102,891**

დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი, 2016 წ.	*საქართველო*	*უკრაინა*	*დსთ-ის სხვა ქვეყნები*	*სხვა ქვეყნები*	*გადაუნაწილებელი*	*სულ*
ძირითადი საშუალებები	71,568	63	–	–	–	**71,631**
არამატერიალური აქტივები	480	–	–	–	–	**480**
სულ	**72,048**	**63**	**–**	**–**	**–**	**72,111**

29. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის მარტში უკრაინის საგადასახადო ორგანოებმა დაიწყეს თელიანი ტრეიდინგ უკრაინის სრული საგადასახადო შემოწმება, რომელმაც მოიცვა 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდი. შემოწმების საბოლოო აქტის გამოშვება აპრილშია მოსალოდნელი. შემოწმების წინასწარი შედეგებიდან გამომდინარე, ჯგუფი არ მოელის რამე მნიშვნელოვანი გადასახადების ან ჯარიმების დამატებით დარიცხვას საგადასახადო შემოწმების შედეგად.

სს „თელიანი ველი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სს „თელიანი ველი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 5
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება 6
სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 8
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 10-44

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თელიანი ველის” აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „თელიანი ველის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, ქვემოთ წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხის ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხის განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს ჩვენი აუდიტის განმალობაში
შემოსავლის აღიარება ჯგუფს აქვს შემოსავლის რამდენიმე წყარო ღვინისა და სხვა სასმელების დისტრიბუციიდან. ჯგუფი ფლობს საწყობებსა და სადისტრიბუციო სატრანსპორტო საშუალებებს და რეალიზაციას აწარმოებს სუპერმარკეტების ქსელებზე, სხვა სავაჭრო ობიექტებსა და რესტორნებზე. შემოსავლების აღიარება ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო ჩვენი აუდიტის განმავლობაში, რადგან ჯგუფის შემოსავლების დივერსიფიცირებული წყაროების გამო არსებობს შემოსავლის არასათანადოდ აღიარების რისკი, განსაკუთრებით პერიოდების ბოლო თარიღებისთვის. ამასთან, ჯგუფმა ვადაზე ადრე მიიღო ფასს 15 „კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტები“. ფასს 15-ს კომპლექსური მოთხოვნები აქვს და საკმაოდ დიდი დოზით საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ, აგენტი-პრინციპალის ურთიერთობის განსაზღვრის, კლიენტების მიმართ გადახდების აღრიცხვის და საცალო მოვაჭრეებისთვის მიწოდებული ინდივიდუალური საქონლის აღრიცხვისთვის. შემოსავლების აღიარების შესახებ ინფორმაცია გაცხადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2, მე-3 და მე-19 განმარტებით შენიშვნებში.	• ჩვენ შევამოწმეთ შემოსავლების აღიარების პროცესის კონტროლის მექანიზმები, შემოსავლების აღიარების დროის ჩათვლით; • ჩავატარეთ ანალიტიკური პროცედურები და შევამოწმეთ წლის ბოლოსთვის შემდგარი შემოსავლების აღიარების გარიგებების შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ჯგუფი; • გაყიდვის ოპერაციების ნიმუშები შევადარეთ ინვოისებს; • შევაფასეთ ძირითად კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები და ეს პირობები შევადარეთ გამოყენებულ სააღრიცხვო მიდგომას; • შევაფასეთ წლის განმავლობაში გაფორმებული ახალი სადისტრიბუციო შეთანხმებების შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ჯგუფი და ჯგუფის მიერ იმის განსაზღვრა, ამ სახელშეკრულებო ურთიერთობებში პრინციპალად გამოდის თუ აგენტად, ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად „კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები“; • გავაანალიზეთ ჯგუფის გადახდები თავისი კლიენტების მიმართ და შევაფასეთ მათი გავლენა მიღებული ან მისაღები ანაზღაურების განსაზღვრაზე; • შევაფასეთ გარიგების ფასის გადანაწილება ჯგუფის მიერ თავის საცალო მოვაჭრეებისთვის მიწოდებულ ინდივიდუალურ საქონელზე; • შევაფასეთ ჯგუფის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფასს 15-ზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ჯგუფის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნესოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

დირექტორთა საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, დირექტორთა საბჭოს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში შეიძლება ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და, თუ შესაძლებელია, წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

დირექტორთა საბჭოსთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაწონის ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის რუსლან ხოროშვილი.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 მარტი, 2018 წ.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2017*	*2016 წ. გადაანგარიშებული**	*2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადაანგარიშებული**
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	102,168	68,134	9,558
არამატერიალური აქტივები	17	723	480	124
გადახდილი ავანსები	10	1,658	926	1,309
გადავადებული საგადასახადო აქტივები	7	–	–	340
სულ გრძელვადიანი აქტივები		**104,549**	**69,540**	**11,331**
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	17,122	8,426	10,761
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	9	11,900	6,755	6,470
მოგების წინასწარ გადახდილი გადასახადი		–	93	60
წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		–	2,780	2,057
გადახდილი ავანსები	10	2,795	1,020	460
სხვა მიმდინარე აქტივები		7	29	60
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	11	4,381	17,034	2,375
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	17,437	2,399	3,425
სულ მიმდინარე აქტივები		**53,642**	**38,536**	**25,668**
სულ აქტივები		**158,191**	**108,076**	**36,999**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		5,200	2,771	771
დამატებითი შენატანები კაპიტალში		78,748	38,846	12,958
უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვი		(1,782)	(1,740)	(1,777)
(აკუმულირებული ზარალი) / გაუნაწილებელი მოგება		(11,829)	2,814	3,024
კაპიტალი, განკუთვნილი მშობელი კომპანიის აქციონერებისთვის		**70,337**	**42,691**	**14,976**
არასაკონტროლო პაკეტი		1	1	1
სულ კაპიტალი	13	**70,338**	**42,692**	**14,977**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	14	61,482	7,611	9,605
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	7	–	–	1,044
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**61,482**	**7,611**	**10,649**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16	14,848	18,116	2,529
მოგების გადასახადის დავალიანება		–	642	605
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა		1,178	–	2,438
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	14	9,795	38,610	5,154
მიღებული ავანსები		95	140	136

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

სხვა მიმდინარე ვალდებულებები	455	265	511
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**26,371**	**57,773**	**11,373**
სულ ვალდებულებები	**87,853**	**65,384**	**22,022**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**158,191**	**108,076**	**36,999**

* აქ წარმოდგენილი ზოგიერთი თანხა არ შეესაბამება 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შესულ კორექტირებებს. იხ. მე-2 შენიშვნა.

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით 2018 წლის 30 მარტს.

შოთა ხობელია გენერალური დირექტორი

გიორგი კასრაძე ფინანსური დირექტორი

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016 წ. გადაანგარიშებული*
საქონლის რეალიზაცია	19	54,975	29,793
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	20	(34,433)	(15,774)
საერთო მოგება		**20,542**	**14,019**
ბიოპროდუქციის სამართლიანი ღირებულების მოძრაობა	21	253	16
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	22	(15,724)	(7,797)
ადმინისტრაციული ხარჯები	23	(7,147)	(4,325)
სხვა საოპერაციო ხარჯები	24	(2,557)	(270)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		**(4,633)**	**1,643**
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	15	(3,316)	(886)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		169	99
წმინდა საკურსო ზარალი		(7,024)	(1,043)
სხვა არასაოპერაციო დანაკარგები		–	(64)
სხვა არასაოპერაციო მოგება		558	–
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		**(14,246)**	**(251)**
მოგების გადასახადის სარგებელი	7	–	41
წლის ზარალი		**(14,246)**	**(210)**
განკუთვნილი:			
- მშობელი კომპანიის აქციონერებისთვის		(14,246)	(210)
- არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის		–	–
მოგება ერთ აქციაზე:			
- საბაზისო და გაზავებული ზარალი ერთ აქციაზე:	13	(0.000035)	(0.0000011)

* აქ წარმოდგენილი ზოგიერთი თანხა არ შეესაბამება 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შესულ კორექტირებებს. იხ. მე-2 შენიშვნა.

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2017*	*2016 წ. გადაანგარიშებული**
წლის ზარალი		**(14,246)**	**(210)**
სხვა სრული (ზარალი) / შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირებაც ხდება			
საკურსო სხვაობა უცხოური ოპერაციების სხვა ვალუტაში გადაყვანისას		(42)	37
წმინდა სხვა სრული (ზარალი) / შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირებაც ხდება		**(42)**	**37**
წლის მთლიანი სრული ზარალი, წმინდა		**(14,288)**	**(173)**
განკუთვნილი:			
- მშობელი კომპანიის აქციონერებისთვის		(14,288)	(173)
- არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის		–	–

* აქ წარმოდგენილი ზოგიერთი თანხა არ შეესაბამება 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შესულ კორექტირებებს. იხ. მე-2 შენიშვნა.

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	საქციო კაპიტალი	*დამატებითი შენატანები კაპიტალში*	*ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად მიღებული მეტობა*	*უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვი*	*გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)*	*სულ*	*არასაკონ-ტროლო პაკეტი*	*სულ*
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**771**	**12,958**	**3,214**	**(1,777)**	**2,909**	**18,075**	**1**	**18,076**
სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობითი ცვლილების კორექტირება (2.5ა შენიშვნა)	–	–	(3,214)	–	115	**(3,099)**	–	**(3,099)**
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული*)	**771**	**12,958**	**–**	**(1,777)**	**3,024**	**14,976**	**1**	**14,977**
წლის ზარალი	–	–	–	–	(210)	**(210)**	–	**(210)**
სხვა სრული შემოსავალი	–	–	–	37	–	**37**	–	**37**
სააქციო კაპიტალის გამოშვება (მე-13 შენიშვნა)	2,000	25,916	–	–	–	**27,916**	–	**27,916**
გარიგების დანახარჯები	–	(28)	–	–	–	**(28)**	–	**(28)**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული*)	**2,771**	**38,846**	**–**	**(1,740)**	**2,814**	**42,691**	**1**	**42,692**
მოდიფიცირებული რეტროსპექტული გადასვლა ფასს 15-ზე (2.5ბ შენიშვნა)	–	–	–	–	(397)	**(397)**	–	**(397)**
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**2,771**	**38,846**	**–**	**(1,740)**	**2,417**	**42,294**	**1**	**42,295**
წლის ზარალი	–	–	–	–	(14,246)	**(14,246)**	–	**(14,246)**
სხვა სრული ზარალი	–	–	–	(42)	–	**(42)**	–	**(42)**
სააქციო კაპიტალის გამოშვება (მე-13 შენიშვნა)	2,429	39,902	–	–	–	**42,331**	–	**42,331**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,200**	**78,748**	**–**	**(1,782)**	**(11,829)**	**70,337**	**1**	**70,338**

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

* აქ წარმოდგენილი ზოგიერთი თანხა არ შეესაბამება 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შესულ კორექტირებებს. იხ. მე-2 შენიშვნა.

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2017*	*2016 გადაანგარიშებული**
საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		(14,246)	(251)
კორექტირებები გაბეგვრამდელი ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოსაყვანად			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	20, 22, 23, 24	5,203	1,418
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	17	31	21
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		3,316	886
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		(169)	(99)
უიმედო დავალიანების ხარჯი	9	633	79
ბიოპროდუქციის სამართლიანი ღირებულების მოძრაობა		(253)	–
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (მოგება)/ზარალი		(558)	44
ფინანსურ და საინვესტიციო საქმიანობისთვის მიკუთვნებადი წმინდა საკურსო ზარალი		6,577	1,170
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		**534**	**3,268**
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები			
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(7,691)	2,335
ცვლილებები სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებში		(6,779)	(364)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		(2,768)	(659)
ცვლილებები სხვა აქტივებში		22	31
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		6,385	583
ცვლილება სხვა მიმდინარე ვალდებულებებში		190	(246)
ცვლილებები საგადასახადო დავალიანებაში, მოგების გადასახადის გათვალისწინების გარეშე		3,958	(390)
ცვლილებები მიღებულ ავანსებში		(45)	4
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) / საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები, პროცენტისა და მოგების გადასახადის გადახდამდე		**(6,194)**	**4,562**
გადახდილი მოგების გადასახადი		(642)	(659)
გადახდილი პროცენტი	15	(3,956)	(759)
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) / საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(10,792)**	**3,144**
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(46,784)	(43,796)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(274)	(377)
შეზღუდული წვდომის ანგარიშზე ფულადი სახსრების განთავსება		(9,729)	(22,544)
შეზღუდული წვდომის ანგარიშიდან ფულადი სახსრების გამოტანა		22,539	9,482
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		717	62
შეძენილ ძირითად საშუალებებზე წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		–	(2,771)
მიღებული პროცენტი		31	99
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(33,500)**	**(59,845)**
ფინანსური საქმიანობა			
ახალი აქციების გამოშვება	13	42,331	27,888
ნასესხები სახსრების დაფარვა	15	(47,747)	(3,790)
აღებული სესხები	15	64,936	31,021
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**59,520**	**55,119**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		**15,228**	**(1,582)**
საკურსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(190)	556
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12	2,399	3,425
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	12	**17,437**	**2,399**

* აქ წარმოდგენილი ზოგიერთი თანხა არ შეესაბამება 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შესულ კორექტირებებს. იხ. მე-2 შენიშვნა.

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

არაფულადი ოპერაციები:

- 2017 წლის განმავლობაში 2,149 ლარის ნასესხები სახსრები კაპიტალიზდა ძირითადი საშუალებების ნაწილში (2016 წ.: 818 ლარი) და მოიცავდა საპროცენტო ხარჯებს 1,710 ლარის ოდენობით (2016 წ.: 712 ლარი) და საკურსო ზარალს 439 ლარის ოდენობით (2016 წ.: 106 ლარი) (მე-6 შენიშვნა);
- ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის 5,351 ლარს შეადგენდა (2016 წ.: 15,003 ლარი);
- 2017 წლის განმავლობაში კომპანიამ მოახდინა ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსების რეალიზება 261 ლარის ოდენობით (2016 წ.: 482 ლარი);
- ჯგუფმა ვადაზე ადრე მიიღო შემოსავლის აღიარების ახალი სტანდარტი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით, რის შედეგადაც სავაჭრო დებიტორული ანგარიშები დაკორექტირდა (შემცირდა) 1,001 ლარით, ხოლო სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაიზარდა 604 ლარით 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით;
- სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს კაპიტალიზებულ ცვეთას 148 ლარის ოდენობით (2016 წ.: 43 ლარი).

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „თელიანი ველი“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კომპანია“) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2000 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თელავი, თბილისის გზატკეცილი #3. მისი ჩვეულებრივი აქციები განთავსებულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილ კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“). მისი შვილობილი კომპანიები წარმოდგენილია მე-2 შენიშვნაში.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ღვინის, ლუდის ლიმონათისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და დისტრიბუცია, ასევე იმპორტირებული ლუდისა და სხვა სასმელების დისტრიბუცია.

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიმოქცევაში გამოშვებული აქციების 3%-ზე მეტს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები: დანარჩენი აქციონერებიდან თითოეული აქციათა 3%-ზე ნაკლებს ფლობდა.

აქციონერები	*2017 %*	*2016 %*
სს „ჯორჯია კაპიტალი“ (ყოფილი სს „ბიჯეო ინვესთმენთს“)	47.57	23.67
სს „ლიბერთი კონსიუმერი“	28.06	47.75
შპს „ფაიერბერდ რიპაბლიკს ფონდი“	10.51	11.63
შპს „ფაიერბერდ ავრორა ფონდი“	8.57	15.16
შპს „ფაიერბერდ ფონდი“	4.29	–
საქართველოს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული აქციები	0.27	0.74
სხვა	0.73	1.05
სულ	**100.00**	**100.00**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს წევრები ჯგუფის 1,852,591 აქციას ანუ აქციათა 0.36%-ს ფლობენ (2016 წ.: 1,830,111, ანუ 0.66%).

ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ბიჯეო ჯგუფი“.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

2.1 მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ბიოპროდუქციისა და იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

2017 წლის განმავლობაში ჯგუფმა განიცადა 14,246 ლარის ოდენობის ზარალი, ხოლო საოპერაციო საქმიანობაში გამოიყენა 10,792 ლარის ოდენობის წმინდა ფულადი ნაკადები. უარყოფითი საოპერაციო შედეგები 2017 წელს უკავშირდებოდა ბიზნესის ახალი მიმართულებების წამოწყებას ლუდისა და ლიმონათის საწარმოებლად. 2018 წლის შუიდან დაწყებული, ჯგუფი „ჰეინეკენის“ და „კრუშოვიცეს“, ხოლო 2019 წლიდან - „ამსტელის“ ბრენდების ლუდის წარმოებას გეგმავს.

(ათას ლარში)

ახალი ბიზნესმიმართულებების ინვესტიცია და საბრუნავი კაპიტალი დაფინანსდა არსებულ აქციონერებზე აქციების გამოშვებით და ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული გრძელვადიანი სესხით (მე-14 შენიშვნა). ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფის ფულადი სახსრების საჭიროება 12 თვის განმავლობაში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების შემდეგ და მოახდინა პროგნოზი, რომ კაპიტალური დანახარჯების და საბრუნავი კაპიტალის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, დამატებითი დაფინანსება იქნება საჭირო 5,400 ლარის ოდენობით. 2018 წლის 29 მარტს ხელმძღვანელობამ მოიპოვა ფინანსური მხარდაჭერის წერილი სს „ჯორჯია კაპიტალისგან“, რომლის მიხედვითაც, სს „ჯორჯია კაპიტალი“ აცხადებს, რომ აქვს სურვილი და განზრახვა, რომ ჯგუფი უზრუნველყოს 5,500 ლარით, რაც საჭირო იქნება კაპიტალური დანახარჯებისა და საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ ჯგუფი მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ, მოიპოვებს საჭირო ფინანსებს და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევენ, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღება ან მიღების უფლება; და
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების შესაბამისად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან საკონტრაქტო გარიგებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არასაკონტროლო პაკეტის და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებული მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგ შვილობილ კომპანიებს მოიცავს:

(ათას ლარში)

შვილობილი კომპანია	*წილობრივი მონაწილეობა, %*	*ქვეყანა*	*სფერო*	*შეძენის/დაფუძნების თარიღი*
შპს „თელიანი თრეიდინგი“	100.0	საქართველო	საქონლის ბითუმად რეალიზაცია	30 მარტი, 2007 წ.
შპს „თელიანი თრეიდინგი“	100.0	უკრაინა	საქონლის ბითუმად რეალიზაცია	31 ივლისი, 2008 წ.
შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“	100.0	საქართველო	ლუდისა და ლიმონათის წარმოება და დისტრიბუცია	24 დეკემბერი, 2014 წ.
შპს „ლე კავკასი“	100.0	საქართველო	ბრენდის წარმოება	26 მარტი, 2007 წ.
შპს „კუპა“	70.0	საქართველო	მუხის კასრების წარმოება	29 მარტი, 2007 წ.

კომპანიის ორ შვილობილ კომპანიას (შპს „ლე კავკასი“ და შპს „კუპა“) 2009 წლიდან აქტიური ოპერაციები არ ჰქონია.

შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“ დაფუძნდა 2014 წლის დეკემბერში. 2017 წლის ივნისში დაასრულა ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობა და დაიწყო ადგილობრივ „აისის“ ბრენდის ლუდისა და „ბერიკას“ ბრენდის ლიმონათის წარმოება.
2018 წლის განმავლობაში ჯგუფი მოელის დამატებითი კაპიტალური დანახარჯების გაწევას და ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობის დასრულებას „ჰაინეკენისა“ და „კრუშოვიცეს“ ბრენდების ლუდის ჩამოსასხმელად.

შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია მათი შეძენის თარიღიდან, ანუ იმ დღიდან, როდესაც ჯგუფმა მათზე კონტროლი მოიპოვა და მათი კონსოლიდაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც ჯგუფი მათზე კონტროლს დაკარგავს. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალიზებული მოგება და ზარალი, და დივიდენდები, სრულად არის გაქვითული.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ა) შემოსავალი

საქონლის რეალიზაცია

მზა პროდუქციის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ასრულებს აღებულ ვალდებულებას, ანუ, როდესაც საქონელზე კონტროლი გადაეცემა მყიდველს - ჩვეულებრივ, საქონლის ჩაბარების დროს.

მზა პროდუქციის კონსიგნაციით გაყიდვის დროს, შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს, ან გარკვეული ვადის გასვლისას, რომლის განმავლობაშიც საცალო მოვაჭრეს შეუძლია გაუყიდავი საქონლის დაბრუნება. მზა პროდუქციის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება გარიგების წმინდა ფასით, რომელიც ასახავს მომხმარებლისთვის გადასახდელი თანხის კორექტირებებს (ფულადი თანხები, რომლებსაც ჯგუფი უხდის ან მოელის, რომ გადაუხდის მომხმარებელს) და მოცულობის გამო ფასდაკლებებს.

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შედის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

ბ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და დაუმთავრებელი მშენებლობა აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცილებელი, ჯგუფი ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ვაზის გაშენება წარმოდგენს ხარჯს, რომელიც გაიწია ახალი ვაზის ჩასაყრელად და მოსავლელად პირველი მოსავლის მოწევამდე. მას შემდეგ, რაც ვაზი მოსავალს იძლევა, დაგროვილი დანახარჯები მიეკუთვნება მწიფე ვენახებს და მათი სასარგებლო მომსახურების ვადას ერიცხება ცვეთა.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

ვაზი	45-დან 50 წლამდე
შენობა-ნაგებობები	7-დან 50 წლამდე
მანქანა-დანადგარები	5-დან 20 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-დან 7 წლამდე
სხვა	3-დან 8 წლამდე

აქტივების ცვეთა ხდება მათი ექსპლუატაციაში მიღების მომდევნო თვიდან. მიწას და ვენახს ცვეთა არ ერიცხება.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო

(ათას ლარში)

ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

წარმოების პროცესში უშუალოდ მონაწილე ძირითად საშუალებებზე ცვეთის დანარიცხი წარმოადგენს საწარმოო ზედნადებ ხარჯს და აღირიცხება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება (თუ წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაიყიდა) ან, როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები (თუ წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ გაიყიდა).

გ) სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

ისეთი აქტივის შეძენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხის მიღების ხარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხის მიღების ხარჯი შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც კომპანია გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დ) ბიოლოგიური აქტივები და ბიოპროდუქცია

სოფლის მეურნეობის პროდუქცია აღირიცხება ბასს 41-ის *„სოფლის მეურნეობა“* თანახმად. ყურძნის მოსავლის აღება, როგორც წესი, ოქტომბერში ხდება. მოსავლის აღებამდე, ყურძნის მოშენების დანახარჯები აღირიცხება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში. მოსავლის აღებისას ყურძენი ხდება სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ამიტომ ფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით ბასს 41-ის შესაბამისად და სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად ყოველგვარი მოგება თუ ზარალი აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების დროისთვის სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ზოგადად, ჯგუფის ყურძნის ზუსტი საბაზრო ფასით შეფასება შეუძლებელია, რადგან ყურძენი არ იყიდება ღია ბაზარზე, ამიტომ ხელმძღვანელობა ღირებულებას ადგენს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე, წარსულში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით.

გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ეს შეფასება წარმოადგენს ყურძნის პირობით ღირებულებას, რომელიც მოსავლის აღებისას გადაიტანება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში.

ბასს 41-ის მიხედვით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია ასევე ფასდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლო და სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

სამრეწველო მცენარეები აღირიცხება თვითღირებულებით, ბასს 16-ის *„ძირითადი საშუალებები“* შესაბამისად.

ე) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თითოეული პროდუქტის ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად გაწეული ხარჯები შემდეგნაირად აღირიცხება:

- ნედლეული: შესყიდვის ხარჯი საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით;
- მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება: მასალების და მუშახელის პირდაპირი დანახარჯები და საწარმოო ზედნადების წილი ჩვეულებრივი საწარმოო სიმძლავრის პირობებში, მაგრამ ნასესხებ სახსრებზე გაწეული დანახარჯების გამოკლებით

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ჩამოიწერება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

ვ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც, ამავდროულად, ჯგუფის სამუშაო ვალუტაა. ჯგუფი თითოეული წევრისთვის განსაზღვრავს სამუშაო ვალუტას და თითოეული მათგანის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული მუხლები ფასდება ამ სამუშაო ვალუტის გამოყენებით. ჯგუფი კონსოლიდაციის პირდაპირ მეთოდს იყენებს.

(i) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის სამეურნეო ერთეულების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ

(ათას ლარში)

გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

ფულადი მუხლების დაფარვით ან კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ ფულადი მუხლებისა, რომლებიც საზღვარგარეთ საქმიანობაში ჯგუფის წმინდა ინვესტიციების ჰეჯირებისთვის არის განკუთვნილი. ისინი აღირებულია სხვა სრულ შემოსავალში წმინდა ინვესტიციების ჩამოწერამდე, როდესაც ხდება მთლიანი თანხის რეკლასიფიკაცია მოგებაში ან ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში ასევე აისახება ამ ფულადი მუხლების საკურსო სხვაობებზე მიკუთვნებული დარიცხული გადასახადი და კრედიტები. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული მოგებისა და ზარალის აღიარების შესაბამისად (ანუ თუ მუხლების სამართლიანი ღირებულების მოგება ან ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან მოგებაში ან ზარალში, შესაბამისად, მათზე საკურსო სხვაობებიც სხვა სრულ შემოსავალსა თუ მოგებაში ან ზარალში აისახება).

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ii) კომპანიების ჯგუფი

კონსოლიდაციისას საზღვარგარეთ წარმოებული ოპერაციების აქტივები და ვალდებულებები ლარში გადაიყვანება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით, ხოლო მათი მოგება-ზარალის ანგარიშგება გადაიყვანება იმ სავალუტო კურსებით, რომლებიც მოქმედებს შესაბამისი ოპერაციების დღეს. კონსოლიდაციისთვის აუცილებელი კონვერტაციის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში. საზღვარგარეთ წარმოებული ოპერაციების ჩამოწერის შემთხვევაში, სხვა სრული შემოსავლის ამ კონკრეტულ უცხოურ ოპერაციასთან დაკავშირებული კომპონენტის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიხედვით, ლართან მიმართებაში 1 უკრაინული გრივნას ოფიციალური გაცვლითი კურსი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის იყო:

	2017	*2016*
პერიოდის დასასრული	0.0924	0.0977
პერიოდის საშუალო	0.0943	0.0927

როდესაც შიდაჯგუფურ ბალანსზე საკურსო სხვაობა წარმოიშვება, რომელიც არსებითად შეადგენს სამეურნეო სუბიექტის წმინდა ინვესტიციის ნაწილს საზღვარგარეთ წარმოებულ ოპერაციაში, მაშინ საკურსო სხვაობის აღიარება არ ხდება მოგებაში ან ზარალში კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. მისი აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება კაპიტალის ცალკე კომპონენტზე, ამ საზღვარგარეთ წარმოებული ოპერაციის ჩამოწერამდე.

ზ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-7 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც სხვა გადასახადები.

უკრაინაში მიღებული მოგება, რომელიც დაკორექტირდა მუდმივი და დროებითი სხვაობების გასათვალისწინებლად, როგორც ადგილობრივი საგადასახადო კანონმდებლობითაა ნებადართული, იბეგრება მოგების გადასახადით. მოგების გადასახადის განაკვეთი უკრაინაში 18%-ია

უკრაინაში ბუღალტრული გატარებისას, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება, რის შედეგადაც, აქტივებისა

(ათას ლარში)

და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი სხვაობების შედეგად წარმოშობილი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებების ნაწილში. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობის გამოქვითვა.

დამატებითი ღირებულების გადასახადი („დღგ“)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის სავაჭრო დებიტორული თუ სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ნაწილში.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. ამიტომ ჯგუფი თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

თ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ი) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით

(ათას ლარში)

და აღრიცხულია მოგებასა და ზარალში.

ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებს და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს, რომლებიც ბასს 39-ის თანახმად სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას მიეკუთვნება.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება ძირითადად მაშინ წყდება, როდესაც:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა;
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ხელშეკრულება ამაზე, და არც გადაუცია და არც დაუტოვებია აქტივთან დაკავშირებული ძირითადი რისკები და სარგებელი, და არც კონტროლი გადაუცია აქტივზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით.

ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორიცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფულადი სახსრების მომავალი შეფასებული ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელიც ჯერ არ არის გაწეული). სავარაუდო სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი კვლავაც ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას იმ განაკვეთით, რომელიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გაუფასურების შედეგად განცდილი ზარალის შესაფასებლად. საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. სესხები მათ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი, ხოლო უზრუნველყოფა მთლიანად რეალიზებულია ან ჯგუფისათვის არის გადაცემული.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება

(ათას ლარში)

გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ სამომავლო ჩამოწერის ამოღება მოხერხდება, იგი გატარდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილის კრედიტში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემთხვევაში, ამას ემატება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მხოლოდ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას მოიცავს, რაშიც შედის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება და პროცენტიანი სესხები.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

(კ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და ხარჯი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება.

შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში. ჯგუფის არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა 5 წლიდან 10 წლამდეა.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

ლ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება

(ათას ლარში)

არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

ჯგუფი გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი საქმიანობის გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, გაუფასურებელი აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების აღიარებაც სხვა სრულ შემოსავალში მოხდება ნებისმიერი მანამდე მომხდარი გადაფასების თანხამდე.

ისეთი აქტივების შემთხვევაში, რომლებშიც გუდვილი არ შედის, ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. მსგავსი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

მ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან ანაბრებს, რომელთა ვადაც სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისგან და მოკლევადიანი ანაბრებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად.

ნ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა. თუ ჯგუფი მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო კონტრაქტის საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

ო) სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ჯგუფი სოფლის მეურნეობის პროდუქციას საბალანსო ანგარიშის შედგენის ყოველი თარიღისთვის აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

(ათას ლარში)

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ო) სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ა) ცვლილება ძირითადი საშუალებების გარკვეული კლასების შემდგომ აღრიცხვაში

ჯგუფმა ძირითადი საშუალებების სააღრიცხვო პოლიტიკა გადააფასა, კერძოდ ძირითადი საშუალებების გარკვეული კლასების ღირებულება ხელახლა განსაზღვრა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ჯგუფი მანამდე მიწას, შენობა-ნაგებობებს, ვენახებსა და ღვინის ავზებს აღრიცხავდა გადაფასების მოდელით, რომლის მიხედვითაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მიწა, შენობა-ნაგებობები, ვენახები და ღვინის ავზები ფასდებოდა სამართლიანი ღირებულებით გადაფასების თარიღისთვის და აკლდებოდა შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

2017 წლის 1 იანვარს ჯგუფმა გადაწყვიტა მიწისა და შენობა-ნაგებობების, ვენახებისა და ღვინის ავზების აღრიცხვის პოლიტიკის შეცვლა, რადგან ჯგუფის აზრით, თვითღირებულების მოდელი უფრო ზუსტად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას და უფრო მეტად შეესაბამება კონკურენტების მიერ მიღებულ პრაქტიკას. გარდა ამისა, თვითღირებულების მოდელი უფრო მეტად შეესაბამება აქტივების ბიზნესდანიშნულებას, ვინაიდან მათი ღირებულების რეალიზება ძირითადად უწყვეტი გამოყენებით ხდება.

სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის შემდეგ, თავდაპირველი აღიარების მერე ჯგუფი იყენებს თვითღირებულების მოდელს, რომლის მიხედვითაც, ყველა ძირითადი საშუალება აღირიცხება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ჯგუფმა თვითღირებულების მოდელი რეტროსპექტულად გამოიყენა.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

კორექტირებების ეფექტი წარმოდგენილია ქვემოთ:

ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

	1 იანვარი, 2016 წ. კორექტირებებამდე	*სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის ეფექტი*	*1 იანვარი, 2016 წ. გადაანგარიშებული*
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13,198	(3,640)	9,558
სხვა	1,773	–	1,773
სულ გრძელვადიანი აქტივები	**14,971**	**(3,640)**	**11,331**
სულ მიმდინარე აქტივები	**25,668**	**–**	**25,668**
სულ აქტივები	**40,639**	**(3,640)**	**36,999**
კაპიტალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად მიღებული მეტობა	3,214	(3,214)	–
გაუნაწილებელი მოგება	2,909	115	3,024
სხვა	11,953	–	11,953
სულ კაპიტალი	**18,076**	**(3,099)**	**14,977**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	1,585	(541)	1,044
სხვა	9,605	–	9,605
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**11,190**	**(541)**	**10,649**
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**11,373**	**–**	**11,373**
სულ ვალდებულებები	**22,563**	**(541)**	**22,022**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**40,639**	**(3,640)**	**36,999**

ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი, 2016 წ. კორექტირებებამდე	*სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის ეფექტი*	*31 დეკემბერი, 2016 წ. გადაანგარიშებული*
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	71,631	(3,497)	68,134
სხვა	1,406	–	1,406
სულ გრძელვადიანი აქტივები	**73,037**	**(3,497)**	**69,540**
სულ მიმდინარე აქტივები	**38,536**	**–**	**38,536**
სულ აქტივები	**111,573**	**(3,497)**	**108,076**
კაპიტალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად მიღებული მეტობა	3,755	(3,755)	–
გაუნაწილებელი მოგება	2,556	258	2,814
სხვა	39,878	–	39,878
სულ კაპიტალი	**46,189**	**(3,497)**	**42,692**

(ათას ლარში)

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	7,611	–	7,611
სულ მიმდინარე ვალდებულებები	57,773	–	57,773
სულ ვალდებულებები	65,384	–	65,384
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	111,573	(3,497)	108,076

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ამონარიდი მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2016 კორექტირებებამდე	*სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის ეფექტი*	*2016 გადაანგარიშებული**
საქონლის რეალიზაცია	29,793	–	29,793
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(15,917)	143	(15,774)
საერთო მოგება	**13,876**	**143**	**14,019**
სხვა	(12,376)	–	(12,376)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი	**1,500**	**143**	**1,643**
სხვა	(1,894)	–	(1,894)
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე	**(394)**	**143**	**(251)**
მოგების გადასახადის სარგებელი	41	–	41
წლის ზარალი	**(353)**	**143**	**(210)**

ამონარიდი სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31 დეკემბერი, 2016 წ., კორექტირებებამდე	*სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის ეფექტი*	*31 დეკემბერი, 2016 წ. გადაანგარიშებული**
წლის ზარალი	**(353)**	**143**	**(210)**
წმინდა სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი), რომლის რეკლასიფიცირებაც ხდება შემდეგი პერიოდების მოგებაში ან ზარალში	37	–	37
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება	541	(541)	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი), წმინდა	**225**	**(398)**	**(173)**

ამონარიდი ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31 დეკემბერი, 2016 წ. კორექტირებებამდე	*სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის ეფექტი*	*31 დეკემბერი, 2016 წ. გადაანგარიშებული**
საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე	(394)	143	(251)
კორექტირებები დასაბეგრი ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოსაყვანად			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	1,561	(143)	1,418
სხვა კორექტირებები	2,225	–	2,225
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**3,144**	**–**	**3,144**
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა	**(59,845)**	**–**	**(59,845)**

(ათას ლარში)

ფულადი ნაკადები			
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**55,119**	**–**	**55,119**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა	**(1,582)**	**–**	**(1,582)**
საკურსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	556	–	556
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3,425	–	3,425
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**2,399**	**–**	**2,399**

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ბ) ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება და სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობითი ცვლილება

ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ცვლილების ხასიათსა და გავლენას:

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში, და შეიცვალა 2016 წლის აპრილში, და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ჯგუფმა ვადაზე ადრე გამოიყენა შემოსავლის აღიარების ახალი სტანდარტი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. ვადაზე ადრე გამოყენების შედეგად გაუნაწილებელი მოგება შემცირდა 397 ლარით, და სასაქონლო-მატერიალური მარაგები შესაბამისად გაიზარდა (604 ლარი), ხოლო მოთხოვნები შემცირდა (1,001 ლარი).

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ღვინის, ლუდის ლიმონათისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და დისტრიბუცია, ასევე იმპორტირებული ლუდისა და სხვა სასმელების დისტრიბუცია. ჯგუფის კლიენტები არიან საცალო ვაჭრობის მაღაზიები, მომცრო სუპერმარკეტები, რესტორნები და ბარები. ფასს 15-მა შემდეგი გავლენა მოახდინა მის შემოსავლების აღიარების პრინციპებზე:

(i) პრინციპალის და აგენტის საკითხები

ვინაიდან ჯგუფი ალკოჰოლურ და არაალკოჰოლურ სასმელებს საბოლოო მომხმარებლებზე ყიდის მაღაზიების, მცირე სუპერმარკეტების, ბარებისა და რესტორნების მეშვეობით (შუამავალი გამყიდველები), ხელმძღვანელობას ესაჭიროება იმის განსაზღვრა, აკონტროლებს თუ არა ჯგუფი ამ საქონელს საბოლოო მომხმარებლებზე გადაყიდვამდე. გარკვეული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების მიხედვით, შუამავალ გამყიდველებს უპირობო უფლება აქვთ, გაუყიდავი საქონელი ჯგუფს დაუბრუნონ და ჯგუფმა სრულად უნდა დაიბრუნოს გაუყიდავი საქონელი ნებისმიერ დროს კონკრეტული პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გასვლამდე. შესაბამისად, ასეთი ტიპის ხელშეკრულებების გაფორმებისას ჯგუფი იტოვებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების რისკს მანამ, სანამ საქონელი არ გადაიყიდება საბოლოო მომხმარებლებზე. ფასს 15-ის თანახმად, ხელმძღვანელობამ არ აღიარა ასეთი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი საბოლოო მომხმარებლების მიერ საქონლის შესყიდვამდე. 2017 წლის 1 იანვრისთვის საწყის ნაშთებში შეტანილი კორექტირებები გულისხმობდა საქონლის გაყიდვის შედეგად სავაჭრო მოთხოვნების შემცირებას 1,001 ლარით, სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდას 604 ლარით და გაუნაწილებელი მოგების შემცირებას 397 ლარით.

(ii) გარიგების ფასის განსაზღვრა

ფასს 15-ის მიხედვით, ჯგუფის მიერ თავისი მომხმარებლებისთვის გადასახდელი საზღაური აღირიცხება როგორც გარიგების ფასის შემცირება, რადგან ხელმძღვანელობის შეფასებით, ასეთი გადახდები არ ეხება მომხმარებლის მიერ ჯგუფისთვის მიწოდებულ გარკვეულ საქონელს ან მომსახურებას. წინა სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, ასეთი გადახდები აისახებოდა რეალიზაციის და მარკეტინგის ხარჯებში. ფასს 15-ზე გადასვლის შედეგად, ჯგუფმა რეალიზაციის და მარკეტინგის ხარჯებიდან 4,416 ლარი გადაიტანა შემოსავალში.

(iii) ხელშეკრულების შესრულების ვალდებულების განსაზღვრა

ხელმძღვანელობის შეფასებით, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების გაყიდვა და შესაბამისი მარკეტინგული მასალების უსასყიდლო მიწოდება ხელშეკრულების შესრულების ცალ-ცალკე ვალდებულებას წარმოადგენს. თუმცა, ამას გავლენა არ მოუხდენია შემოსავლის განაწილებაზე, რადგან ხელშეკრულების შესრულების ორივე ვალდებულება ერთდროულად შესრულდა. ვინაიდან ამ მარკეტინგული მასალების

(ათას ლარში)

თვითღირებულება ადრე რეალიზაციის და მარკეტინგის ხარჯებში აღირიცხებოდა, ხელმძღვანელობამ 1,248 ლარის ოდენობის ეს ხარჯები გადაიტანა გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში.

(iv) წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები

ფასს 15-ში უფრო დეტალურად არის ასახული წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები, ვიდრე ახლანდელ ფასს-ში. კერძოდ, ჯგუფმა განავრცო განმარტებითი შენიშვნები შემოსავლის აღიარებისას გამოყენებული განსჯისა (მე-3 შენიშვნა) და სახელშეკრულებო ნაშთების შესახებ (მე-19 შენიშვნა).

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

შემოსავლის ახალი სტანდარტის მოთხოვნით, ფასს 15-ის ვადაზე ადრე მიღების გავლენა განმარტებით შენიშვნებში შემდეგნაირად უნდა აისახოს:

ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი, 2016 წ, ანგარიშგებაში ასახული	*ფასს 15-ის მიღების ეფექტი*	*1 იანვარი, 2017 წ.*
სულ გრძელვადიანი აქტივები	**69,540**	**–**	**69,540**
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8,426	604	9,030
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	6,755	(1,001)	5,754
სხვა	23,355	–	23,355
სულ მიმდინარე აქტივები	**38,536**	**(397)**	**38,139**
სულ აქტივები	**108,076**	**(397)**	**107,679**
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	2,814	(397)	2,417
სხვა	39,878	–	39,878
სულ კაპიტალი	**42,692**	**(397)**	**42,295**
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**7,611**	**–**	**7,611**
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**57,773**	**–**	**57,773**
სულ ვალდებულებები	**65,384**	**–**	**65,384**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**108,076**	**(397)**	**107,679**

ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი, 2017 წ. თანხები ფასს 15-ის მიღების გათვალისწინების გარეშე	*ფასს 15-ის მიღების ეფექტი*	*31 დეკემბერი, 2017 წ. ანგარიშგებაში ასახული*
სულ გრძელვადიანი აქტივები	**104,549**	**–**	**104,549**
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	16,046	1,076	17,122
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	13,693	(1,793)	11,900
სხვა	24,620	–	24,620
სულ მიმდინარე აქტივები	**54,359**	**(717)**	**53,642**
სულ აქტივები	**158,908**	**(717)**	**158,191**
კაპიტალი			

(ათას ლარში)

გაუნაწილებელი მოგება	(11,112)	(717)	(11,829)
სხვა	82,167	–	82,167
სულ კაპიტალი	**71,055**	**(717)**	**70,338**
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**61,482**	**–**	**61,482**
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**26,371**	**–**	**26,371**
სულ ვალდებულებები	**87,853**	**–**	**87,853**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**158,908**	**(717)**	**158,191**

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ამონარიდი მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი, 2017 წ. თანხები ფასს 15-ის მიღების გათვალისწინების გარეშე	*ფასს 15-ის მიღების ეფექტი*	*31 დეკემბერი, 2017 წ. ანგარიშგებაში ასახული*
საქონლის რეალიზაცია	60,183	(5,208)	54,975
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(33,657)	(776)	(34,433)
საერთო მოგება	**26,526**	**(5,984)**	**20,542**
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(21,201)	5,664	(15,537)
სხვა	(9,638)	–	(9,638)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი	**(4,313)**	**(320)**	**(4,633)**
სხვა	(9,613)	–	(9,613)
წლის ზარალი	**(13,926)**	**(320)**	**(14,246)**
მოგება ერთ აქციაზე:			
- საბაზისო და გაზავებული ზარალი ერთ აქციაზე:	(0.000034)	(0.000001)	(0.000035)

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება: ინფორმაციის გახსნის ინიციატივა“

ცვლილებების თანახმად, საწარმოებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, როგორც ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებების, ისე არაფულადი ცვლილებების (როგორიცაა საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი) ჩათვლით. ჯგუფმა მე-15 შენიშვნაში როგორც ამჟამინდელი, ისე შედარებადი პერიოდის ინფორმაცია წარმოადგინა.

ცვლილებები ბასს 12-ში „მოგებიდან გადასახადები: გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება არარეალიზებულ ზარალთან მიმართებით“

ცვლილებები განმარტავს, რომ საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, ხომ არ ზღუდავს საგადასახადო კანონმდებლობა დასაბეგრი მოგების წყაროებს, რომლებიდანაც მან შეიძლება მოახდინოს გაქვითვები არარეალიზებულ ზარალთან დაკავშირებული გამოსაქვითი დროებითი სხვაობის შემობრუნებისას. ამასთან, ცვლილებები განმარტავს, როგორ უნდა განსაზღვროს საწარმომ მომავალში მისაღები დასაბეგრი მოგება და განსაზღვრავს გარემოებებს, რომლებშიც დასაბეგრი მოგება შეიძლება მოიცავდეს გარკვეული აქტივების ამოღებას საბალანსო ღირებულებაზე მეტი ღირებულებით. ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან მას არ აქვს დასაბეგრი მოგება ახალი საგადასახადო მოდელის შემოღების შემდეგ, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს (მე-7 შენიშვნა).

გ) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოსცა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ ბოლო ვერსია, რომელიც ანაცვლებს ბასს 39-ს *„ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“* და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება,

(ათას ლარში)

გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით.

ჯგუფი აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღისთვის და არ გადაიანგარიშებს შედარებად ინფორმაციას. საერთო ჯამში, ფასს 9-ის მიღების შემდეგ ჯგუფი არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავისი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე და კონსოლიდირებულ კაპიტალზე.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

(i) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიღება იმოქმედებს ჯგუფის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მაგრამ გავლენას არ იქონიებს ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე. სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს ჯგუფი ფლობს იმისათვის, რომ მიიღოს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფულადი სახსრები და მოსალოდნელია, რომ დებიტორული ანგარიშები წარმოშობს მხოლოდ ძირითადი თანხის დაფარვასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს. ამრიგად, ჯგუფი მოელის, რომ ეს აქტივები ფასს 9-ის მიხედვითაც ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება. ჯგუფმა გააანალიზა ამ ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და დაასკვნა, რომ ისინი აკმაყოფილებს ფასს 9-ის მიხედვით ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კრიტერიუმებს. ამიტომ ამ ინსტრუმენტების ხელახლა კლასიფიკაცია სავალდებულო არ არის.

(ii) გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, ჯგუფს ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა სავალო ფასიან ქაღალდზე, სესხსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. ჯგუფი გამოიყენებს გამარტივებულ მიდგომას და აღრიცხავს ყველა სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე მოსალოდნელ ზარალს მათი მთლიანი ვადის განმავლობაში. ჯგუფი არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის კონსოლიდირებულ კაპიტალზე, რადგან მისი სესხები და მისაღები ანგარიშები არ არის უზრუნველყოფილი, მაგრამ გავლენის მასშტაბის დასადგენად იგი ჩაატარებს დამატებით დეტალურ ანალიზს, რომელიც გაითვალისწინებს ყველა გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, საპროგნოზო ელემენტების ჩათვლით.

(iii) ჰეჯირების აღრიცხვა

ჯგუფს ამ ეტაპზე არ აქვს ჰეჯირების ურთიერთობა, ამიტომ იგი არ მოელის ფასს 9-ის გავლენას მისი შემოღების შედეგად.

ფასს 16 „იჯარა“

ფასს 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს 17-ს *„იჯარა“*, ფაისკ 4-ს *„როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“*, იმკ 15-ს *„საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“* და
იმკ 27-ს *„გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“*.
ფასს 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება).

მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16 როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების

(ათას ლარში)

წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ახალ სტანდარტზე გადასვლის გავლენას.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მოსაზრებები

შემოსავლის აღიარება - საქონელზე კონტროლის გადაცემა

ხელმძღვანელობა განსჯის საფუძველზე განსაზღვრავს, აკონტროლებს თუ არა ჯგუფი შუამავალი გამყიდველებისთვის მიწოდებულ საქონელს, საბოლოო მომხმარებლებზე მათ გადაყიდვამდე. ყიდვა-გაყიდვის გარკვეული ხელშეკრულებების მიხედვით, შუამავალი გამყიდველები ვალდებულები არიან, რომ საქონლის ღირებულება გადაიხადონ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას გადაყიდიან საბოლოო მომხმარებელზე და აქვთ უპირობო უფლება, დაუბრუნონ გაუყიდავი საქონელი ჯგუფს ნებისმიერ დროს, პროდუქტის ვარგისიანობის გასვლამდე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით, ჯგუფი ინარჩუნებს საქონელზე კონტროლს მანამ, სანამ არ მოხდება მისი გადაყიდვა საბოლოო მომხმარებლებზე და არ აღიარებს შემოსავალს ამ მომენტამდე.

წმინდა ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

ჯგუფი თავისი სავაჭრო მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაწილს უკრაინაში თავისი შვილობილი საწარმოს მიმართ, თავისი წმინდა ინვესტიციის ნაწილად აღრიცხავს. ხელმძღვანელობის აზრით, ამ შიდაჯგუფური თანხების ამოღება მოსალოდნელი არ არის ახლო მომავალში და ეს დამოკიდებულია უკრაინული შვილობილი საწარმოს საერთო შედეგებზე, ამიტომ ეს თანხები შეადგენს უკრაინაში მდებარე შვილობილ საწარმოში ჯგუფის წმინდა ინვესტიციის ნაწილს. ამ ფულად მუხლებზე საკურსო სხვაობების აღიარება თავდაპირველად ხდება სხვა სრულ შემოსავალში. ამ განსჯის თანახმად, 2017 წელს 564 ლარის საკურსო ზარალი აისახა სხვა სრული შემოსავლის ნაწილში (2016 წ.: 54 ლარი).

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება

ჯგუფის მიერ აღებული მოსავალი შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით მოსავლის აღების დროისთვის. ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების დროისთვის სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ზოგადად, ჯგუფის ყურძნის ზუსტი საბაზრო ფასით შეფასება შეუძლებელია, რადგან ყურძენი არ იყიდება ღია ბაზარზე, ამიტომ ხელმძღვანელობა ღირებულებას ადგენს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე, წარსულში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. ჯგუფი თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფი ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიანიშნებს ჯგუფში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან

(ათას ლარში)

ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დარყდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

ხელმძღვანელობის შეფასებით, 2,320 ლარის (2016 წ.: 1,687 ლარი) ოდენობის უიმედო თანხების რეზერვი ყველაზე ზუსტად ასახავს დებიტორული დავალიანების გაუფასურებით გამოწვეულ შესაძლო დანაკარგებს (მე-9 შენიშვნა).

4. უკრაინის ეკონომიკური ვითარება

2017 წელს უკრაინის საბანკო სისტემა უფრო მოქნილი და უკეთ კაპიტალიზებული გახდა. სამწლიანი პაუზის შემდეგ ბანკებმა ისევ დაიწყეს კრედიტების გაცემა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. ამას წინ უძღოდა დადებითი ძვრები უკრაინის ეკონომიკაში. 2014-2015 წლების კრიზისის შემდეგ უკრაინის ეკონომიკამ აღმავლობა დაიწყო და შეინარჩუნა მშპ-ის ზრდის დადებითი ტემპი (2017 წლის პირველი კვარტალის გარდა). ეკონომიკური ზრდა ნელი, მაგრამ დადებითი იყო. ხოლო, ფართო მოხმარების საქონელსა და ინვესტიციებზე მოთხოვნა სწრაფად გაიზარდა. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს აღმავლობა დაედო საფუძვლად მშპ-ის ზრდის დაჩქარებულ ტემპს, რომელიც 2018 წელს 2-3%-მდე გაიზარდა.

(ათას ლარში)

4. უკრაინის ეკონომიკური ვითარება (გაგრძელება)

უკრაინის ეროვნული ბანკის მოლოდინით, ინფლაციის ტემპი შენელდება 2018 წელს. 2017 წლის ბოლოს უკრაინის ეროვნულმა ბანკმა ორჯერ, ჯამში ორი პროცენტით, გაზარდა ძირითადი განაკვეთი 14.5%-მდე. მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შესახებ გადაწყვეტილება ძირითადად განაპირობა 2018 წლის დასაწყისში ინფლაციის მიზნობრივ დონეებამდე დაყვანის საჭიროებამ. გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის დახმარებით მოსალოდნელი ინფლაციის ზრდა თავიდან იქნება აცილებული.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის წმინდა აქტივები, რომლებზეც ქვეყნის რისკი ვრცელდება, დაახლოებით 4,419 ლარს შეადგენდა (2016 წ.: 3,600 ლარი). უკრაინაში მიმდინარე არასახარბიელო მოვლენებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფისა და მისი უკრაინული შვილობილი საწარმოს ფინანსურ შედეგებზე და მდგომარეობაზე, თუმცა მათი გავლენის ზუსტი განსაზღვრა ამ ეტაპზე შეუძლებელია.

5. შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

ჯგუფის დირექტორებმა საქმიანობის შეფასების საზომად წარმოადგინეს EBITDA, რადგან ისინი ამ მაჩვენებელს მონიტორინგს უწევენ კონსოლიდირებულ დონეზე და მიაჩნიათ, რომ ის რელევანტურია ჯგუფის ფინანსური შედეგების შეფასებისთვის. EBITDA გამოითვლება მოგების დაკორექტირებით ისე, რომ არ იქნეს გათვალისწინებული გადასახადის გავლენა, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული წმინდა დანახარჯები, ცვეთა, ამორტიზაცია, საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი და სხვა არარეგულარული შემოსავალი და ხარჯი. ფასს არ განსაზღვრავს EBITDA-ს, როგორც შედეგების საზომს. ჯგუფის მიერ EBITDA-ს განმარტება შესაძლოა არ იყოს შედარებადი საქმიანობის შედეგების ანალოგიური სახელწოდების საზომებთან და სხვა საწარმოების მიერ გაცხადებულ ინფორმაციასთან.

დაკორექტირებული EBITDA-ს შეჯერება მოგებასთან ასე გამოიყურება:

	შენიშვნა	*2017*	*2016 წ. გადაანგარიშებული*
წლის ზარალი		**(14,246)**	**(210)**
მოგების გადასახადის სარგებელი	7	–	(41)
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		**(14,246)**	**(251)**
კორექტივები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	20, 22, 23, 24	5,234	1,396
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		3,316	886
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		(169)	(99)
საკურსო ზარალი		7,024	1,043
სხვა არასაოპერაციო დანაკარგები		–	64
სხვა არასაოპერაციო მოგება		(558)	–
EBITDA		**601**	**3,039**

(ათას ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	*შენობა-ნაგებობები*	*მანქანა-დანადგარები*	*ავტოსატრანსპორტო საშუალებები*	*სხვა*	*ვაზი*	*ვენახის გაშენება*	*დაუმთავრებელი მშენებლობა*	*სულ*
თვითღირებულება გადაანგარიშებული 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,146**	**2,849**	**7,318**	**1,070**	**590**	**1,155**	**116**	**71**	**14,315**
შემოსვლები	–	24	945	251	63	–	30	58,787	**60,100**
გასვლები	(31)	–	(15)	(175)	(29)	(70)	–	–	**(320)**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,115**	**2,873**	**8,248**	**1,146**	**624**	**1,085**	**146**	**58,858**	**74,095**
შემოსვლები	–	11	18,286	4,864	942	–	2	15,436	**39,541**
გასვლები	–	(202)	(71)	(130)	(10)	–	–	–	**(413)**
გადატანა დაუმთავრებელი მშენებლობიდან	–	14,917	59,202	–	–	–	–	(74,119)	**–**
საკურსო სხვაობა	–	–	–	–	(5)	–	–	–	**(5)**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,115**	**17,599**	**85,665**	**5,880**	**1,551**	**1,085**	**148**	**175**	**113,218**
ცვეთა გადაანგარიშებული 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**–**	**13**	**3,646**	**636**	**462**	**–**	**–**	**–**	**4,757**
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში, გადაანგარიშებული	–	199	910	183	52	74	–	–	**1,418**
ცვეთა აქტივის გასვლისას	–	–	(8)	(174)	(28)	(4)	–	–	**(214)**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**–**	**212**	**4,548**	**645**	**486**	**70**	**–**	**–**	**5,961**
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	–	445	4,000	664	172	70	–	–	**5,351**
ცვეთა აქტივის გასვლისას	–	(60)	(69)	(115)	(10)	–	–	–	**(254)**
საკურსო სხვაობა	–	–	–	–	(8)	–	–	–	**(8)**

(ათას ლარში)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	597	8,479	1,194	640	140	–	–	11,050
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,146	2,836	3,672	434	128	1,155	116	71	9,558
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,115	2,661	3,700	501	138	1,015	146	58,858	68,134
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,115	17,002	77,186	4,686	911	945	148	175	102,168

(ათას ლარში)

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ჯგუფმა ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობა 2017 წლის მაისში დაასრულა. 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაციამ შეადგინა 2,149 ლარი (2016 წ.: 818 ლარი) და მოიცავდა ფინანსურ საქმიანობაზე გაწეულ დანახარჯებს 1,710 ლარის ოდენობით (2016 წ.: 712 ლარი) და საკურსო ზარალს 439 ლარის ოდენობით (2016 წ.: 106 ლარი).

ჯგუფმა წარმოადგინა ძირითადი საშუალებები საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციისგან, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისა და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან მიღებული გარე სესხების უზრუნველსაყოფად (მე-18 შენიშვნა).

7. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა მთლიანად შეაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს 12-ის *„მოგებიდან გადასახადები“* შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

2017 წელს კომპანიას დივიდენდი არ გადაუხდია, ამიტომ განაწილებულ მოგებაზე (დივიდენდებზე) დარიცხული მოგების გადასახადი ნულს გაუტოლდა. 2016 წელს ჯგუფმა აღიარა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შემობრუნების შედეგად მიღებული მოგების გადასახადის 704 ლარის ოდენობის სარგებელი მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მოგების გადასახადის სარგებელი მოიცავს შემდეგს:

	2017	*2016*
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება		
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	–	663
მოგების გადასახადის გადავადებული სარგებელი	–	(704)
მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გაცხადებული მოგების გადასახადის სარგებელი	**–**	**(41)**

მოგების გადასახადის სარგებლისა შეჯერება საქართველოს შიდა საგადასახადო განაკვეთისა და სააღრიცხვო მოგების ნამრავლთან 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ასეთია:

	2017	*2016*
წმინდა დივიდენდები / დასაბეგრი მოგება	**–**	**(394)**
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	**15/85**	**15%**
თეორიული მოგების გადასახადის სარგებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთის მიხედვით	–	(59)
უსასყიდლო მიწოდება	–	136
მარკეტინგის ხარჯი	–	69

(ათას ლარში)

რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული შემოსავალი	–	(15)
ცვლილება გადავადებული საგადასახადო აქტივის რეზერვში	–	329
საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების ეფექტი	–	(446)
უკრაინაში მოქმედი უფრო მაღალი გადასახადის ეფექტი	–	(55)
მოგების გადასახადის სარგებელი წლის განმავლობაში	**–**	**(41)**

2017 წელს ჯგუფის უკრაინულმა შვილობილმა საწარმომ განიცადა წმინდა საგადასახადო ზარალი 820 ლარის ოდენობით (2016 წ.: 633 ლარი). ამრიგად, ჯგუფმა არ გადაიხადა მოგების გადასახადი უკრაინაში.

(ათას ლარში)

7. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა მომდევნო პერიოდებზე შეუზღუდავი ვადით გადატანილი საგადასახადო ზარალი 8,471 ლარის ოდენობით (2016 წ.: 7,650 ლარი) უკრაინაში არსებული შვილობილი კომპანიისგან. რადგან ზემოაღნიშნული ზარალის სამომავლო გამოყენების პროგნოზირება შეუძლებელია, ჯგუფმა აღიარა რეზერვი შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი დინამიკა შესაბამის წლებში ასეთია:

	2016 გადაანგა-რიშებული	*ცვლილება მოგება-ზარალის კონსოლი-დირებულ ანგარიშგებაში ასახვით*	*ცვლილება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახვით*	*2017*
გადავადებული საგადასახადო აქტივები				
მომდევნო პერიოდებში გადატანილი ზარალი	1,377	147	–	1,524
მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივები	**1,377**	**–**	**–**	**1,525**
აუღიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივები	(1,377)	(147)	–	(1,524)
გადავადებული საგადასახადო აქტივები, სულ	**–**	**–**	**–**	**–**

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი დინამიკა შესაბამის წლებში ასეთია:

	2015 გადაანგა-რიშებული	*ცვლილება მოგება-ზარალის კონსოლი-დირებულ ანგარიშგებაში ასახვით*	*ცვლილება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახვით*	*2016*
გადავადებული საგადასახადო აქტივები				
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	261	(261)	–	–
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	49	(49)	–	–
სხვა ვალდებულებები	65	(65)	–	–
მომდევნო პერიოდებში გადატანილი ზარალი	1,228	149	–	1,377
მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივები	**1,603**	**(226)**	**–**	**1,377**
აუღიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივები	(1,263)	(114)		(1,377)
გადავადებული საგადასახადო აქტივები, სულ	**340**	**(340)**	**–**	**–**
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები				
ძირითადი საშუალებები	(1,545)	1,004	541	–
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	(44)	44	–	–
არამატერიალური აქტივები	(11)	11	–	–
გადახდილი ავანსები	15	(15)	–	–
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები, სულ	**(1,585)**	**1,044**	**541**	**–**
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	**(1,245)**	**704**	**541**	**–**

(ათას ლარში)

(ათას ლარში)

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	*2016*
ნედლეული	8,037	3,763
წარმოების დამხმარე მასალა	3,005	1,546
მზა პროდუქცია (წარმოებული)	2,976	1,181
მზა პროდუქცია (იმპორტი)	2,150	1,306
დაუმთავრებელი წარმოება	291	296
სხვა მარაგები	663	334
	17,122	**8,426**

9. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

სავაჭრო დებიტორული ანგარიშების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურებოდა

	2017	*2016*
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	14,220	8,442
გამოკლებული: საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიში	(2,320)	(1,687)
	11,900	**6,755**

საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშის ცვლილება 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	*2016*
1 იანვრის მდგომარეობით	**1,687**	**1,608**
დარიცხვა წლის განმავლობაში	633	79
31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,320**	**1,687**

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და მათი ვადა, როგორც წესი, 30-90 დღეა.

31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო დებიტორული დავალიანების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

2017	*არც ვადაგადა-ცილებული და არც გაუფასუ-რებული*	*<30 დღე*	*30-90 დღე*	*90-180 დღე*	*სულ*
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	8,328	2,418	1,141	13	**11,900**

2016	*არც ვადაგადა-ცილებული და არც გაუფასუ-რებული*	*<30 დღე*	*30-90 დღე*	*90-180 დღე*	*სულ*
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	6,468	211	58	18	**6,755**

(ათას ლარში)

10. გადახდილი ავანსები

31 დეკემბრის მდგომარეობით, გრძელვადიან აქტივებში შემდეგი გადახდილი ავანსები აისახა:

	2017	*2016*
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	566	827
კლიენტებისთვის გადახდილი ავანსები (ა)	1,092	99
	1,658	**926**

(ა) ჯგუფი კლიენტებს წინასწარ საზღაურს უხდის ახალი ხელშეკრულებების გაფორმების ან არსებული ხელშეკრულებების განახლებისთვის. ეს ხარჯები გადავადდება მანამ, სანამ არ გახდება ამოღებადი მომავალი მოგებიდან. კლიენტებისთვის გადახდილი ავანსები ამორტიზდება წრფივი მეთოდით ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში, რაც ერთიდან სამ წელს შეადგენს. ამორტიზაციის თანხა აღირიცხება, როგორც გარიგების ფასის შემცირება ფასს 15-ის შესაბამისად.

31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე აქტივებში შემდეგი გადახდილი ავანსები აისახა:

	2017	*2016*
კლიენტებისთვის გადახდილი ავანსები	1,710	296
ნედლეულსა და საქონელში გადახდილი ავანსები	300	259
მარკეტინგულ მომსახურებაში გადახდილი ავანსები	227	–
სესხის ასაღებად გადახდილი ავანსები	–	174
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისთვის გადახდილი ავანსები	–	63
სხვა	558	228
	2,795	**1,020**

11. შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები

	2017	*2016*
ფულადი შენატანი საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციასთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში (მე-14 შენიშვნა)	1,759	1,796
ფულადი შენატანი თიბისი ბანკთან გაფორმებული აგროსესხის ფარგლებში (მე-14 შენიშვნა)	2,600	1,500
გარანტია მომწოდებლის აკრედიტივისთვის	–	13,738
	4,359	**17,034**

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	*2016*
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	16,862	2,093
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	575	306
	17,437	**2,399**

მიმდინარე ანგარიშებს ერიცხება წლიური 2%-5%.

(ათას ლარში)

13. კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააქციო კაპიტალი მოიცავდა 520,000,000 ჩვეულებრივ აქციას (2016 წ.: 400,000,000), რომლებიც გამოშვებული და სრულად გადახდილი იყო (2016 წ.: 277,094,255). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 0.00001 ლარი.

2017 წლის განმავლობაში ჯგუფმა რამდენჯერმე გამოუშვა აქციები თავისი არსებული აქციონერებისთვის. 2017 წლის იანვარში ჯგუფმა გამოუშვა 92,310,000 ახალი აქცია და მოიზიდა 16,154 ლარი, რათა დაეფარა აქციონერებისგან მიღებული მოკლევადიანი ბრიჯ-კრედიტი. 2017 წლის ივნისში ჯგუფმა დამატებით გამოუშვა 82,547,143 აქცია და მოიზიდა 13,961 ლარი, რათა დაეფინანსებინა ლუდის წარმოებასთან დაკავშირებული საბრუნავი კაპიტალი. 2017 წლის დეკემბერში 67,738,602 აქცია იქნა გამოშვებული და 12,216 ლარი იქნა მოზიდული. მოზიდული თანხით ჯგუფი გაისტუმრებს ვალდებულებებს, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დაუფარავი იყო და აპირებს ლუდსახდელი ქარხნისთვის დამატებითი აღჭურვილობის შეძენას.

აქციონერებმა ჯგუფის სააქციო კაპიტალი მთლიანად ლარში გადაიხადეს და მათ უფლება აქვთ მიიღონ დივიდენდები ლარში.

2017 და 2016 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

შემოსავალი აქციაზე

საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება მოცემული წლისათვის ჯგუფის ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა მოგების/ზარალის შეფარდებით წლის განმავლობაში აქციონერთა მფლობელობაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილთან. ჯგუფის გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე უდრის საბაზისო შემოსავალს ერთ აქციაზე, რადგან ჯგუფს არ აქვს გაზავებადი პოტენციური ჩვეულებრივი აქციები.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია შემოსავლებისა და აქციების შესახებ მონაცემები, რომლებიც გამოყენებულია ერთ აქციაზე საბაზისო და გაზავებული შემოსავლის გამოსათვლელად:

	2017	*2016*
ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისთვის მიკუთვნებადი წლის ზარალი	(14,246)	(210)
ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილი	4,08625,000	197,642,200
საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე	**(0.0000035)**	**(0.0000011)**

14. პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები

	დაფარვის ვადა	*ვალუტა*	*2017*
გრძელვადიანი პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები			
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 18.5 მილიონი ევროს სესხი (ა)	20 ოქტომბერი, 2025 წ.	ევრო	56,307
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 8 მილიონი აშშ დოლარის სესხი (ბ)	31 მარტი, 2021 წ.	აშშ დოლარი	5,175
			61,482
მოკლევადიანი პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები			
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 18.5 მილიონი ევროს სესხი (ა)	20 ოქტომბერი, 2025 წ.	ევრო	1,972
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 8 მილიონი აშშ დოლარის სესხი (ბ)	31 მარტი, 2021 წ.	აშშ დოლარი	2,902
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული 5 მილიონი ლარის სესხი (დ)	15 დეკემბერი, 2018 წ.	ლარი	4,868
სხვა	31 დეკემბერი,	აშშ	53

(ათას ლარში)

2017 წ.	დოლარი	
		9,795
		71,277

(ათას ლარში)

14. პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები (გაგრძელება)

	დაფარვის ვადა	*ვალუტა*	*2016*
გრძელვადიანი პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები			
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 8 მილიონი აშშ დოლარის სესხი (ბ)	31 მარტი, 2021 წ.	აშშ დოლარი	7,611
მოკლევადიანი პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები			
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 8 მილიონი აშშ დოლარის სესხი (ბ)	31 მარტი, 2021 წ.	აშშ დოლარი	3,120
აქციონერებისგან მიღებული 6 მილიონი აშშ დოლარის სესხი (გ)	15 თებერვალი, 2017 წ.	აშშ დოლარი	16,597
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული 0.5 მილიონი ევროს სესხი (გ)	28 თებერვალი, 2017 წ.	ევრო	1,538
აქციონერისგან მიღებული 0.7 მილიონი აშშ დოლარის სესხი (გ)	24 თებერვალი, 2017 წ.	აშშ დოლარი	2,027
5 მილიონი ევროს საბანკო სესხი (გ)	30 ივნისი, 2017 წ.	ევრო	13,791
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული 1.5 მილიონი ლარის სესხი (დ)	15 ივნისი, 2017 წ.	ლარი	1,482
სხვა	31 დეკემბერი, 2016 წ.	აშშ დოლარი	55
			38,610
			46,221

(ა) 2017 წელს ჯგუფმა ისესხა 12,333 ათასი ევრო ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკისგან და 6,167 ათასი ევრო გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან (DEUTSCHE INVESTITIONS- UND ENTWICKLUNGSGESELLSCHAFT MBH). აღნიშნული სესხი ჯგუფმა გამოიყენა აქციონერებისგან მიღებული მიმდინარე მოკლევადიანი ბრიჯ-კრედიტების დაფარვისა და ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობაში ინვესტირებისთვის.

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებასთან გაფორმებულმა სასესხო ხელშეკრულებამ გარკვეული ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებები დააკისრა ჯგუფის შვილობილ კომპანიას - გლობალ ბიერ ჯორჯიას. ეს ვალდებულებები ამოქმედდება პროექტის დასრულების შემდგომ ფაზაზე - 2019 წლის 20 აპრილიდან.

(ბ) 2011 წელს ჯგუფმა ისესხა 8,000 ათასი აშშ დოლარი საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციისგან (OPIC). 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული სასესხო ხელშეკრულება 18,538 ლარის (2016 წ.: 15,728 ლარი) საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებებითა და სასაქონლო-მატერიალური მარაგებითაა უზრუნველყოფილი.

საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციასთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულება ჯგუფს გარკვეულ ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებებს აკისრებს. ჯგუფმა უნდა შეინარჩუნოს (i) მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებთან თანაფარდობის 2-ზე მეტი კოეფიციენტი, (ii) დავალიანების საკუთარ მატერიალურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი არანაკლებ 1.5-ისა და (iii) სესხის დაფარვის კოეფიციენტი არანაკლებ 1.4-ისა. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულება (iii) დაირღვა, თუმცა ჯგუფმა ამ ვალდებულების დარღვევისთვის სათანადო წესით მოიპოვა ნებართვის წერილი.

(გ) ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობის დასაფინანსებლად ჯგუფმა მიიღო მოკლევადიანი ბრიჯ-კრედიტები აქციონერებისგან, სხვა დაკავშირებული მხარეებისგან და ქართული კომერციული ბანკისგან. ბრიჯ-კრედიტები სრულად დაიფარა ახალი აქციების გამოშვებით და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისგან და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან მიღებული სახსრებით რეფინანსირებით.

(დ) მოკლევადიანი სესხები ჯგუფმა მიიღო ქართული კომერციული ბანკისგან საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

(ათას ლარში)

15. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	2017	*2016*
1 იანვრის მდგომარეობით	**46,221**	**14,759**
ფულადი ნაკადები	13,233	26,472
მოგება-ზარალის ანგარიშში ასახული საკურსო ზარალი	6,358	3,286
მოგება-ზარალის ანგარიშში ასახული ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	3,316	886
დაუმთავრებელ მშენებლობაზე კაპიტალიზებული დანახარჯები, რომლებიც გაიწია ფინანსურ საქმიანობაზე (მე-6 შენიშვნა)	1,710	712
დაუმთავრებელ მშენებლობაზე კაპიტალიზებული საკურსო ზარალი (მე-6 შენიშვნა)	439	106
31 დეკემბრის მდგომარეობით	**71,277**	**46,221**

(ათას ლარში)

16. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება ასე გამოიყურებოდა:

	2017	*2016*
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	8,930	3,063
ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობასა და სხვა ძირითად საშუალებებზე გადასახდელი თანხები	5,351	15,004
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარის მიმართ	567	49
	14,848	**18,116**

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება პროცენტიანი არ არის და, ჩვეულებრივ, 30-დან 90 დღემდე ვადაში იფარება.

17. არამატერიალური აქტივები

31 დეკემბრისთვის არამატერიალური აქტივები მოიცავდა შემდეგს:

	სასაქონლო ნიშნები	*საბულალტრო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა*	*შემუშავების პროცესში მყოფი პროგრამული უზრუნველყოფა*	*სულ*
თვითღირებულება				
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**30**	**163**	**–**	**193**
შემოსვლები	97	27	253	**377**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**127**	**190**	**253**	**570**
შემოსვლები	2	272	–	**274**
შიდა გადაცემა	–	253	(253)	**–**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**129**	**715**	**–**	**844**
ამორტიზაცია				
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**–**	**69**	**–**	**69**
ამორტიზაციის დანარიცხი წლის განმავლობაში	–	21	–	**21**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**–**	**90**	**–**	**90**
ამორტიზაციის დანარიცხი წლის განმავლობაში	9	22	–	**31**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9**	**112**	**–**	**121**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**127**	**100**	**253**	**480**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**120**	**603**	**–**	**723**

18. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

ქართული და უკრაინული საგადასახადო გარემო

(ათას ლარში)

საქართველოს და უკრაინის საგადასახადო და სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს, და შესაძლოა ხშირი იყოს ცვლილებები. ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღქმა შეიძლება ეჭქვეშ დააყენონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა. ხელმძღვანელობის აზრით, სათანადოდ მოახდინა კანონებისა და რეგულაციების ინტერპრეტაცია და ყველა საგადასახადო რისკი ჯეროვნად წარმოადგინა და აღრიცხა.

უზრუნველყოფისთვის გამოყენებული აქტივები

ჯგუფმა წარმოადგინა ჯგუფის (გარდა მისი ერთ-ერთი შვილობილი კომპანიისა - შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“) საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები და სასაქონლო-მატერიალური მარაგები საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციისგან მიღებული გარე სესხების უზრუნველსაყოფად. შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები და სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ავტომანქანების გამოკლებით, წარმოდგენილი იქნა ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისა და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან მიღებული გარე სესხების უზრუნველსაყოფად.

(ათას ლარში)

18. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები (გაგრძელება)

უზრუნველყოფისთვის გამოყენებული აქტივები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფისთვის გამოყენებულ აქტივებს 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	*2016 გადაანგარიშებული*
იპოთეკით დატვირთული ძირითადი საშუალებები	6,215	6,532
გირაოთი დატვირთული სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8,682	5,555
	14,897	**12,087**

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისა და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფისთვის გამოყენებულ აქტივებს 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	*2016*
იპოთეკით დატვირთული ძირითადი საშუალებები	90,610	–
გირაოთი დატვირთული სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4,876	–
	95,486	**–**

19. შემოსავალი

	2017	*2016*
შემოსავალი (საკუთარი წარმოების) მზა პროდუქციის გაყიდვიდან	32,717	17,675
შემოსავალი გადაყიდვებიდან	22,258	12,118
	54,975	**29,793**

შემოსავალი საკუთარი წარმოების მზა პროდუქციის გაყიდვიდან მოიცავს შემოსავლებს საკუთარი წარმოების ღვინის, ლუდის, ჭაჭის, ცქრიალა ღვინის, ლიმონათისა და ბრენდის გაყიდვებიდან. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

	2017	*2016*
ღვინო	19,207	15,124
ლუდი	9,412	–
ცქრიალა ღვინო	1,742	1,978
ლიმონათი	1,457	–
ჭაჭა	595	524
ბრენდი	304	49
	32,717	**17,675**

(ათას ლარში)

19. შემოსავალი გაყიდვებიდან (გაგრძელება)

ჯგუფი ახდენს სხვადასხვა სახის ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების იმპორტს და შემდეგ ყიდის მათ ქართულ ბაზარზე. მიღებული შემოსავალი პროდუქციის გადაყიდვიდან პროდუქტის ტიპის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2017	*2016*
ლუდი	9,489	4,730
წვენი	3,794	2,315
არაყი	3,321	4,271
ცქრიალა ღვინო	2,811	–
ყავა	2,205	268
ვისკი	385	295
სხვა	236	129
ენერგეტიკული სასმელები	17	110
	22,258	**12,118**

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

ჯგუფმა აღიარა შემოსავლებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2017 წ.	*1 იანვარი , 2017 წ.*
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	11,900	5,754
მიღებული ავანსები	95	140

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. მიღებული ავანსები ითვლება კლიენტებისგან მიღებულ საზღაურად და წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, გადასცეს საქონელი ამ კლიენტებს.

95 ლარის მისაღები ავანსების აღიარებაა მოსალოდნელი შემოსავლის სახით 2018 წლის იანვარში, რაც უკავშირდება საანგარიშგებო თარიღისთვის დასაკმაყოფილებელ ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებას. 2017 წლის განმავლობაში ჯგუფმა აღიარა 140 ლარის ოდენობის შემოსავალი, რომელიც აისახა სახელშეკრულებო ვალდებულებებში საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში.

20. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2017	*2016 გადაანგარიშებული*
საკუთარი წარმოების პროდუქციის თვითღირებულება	17,811	8,113
გადაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	16,622	7,661
	34,433	**15,774**

ქვემოთ მოცემულია თვითღირებულება ხარჯების ტიპების მიხედვით:

	2017	*2016 გადაანგარიშებული*
გადაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	16,622	7,661
ნედლეული	15,040	7,470
ცვეთა	1,145	401
კომუნალური ხარჯები	664	50

(ათას ლარში)

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	456	192
სხვა წარმოების დანახარჯები	506	–
	34,433	**15,774**

(ათას ლარში)

21. ბიოპროდუქცია

ბიოპროდუქციის სამართლიანი ღირებულება იყო:

	2017	*2016*
1 იანვრის მდგომარეობით	**–**	**–**
მოსავლის მოყვანასთან დაკავშირებული დანახარჯები	587	459
სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში გადატანილი ყურძნის მოსავლის სამართლიანი ღირებულება	(840)	(475)
ბიოპროდუქციის სამართლიანი ღირებულების მოძრაობა	**253**	**16**
31 დეკემბრის მდგომარეობით	**–**	**–**

ყურძნის მოსავლის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების დროისთვის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. 1 ტონა ყურძნის სავარაუდო საბაზრო ფასი, რომელიც გამოყენებულია 2017 წლის მოსავალთან მიმართებით, არის 1 ლარი.

1 ტონა ყურძნის სავარაუდო საბაზრო ფასის 10%-ით ცვლილება ლარამდე გამოიწვევდა იმ წლის ყურძნის მოსავლის სამართლიანი ღირებულების ცვლილებას 59 ლარით.

წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულების 253 ლარის ოდენობის სარგებელი (2016 წ.: 16 ლარი) აღირიცხა და აისახა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ეს შეფასება წარმოადგენს ყურძნის პირობით ღირებულებას, რომელიც მოსავლის აღებისას გადაიტანება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში.

22. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2017	*2016*
გაყიდვების მასტიმულირებელი და სარეკლამო ხარჯი	4,918	4,110
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	4,299	1,311
ტრანსპორტირების ხარჯები	2,926	1,213
ცვეთა და ამორტიზაცია	2,481	540
საიჯარო და კომუნალური გადასახადები	942	306
რეალიზაციის და მარკეტინგის ხარჯები ექსპორტზე	52	265
სხვა	106	52
	15,724	**7,797**

23. ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	*2016*
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	2,824	2,220
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	974	393
პროფესიული მომსახურება	835	182
საიჯარო და კომუნალური გადასახადები	539	265
ცვეთა და ამორტიზაცია	446	455
საოფისე ხარჯები	271	126
სამივლინებო ხარჯები	212	162
სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	145	48
კომუნიკაციის ხარჯები	124	68
საბანკო ხარჯები	89	49
დაზღვევა	46	10
საწვავის ხარჯები	41	31
სხვა	601	316

(ათას ლარში)

7,147	**4,325**

პროფესიული მომსახურების გასამრჯელო მოიცავს ჯგუფის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საზღაურს 110 ლარის ოდენობით (2016 წ.: 72 ლარი).

(ათას ლარში)

24. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2017	*2016*
ცვეთა (ა)	1,162	–
დებიტორული ანგარიშების რეზერვის დარიცხვა (მე-9 შენიშვნა)	633	79
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები ა)	551	–
სხვა	211	191
	2,557	**270**

(ა) 2017 წელს ლუდსახდელი ქარხანა სრული დატვირთვით არ ამუშავდა. ამის გამო ზედნადები ხარჯები სრულად არ განაწილდა ნაწარმზე დაბალი წარმოებისა თუ მოცდენილი სიმძლავრის გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯი მიეკუთვნა სხვა საოპერაციო ხარჯების კატეგორიას ჯგუფის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

25. რისკის მართვა

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს პროცენტიან სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სხვა მიმდინარე ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა ჯგუფის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობისთვის. ჯგუფს აქვს უშუალოდ თავისი საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული სავაჭრო დებიტორული ანგარიშები, ფინანსური დაწესებულებების მიმართ მთხოვნები და ფულადი სახსრები და მიმდინარე ანგარიშები.

ჯგუფს აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები.

ჯგუფის საბაზრო რისკი უმნიშვნელოა, რადგანაც მას არ აქვს ისეთი მნიშვნელოვანი აქტივები ან ვალდებულებები, რომლებზეც სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა იმერყეველს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო.

ჯგუფის ხელძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას. ჯგუფი საკმაოდ შეზღუდულად ეწევა ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც ფინანსური რისკის აღება მოუწევდა. ჯგუფი არ ეწევა წარმოებული ინსტრუმენტებით რაიმე საქმიანობას რისკის მართვის ან სხვა მიზნებისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ჯგუფს ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფის საკრედიტო რისკი წარმოდგენილია სავაჭრო დებიტორული ანგარიშების, შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრების, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრების და მოკლევადიანი ანაბრების აგრეგირებული ნაშთით 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სავაჭრო დებიტორული ანგარიშები

კლიენტის საკრედიტო რეიტინგი ფასდება საფუძვლიანი საკრედიტო ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები. მე-4 შენიშვნაში აღწერილი გარემოებების გამო ჯგუფის შვილობილმა საწარმომ უკრაინაში შეწყვიტა კლიენტებისთვის საკრედიტო ლიმიტების შეთავაზება. თუმცა, 2017 წლიდან ჯგუფმა თავისი ახალი პროდუქციის ხაზების - ლუდისა და ლიმონათის ღირებულების დაგვიანებით გადახდის უფლება მისცა თავის კლიენტებს და ამიტომ 2017 წლის 31 დეკემბრისთვის გარკვეული დებიტორული დავალიანება ვადაგადაცილებულია. ჯგუფი აკონტროლებს ამ დებიტორულ დავალიანებას და ცალკე ახდენს გაუფასურების ანალიზს ყოველი მსხვილი კლიენტისთვის. გარდა ამისა, დიდი რაოდენობით მცირე მოცულობის მოთხოვნები გაერთიანებულია ერთგვაროვან ჯგუფებად და მათი გაუფასურებაც კოლექტიურად ფასდება.

მიმდინარე ანგარიშებზე და მოკლევადიან ანაბრებზე განთავსებული ფულადი სახსრები

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც ანაბრები

(ათას ლარში)

აქვს განთავსებული, ასევე ყოველდღიურად კონტროლდება ძირითადი კლიენტებისა და შესაბამისი მისაღები ანგარიშების სტატუსიც.

2017 წლის 31 დეკემბერს საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა 33,143 ლარს (2016 წ.: 25,882 ლარი) უტოლდებოდა.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. სავალუტო კურსის მერყეობის რისკი ჯგუფს აქვს ძირითადად უცხოურ შვილობილ კომპანიებში წმინდა ინვესტიციებზე.

ჯგუფი კონტრაქტებს აფორმებს აშშ დოლარში, ევროში, გრივნასა და ლარში. ჯგუფი არ იყენებს სავალუტო წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომ დააზღვიოს მომავალი გარიგებები და ფულადი ნაკადები.

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, რომელ ვალუტებში ჰქონდა ჯგუფს მნიშვნელოვანი რისკი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში გამოხატულ ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე.

2017	*ლარი*	*აშშ დოლარი*	*უკრაინული გრივნა*	*ევრო*	*სულ*
აქტივები					
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	6,755	592	3,236	1,317	**11,900**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,452	13,478	239	1,268	**17,437**
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	2,622	1,759	–	–	**4,381**
ვალდებულებები					
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	(4,868)	(8,130)	–	(58,279)	**(71,277)**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(6,973)	(928)	(193)	(6,754)	**(14,848)**
ნეტო პოზიცია	**(12)**	**6,771**	**3,282**	**(62,448)**	**(52,407)**

2016	*ლარი*	*აშშ დოლარი*	*უკრაინული გრივნა*	*ევრო*	*სულ*
აქტივები					
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	3,837	93	2,321	504	**6,755**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	758	4	199	1,438	**2,399**
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	1,500	1,796	–	13,738	**17,034**
ვალდებულებები					
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	(1,482)	(29,410)	–	(15,329)	**(46,221)**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(2,292)	(1,731)	(42)	(14,051)	**(18,116)**
ნეტო პოზიცია	**2,321**	**(29,248)**	**2,478**	**(13,700)**	**(38,149)**

ქვემოთ მოცემული ანალიზი ითვლის ლარის მიმართ სავალუტო კურსების სავარაუდო ცვლილებების ეფექტს მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის შემთხვევაში. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა ან კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

2017	*სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება*	*გამყარება*	*გაუფასურება*
აშშ დოლარი	13.50%	914	(914)
ევრო	16.00%	(9,992)	9,992
უკრაინული გრივნა	30.00%	985	(985)

(ათას ლარში)

2016	*სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება*	*გამყარება*	*გაუფასურება*
აშშ დოლარი	14.0%	(4,095)	4,095
ევრო	17.5%	(2,398)	2,398
უკრაინული გრივნა	30.0%	743	(743)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ლიკვიდურობის რისკი იმართება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შეფასებით, პროგნოზირებული და ფაქტობრივი ფულადი ნაკადების მონიტორინგით, ასევე ფულადი რესურსების მისადაგებით ფინანსური ანგარიშგების ვადიანობის ანალიზთან.

(ათას ლარში)

24. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი და ფინანსების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არადისკონტირებული დაფარვის სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე:

2017	*მოთხოვნამდე*	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	–	1,933	9,366	63,226	17,925	**92,450**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	–	14,848	–	–	–	**14,848**
	–	**16,781**	**9,366**	**63,226**	**17,925**	**107,298**

2016	*მოთხოვნამდე*	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	–	21,100	17,621	9,330	–	**48,051**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	–	18,116	–	–	–	**18,116**
	–	**39,216**	**17,621**	**9,330**	**–**	**66,167**

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ მოძრაობაზე ან სამართლიან ღირებულებებზე. თუმცა, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები არ ახდენს გავლენას ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების არცერთ კომპონენტზე. ყველა პროცენტიან სესხს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები და შესაბამისად ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფი არ დგას საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე ამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს, საემისიო შემოსავალს და კაპიტალის ყველა სხვა რეზერვს, რომლებიც მიკუთვნებადია მშობელი კომპანიის წილობრივი მონაწილეებისთვის და შეფასებულია 70,338 ლარით 2017 წლის 31 დეკემბრისთვის (2016 წ.: 42,692 ლარი).

ჯგუფის მიერ კაპიტალის მართვა, სხვა მიზნებთან ერთად, იმასაც ისახავს მიზნად, რომ დააკმაყოფილოს პროცენტიან სესხებთან და გადასახდელ ანგარიშებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც განსაზღვრავს კაპიტალის სტრუქტურის მოთხოვნებს. ჯგუფმა აიღო სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან, რომელმაც ჯგუფის კაპიტალს გარკვეულ ფინანსური ვალდებულებები დააკისრა (მე-14 შენიშვნა). ჯგუფმა უნდა შეინარჩუნოს მთლიანი ვალდებულებების არამატერიალური აქტივებით შემცირებულ წმინდა აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი არაუმეტეს 1.5-1 დონეზე. ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა ფინანსურ ინსტიტუტს უფლებას მისცემს, რომ დააჩქაროს სესხის დაფარვა.

	2017	*2016*

(ათას ლარში)

სულ ვალდებულებები	**87,853**	**65,384**
კაპიტალი	70,338	46,189
არამატერიალური აქტივები	(723)	(480)
საკუთარი მატერიალური აქტივები	**69,615**	**45,709**
მთლიანი ვალდებულებების არამატერიალური აქტივებით შემცირებულ წმინდა აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი	**1.26**	**1.43**

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

(ათას ლარში)

26 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

პროცენტიანი სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის *„დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“* მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

27.1 საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან შესაბამის ფინანსურ წელს განხორციელდა:

	შესყიდვები	*საიჯარო და კომუნალური ხარჯები*	*სადაზღვევო ხარჯი*	*დაკავშირებული მხარეებისთვის გადახდილი ავანსები*	*ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ*
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები					
2017					
სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“	–	–	273	94	–
შპს „ნიუ კოფი კომპანი“	2,212	60	–	–	556
სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“	–	–	47	–	23
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“	–	–	–	21	–
2016					
სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“	–	–	20	–	–
სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“	–	–	47	–	–

27.2 საინვესტიციო და ფინანსური გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან შესაბამის ფინანსურ წელს განხორციელდა:

	ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	*ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული კაპიტალიზებული დანახარჯები*	*ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები*	*ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ*
აქციონერები				
2017				
სს „ჯორჯია კაპიტალი“ (ა)	337	617	–	954
შპს „ფაიერბერდ რიპაბლიკს ფონდი“ (გ)	–	29	–	–

(ათას ლარში)

შპს „ფაიერზერდ ავრორა ფონდი“ (ბ)	–	29	–	–
2016				
სს „ჯორჯია კაპიტალი“ (ბ)	–	717	–	14,164
შპს „ფაიერზერდ რიპაბლიკს ფონდი“ (ბ)	–	105	–	2,230
შპს „ფაიერზერდ ავრორა ფონდი“ (ბ)	–	105	–	2,230
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები				
2017				
საქართველოს ბანკი	–	–	14,377	–
„გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგს ლიმიტედი“ (ბ)	–	27	–	–
2017				
საქართველოს ბანკი	–	–	14,146	–
„გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგს ლიმიტედი“ (ბ)	–	139	–	1,538

(ათას ლარში)

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

27.2 საინვესტიციო და ფინანსური გარიგებები (გაგრძელება)

(ა) ჯგუფმა თავის გარანტს - სს „ჯორჯია კაპიტალს“ უნდა გადაუხადოს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისა და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან მიღებული სესხების ძირითადი თანხის 2%. გარანტიაზე გაცემული საკომისიოს 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დარიცხული მთლიანი ოდენობა 954 ლარი იყო.

(ბ) ჯგუფს გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგს ლიმიტედისგან (Galt & Taggart Holding Limited), შპს „ფაიერბერდ რიპაბლიკს ფონდისგან“, შპს „ფაიერბერდ ავრორა ფონდისგან“ და სს „ჯორჯია კაპიტალისგან“ მიღებული აქვს პროცენტიანი სესხები.

27.3 ჯგუფის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

ქვემოთ ცხრილში მოცემულია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ხარჯად აღიარებული თანხები:

	2017	*2016*
ხელმძღვანელობის სახელფასო ხარჯი	703	610
ხელმძღვანელი პირების პრემიები	400	380
	1,103	**990**

28. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

მართვის მიზნებისთვის ჯგუფი მოიცავს ერთიან სეგმენტს, რომლის ანგარიშგებასაც ახდენს - ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელით ვაჭრობა. ხელმძღვანელობა ორგანიზებას უწევს საკუთარი წარმოების მზა პროდუქციის გაყიდვას და იმპორტირებული საქონლის გადაყიდვას ოთხ რეგიონში: საქართველო, უკრაინა, დსთ-ს სხვა ქვეყნები და სხვა ქვეყნები.

ხელმძღვანელობა აკვირდება გეოგრაფიული ერთეულების საოპერაციო შედეგებს განცალკევებულად, რათა გადაწყვეტილება მიიღოს რესურსების განაწილებასა და შედეგების შეფასებაზე. ამა თუ იმ გეოგრაფიული ერთეულის მიერ მიღწეული შედეგები ფასდება შემოსავლებისა და საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება-ზარალის მიხედვით და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საოპერაციო მოგების ან ზარალის შესაბამისად.

გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაცია შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის	*საქართველო*	*უკრაინა*	*დსთ-ის სხვა ქვეყნები*	*სხვა ქვეყნები*	*გადაუნაწილებელი*	*სულ*
გარე კლიენტებისგან მიღებული შემოსავალი	40,145	5,609	3,814	5,407	–	**54,975**
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(27,308)	(3,078)	(1,406)	(2,641)	–	**(34,433)**
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(3,316)	–	–	–	–	**(3,316)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	169	–	–	–	–	**169**
		–	–			
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე	**–**	**–**	**–**	**–**	**(14,246)**	**(14,246)**

(ათას ლარში)

მოგების გადასახადის ხარჯი	–	–	–	–	–	–
წლის ზარალი	**–**	**–**	**–**	**–**	**(14,246)**	**(14,246)**

(ათას ლარში)

28. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი, 2016 წ.	*საქართველო*	*უკრაინა*	*დსთ-ის სხვა ქვეყნები*	*სხვა ქვეყნები*	*გადაუნაწილებელი*	*სულ*
გარე კლიენტებისგან მიღებული შემოსავალი	18,977	4,959	2,238	3,619	–	**29,793**
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(11,268)	(2,045)	(857)	(1,747)	–	**(15,917)**
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(886)	–	–	–	–	**(886)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	99	–	–	–	–	**99**
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე	**–**	**–**	**–**	**–**	**(394)**	**(394)**
მოგების გადასახადის სარგებელი	–	–	–	–	41	**41**
წლის ზარალი	**–**	**–**	**–**	**–**	**(353)**	**(353)**

გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაცია გრძელვადიანი აქტივების შესახებ 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის	*საქართველო*	*უკრაინა*	*დსთ-ის სხვა ქვეყნები*	*სხვა ქვეყნები*	*გადაუნაწილებელი*	*სულ*
ძირითადი საშუალებები	102,109	59	–	–	–	**102,168**
არამატერიალური აქტივები	723	–	–	–	–	**723**
სულ	**102,832**	**59**	**–**	**–**	**–**	**102,891**

დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი, 2016 წ.	*საქართველო*	*უკრაინა*	*დსთ-ის სხვა ქვეყნები*	*სხვა ქვეყნები*	*გადაუნაწილებელი*	*სულ*
ძირითადი საშუალებები	71,568	63	–	–	–	**71,631**
არამატერიალური აქტივები	480	–	–	–	–	**480**
სულ	**72,048**	**63**	**–**	**–**	**–**	**72,111**

29. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის მარტში უკრაინის საგადასახადო ორგანოებმა დაიწყეს თელიანი ტრეიდინგ უკრაინის სრული საგადასახადო შემოწმება, რომელმაც მოიცვა 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდი. შემოწმების საბოლოო აქტის გამოშვება აპრილშია მოსალოდნელი. შემოწმების წინასწარი შედეგებიდან გამომდინარე, ჯგუფი არ მოელის რამე მნიშვნელოვანი გადასახადების ან ჯარიმების დამატებით დარიცხვას საგადასახადო შემოწმების შედეგად.

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 5
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება 6
სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 8
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 11-56

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თელიანი ველის" აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „თელიანი ველის" და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის" (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, ქვემოთ წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე", აღნიშნული საკითხის ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხის განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს ჩვენი აუდიტის განმალობაში
შემოსავლის აღიარება ჯგუფს აქვს შემოსავლის რამდენიმე წყარო ღვინისა და სხვა სასმელების დისტრიბუციიდან. ჯგუფი ფლობს საწყობებსა და სადისტრიბუციო სატრანსპორტო საშუალებებს და რეალიზაციას აწარმოებს სუპერმარკეტების ქსელებზე, სხვა სავაჭრო ობიექტებსა და რესტორნებზე. შემოსავლების აღიარება ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო ჩვენი აუდიტის განმავლობაში, რადგან ჯგუფის შემოსავლების დივერსიფიცირებული წყაროების გამო არსებობს შემოსავლის არასათანადოდ აღიარების რისკი, განსაკუთრებით პერიოდების ბოლო თარიღებისთვის. ამასთან, ჯგუფმა ვადაზე ადრე მიიღო ფასს 15 „კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტები“. ფასს 15-ს კომპლექსური მოთხოვნები აქვს და საკმაოდ დიდი დოზით საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ, აგენტი-პრინციპალის ურთიერთობის განსაზღვრის, კლიენტების მიმართ გადახდების აღრიცხვის და საცალო მოვაჭრეებისთვის მიწოდებული ინდივიდუალური საქონლის აღრიცხვისთვის. შემოსავლების აღიარების შესახებ ინფორმაცია გაცხადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2, მე-3 და მე-19 განმარტებით შენიშვნებში.	▸ ჩვენ შევამოწმეთ შემოსავლების აღიარების პროცესის კონტროლის მექანიზმები, შემოსავლების აღიარების დროის ჩათვლით; ▸ ჩავატარეთ ანალიტიკური პროცედურები და შევამოწმეთ წლის ბოლოსთვის შემდგარი შემოსავლების აღიარების გარიგებების შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ჯგუფი; ▸ გაყიდვის ოპერაციების ნიმუშები შევადარეთ ინვოისებს; ▸ შევაფასეთ ძირითად კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები და ეს პირობები შევადარეთ გამოყენებულ სააღრიცხვო მიდგომას; ▸ შევაფასეთ წლის განმავლობაში გაფორმებული ახალი სადისტრიბუციო შეთანხმებების შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ჯგუფი და ჯგუფის მიერ იმის განსაზღვრა, ამ სახელშეკრულებო ურთიერთობებში პრინციპალად გამოდის თუ აგენტად, ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად „კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები“; ▸ გავაანალიზეთ ჯგუფის გადახდები თავისი კლიენტების მიმართ და შევაფასეთ მათი გავლენა მიღებული ან მისაღები ანაზღაურების განსაზღვრაზე; ▸ შევაფასეთ გარიგების ფასის გადანაწილება ჯგუფის მიერ თავის საცალო მოვაჭრეებისთვის მიწოდებულ ინდივიდუალურ საქონელზე; ▸ შევაფასეთ ჯგუფის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფასს 15-ზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ჯგუფის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

ხელმძღვანელობისა და დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნესოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

დირექტორთა საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, დირექტორთა საბჭოს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში შეიძლება ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და, თუ შესაძლებელია, წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

დირექტორთა საბჭოსთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაწონის ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის რუსლან ხოროშვილი.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 მარტი, 2018 წ.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016 წ. გადაანგარიშებული*	2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადაანგარიშებული*
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	102,168	68,134	9,558
არამატერიალური აქტივები	17	723	480	124
გადახდილი ავანსები	10	1,658	926	1,309
გადავადებული საგადასახადო აქტივები	7	–	–	340
სულ გრძელვადიანი აქტივები		104,549	69,540	11,331
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	17,122	8,426	10,761
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	9	11,900	6,755	6,470
მოგების წინასწარ გადახდილი გადასახადი		–	93	60
წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		–	2,780	2,057
გადახდილი ავანსები	10	2,795	1,020	460
სხვა მიმდინარე აქტივები		7	29	60
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	11	4,381	17,034	2,375
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	17,437	2,399	3,425
სულ მიმდინარე აქტივები		53,642	38,536	25,668
სულ აქტივები		158,191	108,076	36,999
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		5,200	2,771	771
დამატებითი შენატანები კაპიტალში		78,748	38,846	12,958
უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვი		(1,782)	(1,740)	(1,777)
(აკუმულირებული ზარალი) / გაუნაწილებელი მოგება		(11,829)	2,814	3,024
კაპიტალი, განკუთვნილი მშობელი კომპანიის აქციონერებისთვის		70,337	42,691	14,976
არასაკონტროლო პაკეტი		1	1	1
სულ კაპიტალი	13	70,338	42,692	14,977
გრძელვადიანი ვალდებულებები				
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	14	61,482	7,611	9,605
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	7	–	–	1,044
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		61,482	7,611	10,649
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16	14,848	18,116	2,529
მოგების გადასახადის დავალიანება		–	642	605
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა		1,178	–	2,438
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	14	9,795	38,610	5,154
მიღებული ავანსები		95	140	136
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		455	265	511
სულ მიმდინარე ვალდებულებები		26,371	57,773	11,373
სულ ვალდებულებები		87,853	65,384	22,022
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		158,191	108,076	36,999

* აქ წარმოდგენილი ზოგიერთი თანხა არ შეესაბამება 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შესულ კორექტირებებს. იხ. მე-2 შენიშვნა.

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით 2018 წლის 30 მარტს.

გენერალური დირექტორი

შოთა ხობელია

ფინანსური დირექტორი

გიორგი კასრაძე

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016 წ. გადაანგარიშებული*
საქონლის რეალიზაცია	19	54,975	29,793
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	20	(34,433)	(15,774)
საერთო მოგება		**20,542**	**14,019**
ბიოპროდუქციის სამართლიანი ღირებულების მოძრაობა	21	253	16
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	22	(15,724)	(7,797)
ადმინისტრაციული ხარჯები	23	(7,147)	(4,325)
სხვა საოპერაციო ხარჯები	24	(2,557)	(270)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი		**(4,633)**	**1,643**
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	15	(3,316)	(886)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		169	99
წმინდა საკურსო ზარალი		(7,024)	(1,043)
სხვა არასაოპერაციო დანაკარგები		–	(64)
სხვა არასაოპერაციო მოგება		558	–
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		**(14,246)**	**(251)**
მოგების გადასახადის სარგებელი	7	–	41
წლის ზარალი		**(14,246)**	**(210)**
განკუთვნილი:			
- მშობელი კომპანიის აქციონერებისთვის		(14,246)	(210)
- არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის		–	–
მოგება ერთ აქციაზე:			
- საბაზისო და გაზავებული ზარალი ერთ აქციაზე:	13	(0.000035)	(0.0000011)

* აქ წარმოდგენილი ზოგიერთი თანხა არ შეესაბამება 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შესულ კორექტირებებს. იხ. მე-2 შენიშვნა.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016 წ. გადაანგარიშებული*
წლის ზარალი		(14,246)	(210)
სხვა სრული (ზარალი) / შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირებაც ხდება			
საკურსო სხვაობა უცხოური ოპერაციების სხვა ვალუტაში გადაყვანისას		(42)	37
წმინდა სხვა სრული (ზარალი) / შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირებაც ხდება		**(42)**	**37**
წლის მთლიანი სრული ზარალი, წმინდა		**(14,288)**	**(173)**
განკუთვნილი:			
- მშობელი კომპანიის აქციონერებისთვის		(14,288)	(173)
- არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის		–	–

- აქ წარმოდგენილი ზოგიერთი თანხა არ შეესაბამება 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შესულ კორექტირებებს. იხ. მე-2 შენიშვნა.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	საქციო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად მიღებული მეტობა	უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	სულ	არასაკონტროლო პაკეტი	სულ
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**771**	**12,958**	**3,214**	**(1,777)**	**2,909**	**18,075**	**1**	**18,076**
სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობითი ცვლილების კორექტირება (2.5ა შენიშვნა)	–	–	(3,214)	–	115	**(3,099)**	–	**(3,099)**
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული*)	**771**	**12,958**	**–**	**(1,777)**	**3,024**	**14,976**	**1**	**14,977**
წლის ზარალი	–	–	–	–	(210)	**(210)**	–	**(210)**
სხვა სრული შემოსავალი	–	–	–	37	–	**37**	–	**37**
სააქციო კაპიტალის გამოშვება (მე-13 შენიშვნა)	2,000	25,916	–	–	–	**27,916**	–	**27,916**
გარიგების დანახარჯები	–	(28)	–	–	–	**(28)**	–	**(28)**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული*)	**2,771**	**38,846**	**–**	**(1,740)**	**2,814**	**42,691**	**1**	**42,692**
მოდიფიცირებული რეტროსპექტული გადასვლა ფასს 15-ზე (2.5ბ შენიშვნა)	–	–	–	–	(397)	**(397)**	–	**(397)**
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**2,771**	**38,846**	**–**	**(1,740)**	**2,417**	**42,294**	**1**	**42,295**
წლის ზარალი	–	–	–	–	(14,246)	**(14,246)**	–	**(14,246)**
სხვა სრული ზარალი	–	–	–	(42)	–	**(42)**	–	**(42)**
სააქციო კაპიტალის გამოშვება (მე-13 შენიშვნა)	2,429	39,902	–	–	–	**42,331**	–	**42,331**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,200**	**78,748**	**–**	**(1,782)**	**(11,829)**	**70,337**	**1**	**70,338**

* აქ წარმოდგენილი ზოგიერთი თანხა არ შეესაბამება 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შესულ კორექტირებებს. იხ. მე-2 შენიშვნა.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016 გადაანგარიშებული*
საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		(14,246)	(251)
კორექტირებები გაბეგვრამდელი ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოსაყვანად			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	20, 22, 23, 24	5,203	1,418
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	17	31	21
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		3,316	886
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		(169)	(99)
უიმედო დავალიანების ხარჯი	9	633	79
ბიოპროდუქციის სამართლიანი ღირებულების მოძრაობა		(253)	–
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (მოგება)/ზარალი		(558)	44
ფინანსურ და საინვესტიციო საქმიანობისთვის მიკუთვნებადი წმინდა საკურსო ზარალი		6,577	1,170
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		**534**	**3,268**
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები			
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(7,691)	2,335
ცვლილებები სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებში		(6,779)	(364)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		(2,768)	(659)
ცვლილებები სხვა აქტივებში		22	31
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		6,385	583
ცვლილება სხვა მიმდინარე ვალდებულებებში		190	(246)
ცვლილებები საგადასახადო დავალიანებაში, მოგების გადასახადის გათვალისწინების გარეშე		3,958	(390)
ცვლილებები მიღებულ ავანსებში		(45)	4
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) / საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები, პროცენტისა და მოგების გადასახადის გადახდამდე		**(6,194)**	**4,562**
გადახდილი მოგების გადასახადი		(642)	(659)
გადახდილი პროცენტი	15	(3,956)	(759)
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) / საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(10,792)**	**3,144**
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(46,784)	(43,796)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(274)	(377)
შეზღუდული წვდომის ანგარიშზე ფულადი სახსრების განთავსება		(9,729)	(22,544)
შეზღუდული წვდომის ანგარიშიდან ფულადი სახსრების გამოტანა		22,539	9,482
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		717	62
შეძენილ ძირითად საშუალებებზე წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		–	(2,771)
მიღებული პროცენტი		31	99
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(33,500)**	**(59,845)**
ფინანსური საქმიანობა			
ახალი აქციების გამოშვება	13	42,331	27,888
ნასესხები სახსრების დაფარვა	15	(47,747)	(3,790)
აღებული სესხები	15	64,936	31,021
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**59,520**	**55,119**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		**15,228**	**(1,582)**
საკურსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(190)	556
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12	2,399	3,425
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	12	**17,437**	**2,399**

* აქ წარმოდგენილი ზოგიერთი თანხა არ შეესაბამება 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს შესულ კორექტირებებს. იხ. მე-2 შენიშვნა.

10-44 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

არაფულადი ოპერაციები:

- 2017 წლის განმავლობაში 2,149 ლარის ნასესხები სახსრები კაპიტალიზდა ძირითადი საშუალებების ნაწილში (2016 წ.: 818 ლარი) და მოიცავდა საპროცენტო ხარჯებს 1,710 ლარის ოდენობით (2016 წ.: 712 ლარი) და საკურსო ზარალს 439 ლარის ოდენობით (2016 წ.: 106 ლარი) (მე-6 შენიშვნა);
- ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის 5,351 ლარს შეადგენდა (2016 წ.: 15,003 ლარი);
- 2017 წლის განმავლობაში კომპანიამ მოახდინა ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსების რეალიზება 261 ლარის ოდენობით (2016 წ.: 482 ლარი);
- ჯგუფმა ვადაზე ადრე მიიღო შემოსავლის აღიარების ახალი სტანდარტი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით, რის შედეგადაც სავაჭრო დებიტორული ანგარიშები დაკორექტირდა (შემცირდა) 1,001 ლარით, ხოლო სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაიზარდა 604 ლარით 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით;
- სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს კაპიტალიზებულ ცვეთას 148 ლარის ოდენობით (2016 წ.: 43 ლარი).

(ათას ლარში)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „თელიანი ველი“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კომპანია“) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2000 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თელავი, თბილისის გზატკეცილი #3. მისი ჩვეულებრივი აქციები განთავსებულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილ კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“). მისი შვილობილი კომპანიები წარმოდგენილია მე-2 შენიშვნაში.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ღვინის, ლუდის ლიმონათისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და დისტრიბუცია, ასევე იმპორტირებული ლუდისა და სხვა სასმელების დისტრიბუცია.

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიმოქცევაში გამოშვებული აქციების 3%-ზე მეტს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები: დანარჩენი აქციონერებიდან თითოეული აქციათა 3%-ზე ნაკლებს ფლობდა.

აქციონერები	*2017 %*	*2016 %*
სს „ჯორჯია კაპიტალი“ (ყოფილი სს „ბიჯეო ინვესთმენთს“)	47.57	23.67
სს „ლიბერთი კონსიუმერი“	28.06	47.75
შპს „ფაიერბერდ რიპაბლიკს ფონდი“	10.51	11.63
შპს „ფაიერბერდ ავრორა ფონდი“	8.57	15.16
შპს „ფაიერბერდ ფონდი“	4.29	–
საქართველოს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული აქციები	0.27	0.74
სხვა	0.73	1.05
სულ	**100.00**	**100.00**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს წევრები ჯგუფის 1,852,591 აქციას ანუ აქციათა 0.36%-ს ფლობენ (2016 წ.: 1,830,111, ანუ 0.66%).

ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ბიჯეო ჯგუფი“.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

2.1 მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ბიოპროდუქციისა და იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

2017 წლის განმავლობაში ჯგუფმა განიცადა 14,246 ლარის ოდენობის ზარალი, ხოლო საოპერაციო საქმიანობაში გამოიყენა 10,792 ლარის ოდენობის წმინდა ფულადი ნაკადები. უარყოფითი საოპერაციო შედეგები 2017 წელს უკავშირდებოდა ბიზნესის ახალი მიმართულებების წამოწყებას ლუდისა და ლიმონათის საწარმოებლად. 2018 წლის შუიდან დაწყებული, ჯგუფი „ჰეინეკენის“ და „კრუშოვიცეს“, ხოლო 2019 წლიდან - „ამსტელის“ ბრენდების ლუდის წარმოებას გეგმავს.

ახალი ბიზნესმიმართულებების ინვესტიცია და საბრუნავი კაპიტალი დაფინანსდა არსებულ აქციონერებზე აქციების გამოშვებით და ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული გრძელვადიანი სესხით (მე-14 შენიშვნა). ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფის ფულადი სახსრების საჭიროება 12 თვის განმავლობაში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების შემდეგ და მოახდინა პროგნოზი, რომ კაპიტალური დანახარჯების და საბრუნავი კაპიტალის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, დამატებითი დაფინანსება იქნება საჭირო 5,400 ლარის ოდენობით. 2018 წლის 29 მარტს ხელმძღვანელობამ მოიპოვა ფინანსური მხარდაჭერის წერილი სს „ჯორჯია კაპიტალისგან“, რომლის მიხედვითაც, სს „ჯორჯია კაპიტალი“ აცხადებს, რომ აქვს სურვილი და განზრახვა, რომ ჯგუფი უზრუნველყოს 5,500 ლარით, რაც საჭირო იქნება კაპიტალური დანახარჯებისა და საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ ჯგუფი მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ, მოიპოვებს საჭირო ფინანსებს და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

2.3 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევენ, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღება ან მიღების უფლება; და
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების შესაბამისად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან საკონტრაქტო გარიგებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.3 კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არასაკონტროლო პაკეტის და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებული მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგ შვილობილ კომპანიებს მოიცავს:

შვილობილი კომპანია	*წილობრივი მონაწილეობა, %*	*ქვეყანა*	*სფერო*	*შეძენის/დაფუძნების თარიღი*
შპს „თელიანი თრეიდინგი“	100.0	საქართველო	საქონლის ბითუმად რეალიზაცია	30 მარტი, 2007 წ.
შპს „თელიანი თრეიდინგი“	100.0	უკრაინა	საქონლის ბითუმად რეალიზაცია	31 ივლისი, 2008 წ.
შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“	100.0	საქართველო	ლუდისა და ლიმონათის წარმოება და დისტრიბუცია	24 დეკემბერი, 2014 წ.
შპს „ლე კავკასი“	100.0	საქართველო	ბრენდის წარმოება	26 მარტი, 2007 წ.
შპს „კუპა“	70.0	საქართველო	მუხის კასრების წარმოება	29 მარტი, 2007 წ.

კომპანიის ორ შვილობილ კომპანიას (შპს „ლე კავკასი“ და შპს „კუპა“) 2009 წლიდან აქტიური ოპერაციები არ ჰქონია.

შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“ დაფუძნდა 2014 წლის დეკემბერში. 2017 წლის ივნისში დაასრულა ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობა და დაიწყო ადგილობრივ „აისის“ ბრენდის ლუდისა და „ბერიკას“ ბრენდის ლიმონათის წარმოება.
2018 წლის განმავლობაში ჯგუფი მოელის დამატებითი კაპიტალური დანახარჯების გაწევას და ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობის დასრულებას „ჰაინეკენისა“ და „კრუშოვიცეს“ ბრენდების ლუდის ჩამოსასხმელად.

შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია მათი შეძენის თარიღიდან, ანუ იმ დღიდან, როდესაც ჯგუფმა მათზე კონტროლი მოიპოვა და მათი კონსოლიდაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც ჯგუფი მათზე კონტროლს დაკარგავს. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალიზებული მოგება და ზარალი, და დივიდენდები, სრულად არის გაქვითული.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ა) შემოსავალი

საქონლის რეალიზაცია

მზა პროდუქციის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ასრულებს აღებულ ვალდებულებას, ანუ, როდესაც საქონელზე კონტროლი გადაეცემა მყიდველს - ჩვეულებრივ, საქონლის ჩაბარების დროს.

მზა პროდუქციის კონსიგნაციით გაყიდვის დროს, შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს, ან გარკვეული ვადის გასვლისას, რომლის განმავლობაშიც საცალო მოვაჭრეს შეუძლია გაუყიდავი საქონლის დაბრუნება. მზა პროდუქციის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება გარიგების წმინდა ფასით, რომელიც ასახავს მომხმარებლისთვის გადასახდელი თანხის კორექტირებებს (ფულადი თანხები, რომლებსაც ჯგუფი უხდის ან მოელის, რომ გადაუხდის მომხმარებელს) და მოცულობის გამო ფასდაკლებებს.

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შედის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

ბ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და დაუმთავრებელი მშენებლობა აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცილებელი, ჯგუფი ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ვაზის გაშენება წარმოდგენს ხარჯს, რომელიც გაიწია ახალი ვაზის ჩასაყრელად და მოსავლელად პირველი მოსავლის მოწევამდე. მას შემდეგ, რაც ვაზი მოსავალს იძლევა, დაგროვილი დანახარჯები მიეკუთვნება მწიფე ვენახებს და მათი სასარგებლო მომსახურების ვადას ერიცხება ცვეთა.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

ვაზი	45-დან 50 წლამდე
შენობა-ნაგებობები	7-დან 50 წლამდე
მანქანა-დანადგარები	5-დან 20 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-დან 7 წლამდე
სხვა	3-დან 8 წლამდე

აქტივების ცვეთა ხდება მათი ექსპლუატაციაში მიღების მომდევნო თვიდან. მიწას და ვენახს ცვეთა არ ერიცხება.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

წარმოების პროცესში უშუალოდ მონაწილე ძირითად საშუალებებზე ცვეთის დანარიცხი წარმოადგენს საწარმოო ზედნადებ ხარჯს და აღირიცხება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება (თუ წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაიყიდა) ან, როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები (თუ წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ გაიყიდა).

გ) სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

ისეთი აქტივის შეძენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხის მიღების ხარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხის მიღების ხარჯი შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც კომპანია გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

დ) ბიოლოგიური აქტივები და ბიოპროდუქცია

სოფლის მეურნეობის პროდუქცია აღირიცხება ბასს 41-ის *„სოფლის მეურნეობა“* თანახმად. ყურძნის მოსავლის აღება, როგორც წესი, ოქტომბერში ხდება. მოსავლის აღებამდე, ყურძნის მოშენების დანახარჯები აღირიცხება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში. მოსავლის აღებისას ყურძენი ხდება სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ამიტომ ფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით ბასს 41-ის შესაბამისად და სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად ყოველგვარი მოგება თუ ზარალი აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების დროისთვის სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ზოგადად, ჯგუფის ყურძნის ზუსტი საბაზრო ფასით შეფასება შეუძლებელია, რადგან ყურძენი არ იყიდება ღია ბაზარზე, ამიტომ ხელმძღვანელობა ღირებულებას ადგენს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე, წარსულში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით.

გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ეს შეფასება წარმოადგენს ყურძნის პირობით ღირებულებას, რომელიც მოსავლის აღებისას გადაიტანება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში.

ბასს 41-ის მიხედვით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია ასევე ფასდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლო და სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

სამრეწველო მცენარეები აღირიცხება თვითღირებულებით, ბასს 16-ის *„ძირითადი საშუალებები“* შესაბამისად.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ე) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თითოეული პროდუქტის ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად გაწეული ხარჯები შემდეგნაირად აღირიცხება:

- ნედლეული: შესყიდვის ხარჯი საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით;
- მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება: მასალების და მუშახელის პირდაპირი დანახარჯები და საწარმოო ზედნადების წილი ჩვეულებრივი საწარმოო სიმძლავრის პირობებში, მაგრამ ნასესხებ სახსრებზე გაწეული დანახარჯების გამოკლებით

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ჩამოიწერება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

ვ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც, ამავდროულად, ჯგუფის სამუშაო ვალუტაა. ჯგუფი თითოეული წევრისთვის განსაზღვრავს სამუშაო ვალუტას და თითოეული მათგანის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული მუხლები ფასდება ამ სამუშაო ვალუტის გამოყენებით. ჯგუფი კონსოლიდაციის პირდაპირ მეთოდს იყენებს.

(i) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის სამეურნეო ერთეულების მიერ აღირიცხება მათ შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

ფულადი მუხლების დაფარვით ან კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ ფულადი მუხლებისა, რომლებიც საზღვარგარეთ საქმიანობაში ჯგუფის წმინდა ინვესტიციების ჰეჯირებისთვის არის განკუთვნილი. ისინი აღირებულია სხვა სრულ შემოსავალში წმინდა ინვესტიციების ჩამოწერამდე, როდესაც ხდება მთლიანი თანხის რეკლასიფიკაცია მოგებაში ან ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში ასევე აისახება ამ ფულადი მუხლების საკურსო სხვაობებზე მიკუთვნებული დარიცხული გადასახადი და კრედიტები. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული მოგებისა და ზარალის აღიარების შესაბამისად (ანუ თუ მუხლების სამართლიანი ღირებულების მოგება ან ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან მოგებაში ან ზარალში, შესაბამისად, მათზე საკურსო სხვაობებიც სხვა სრულ შემოსავალსა თუ მოგებაში ან ზარალში აისახება).

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ii) კომპანიების ჯგუფი

კონსოლიდაციისას საზღვარგარეთ წარმოებული ოპერაციების აქტივები და ვალდებულებები ლარში გადაიყვანება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით, ხოლო მათი მოგება-ზარალის ანგარიშგება გადაიყვანება იმ სავალუტო კურსებით, რომლებიც მოქმედებს შესაბამისი ოპერაციების დღეს. კონსოლიდაციისთვის აუცილებელი კონვერტაციის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში. საზღვარგარეთ წარმოებული ოპერაციების ჩამოწერის შემთხვევაში, სხვა სრული შემოსავლის ამ კონკრეტულ უცხოურ ოპერაციასთან დაკავშირებული კომპონენტის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიხედვით, ლართან მიმართებაში 1 უკრაინული გრივნას ოფიციალური გაცვლითი კურსი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის იყო:

	2017	*2016*
პერიოდის დასასრული	0.0924	0.0977
პერიოდის საშუალო	0.0943	0.0927

როდესაც შიდაჯგუფურ ბალანსზე საკურსო სხვაობა წარმოიშვება, რომელიც არსებითად შეადგენს სამეურნეო სუბიექტის წმინდა ინვესტიციის ნაწილს საზღვარგარეთ წარმოებულ ოპერაციაში, მაშინ საკურსო სხვაობის აღიარება არ ხდება მოგებაში ან ზარალში კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. მისი აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება კაპიტალის ცალკე კომპონენტზე, ამ საზღვარგარეთ წარმოებული ოპერაციის ჩამოწერამდე.

ზ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-7 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც სხვა გადასახადები.

უკრაინაში მიღებული მოგება, რომელიც დაკორექტირდა მუდმივი და დროებითი სხვაობების გასათვალისწინებლად, როგორც ადგილობრივი საგადასახადო კანონმდებლობითაა ნებადართული, იბეგრება მოგების გადასახადით. მოგების გადასახადის განაკვეთი უკრაინაში 18%-ია

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უკრაინაში ბუღალტრული გატარებისას, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება, რის შედეგადაც, აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი სხვაობების შედეგად წარმოშობილი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებების ნაწილში. გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობის გამოქვითვა.

დამატებითი ღირებულების გადასახადი („დღგ“)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის სავაჭრო დებიტორული თუ სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ნაწილში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. ამიტომ ჯგუფი თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

თ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ი) ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და აღრიცხულია მოგებასა და ზარალში.

ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებს და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს, რომლებიც ბასს 39-ის თანახმად სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას მიეკუთვნება.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება ძირითადად მაშინ წყდება, როდესაც:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა;
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ხელშეკრულება ამაზე, და არც გადაუცია და არც დაუტოვებია აქტივთან დაკავშირებული ძირითადი რისკები და სარგებელი, და არც კონტროლი გადაუცია აქტივზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით.

ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორიცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფულადი სახსრების მომავალი შეფასებული ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელიც ჯერ არ არის გაწეული). სავარაუდო სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი კვლავაც ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას იმ განაკვეთით, რომელიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გაუფასურების შედეგად განცდილი ზარალის შესაფასებლად. საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. სესხები მათ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი, ხოლო უზრუნველყოფა მთლიანად რეალიზებულია ან ჯგუფისათვის არის გადაცემული.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ სამომავლო ჩამოწერის ამოღება მოხერხდება, იგი გატარდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილის კრედიტში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემთხვევაში, ამას ემატება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მხოლოდ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას მოიცავს, რაშიც შედის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება და პროცენტიანი სესხები.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, გათავისუფლდება ან ამოიწურება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

(კ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და ხარჯი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს.

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება.

შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში. ჯგუფის არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა 5 წლიდან 10 წლამდეა.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

ლ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით.

თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

ჯგუფი გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი საქმიანობის გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, გაუფასურებელი აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების აღიარებაც სხვა სრულ შემოსავალში მოხდება ნებისმიერი მანამდე მომხდარი გადაფასების თანხამდე.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ისეთი აქტივების შემთხვევაში, რომლებშიც გუდვილი არ შედის, ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. მსგავსი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

მ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან ანაბრებს, რომელთა ვადაც სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისთვის ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისგან და მოკლევადიანი ანაბრებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად.

ნ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა. თუ ჯგუფი მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო კონტრაქტის საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

ო) სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ჯგუფი სოფლის მეურნეობის პროდუქციას საბალანსო ანგარიშის შედგენის ყოველი თარიღისთვის აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ა) ცვლილება ძირითადი საშუალებების გარკვეული კლასების შემდგომ აღრიცხვაში

ჯგუფმა ძირითადი საშუალებების სააღრიცხვო პოლიტიკა გადააფასა, კერძოდ ძირითადი საშუალებების გარკვეული კლასების ღირებულება ხელახლა განსაზღვრა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ჯგუფი მანამდე მიწას, შენობა-ნაგებობებს, ვენახებსა და ღვინის ავზებს აღრიცხავდა გადაფასების მოდელით, რომლის მიხედვითაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მიწა, შენობა-ნაგებობები, ვენახები და ღვინის ავზები ფასდებოდა სამართლიანი ღირებულებით გადაფასების თარიღისთვის და აკლდებოდა შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

2017 წლის 1 იანვარს ჯგუფმა გადაწყვიტა მიწისა და შენობა-ნაგებობების, ვენახებისა და ღვინის ავზების აღრიცხვის პოლიტიკის შეცვლა, რადგან ჯგუფის აზრით, თვითღირებულების მოდელი უფრო ზუსტად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას და უფრო მეტად შეესაბამება კონკურენტების მიერ მიღებულ პრაქტიკას. გარდა ამისა, თვითღირებულების მოდელი უფრო მეტად შეესაბამება აქტივების ბიზნესდანიშნულებას, ვინაიდან მათი ღირებულების რეალიზება ძირითადად უწყვეტი გამოყენებით ხდება.

სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის შემდეგ, თავდაპირველი აღიარების მერე ჯგუფი იყენებს თვითღირებულების მოდელს, რომლის მიხედვითაც, ყველა ძირითადი საშუალება აღირიცხება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ჯგუფმა თვითღირებულების მოდელი რეტროსპექტულად გამოიყენა.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

კორექტირებების ეფექტი წარმოდგენილია ქვემოთ:

ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

	1 იანვარი, 2016 წ. კორექტირებებამდე	*სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის ეფექტი*	*1 იანვარი, 2016 წ. გადაანგარიშებული*
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13,198	(3,640)	9,558
სხვა	1,773	–	1,773
სულ გრძელვადიანი აქტივები	14,971	(3,640)	11,331
სულ მიმდინარე აქტივები	25,668	–	25,668
სულ აქტივები	40,639	(3,640)	36,999
კაპიტალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად მიღებული მეტობა	3,214	(3,214)	–
გაუნაწილებელი მოგება	2,909	115	3,024
სხვა	11,953	–	11,953
სულ კაპიტალი	18,076	(3,099)	14,977
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	1,585	(541)	1,044
სხვა	9,605	–	9,605
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	11,190	(541)	10,649
სულ მიმდინარე ვალდებულებები	11,373	–	11,373
სულ ვალდებულებები	22,563	(541)	22,022
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	40,639	(3,640)	36,999

ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი, 2016 წ. კორექტირებებამდე	*სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის ეფექტი*	*31 დეკემბერი, 2016 წ. გადაანგარიშებული*
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	71,631	(3,497)	68,134
სხვა	1,406	–	1,406
სულ გრძელვადიანი აქტივები	73,037	(3,497)	69,540
სულ მიმდინარე აქტივები	38,536	–	38,536
სულ აქტივები	111,573	(3,497)	108,076
კაპიტალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად მიღებული მეტობა	3,755	(3,755)	–
გაუნაწილებელი მოგება	2,556	258	2,814
სხვა	39,878	–	39,878
სულ კაპიტალი	46,189	(3,497)	42,692
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	7,611	–	7,611
სულ მიმდინარე ვალდებულებები	57,773	–	57,773
სულ ვალდებულებები	65,384	–	65,384
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	111,573	(3,497)	108,076

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ამონარიდი მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2016 კორექტირებებამდე	*სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის ეფექტი*	*2016 გადაანგარიშებული*
საქონლის რეალიზაცია	29,793	–	29,793
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(15,917)	143	(15,774)
საერთო მოგება	**13,876**	**143**	**14,019**
სხვა	(12,376)	–	(12,376)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი	**1,500**	**143**	**1,643**
სხვა	(1,894)	–	(1,894)
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე	**(394)**	**143**	**(251)**
მოგების გადასახადის სარგებელი	41	–	41
წლის ზარალი	**(353)**	**143**	**(210)**

ამონარიდი სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31 დეკემბერი, 2016 წ., კორექტირებებამდე	*სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის ეფექტი*	*31 დეკემბერი, 2016 წ. გადაანგარიშებული*
წლის ზარალი	**(353)**	**143**	**(210)**
წმინდა სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი), რომლის რეკლასიფიცირებაც ხდება შემდეგი პერიოდების მოგებაში ან ზარალში	37	–	37
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება	541	(541)	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი), წმინდა	**225**	**(398)**	**(173)**

ამონარიდი ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2016 წ. კორექტირებებამდე	*სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის ეფექტი*	*31 დეკემბერი, 2016 წ. გადაანგარიშებული*
საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე	(394)	143	(251)
კორექტირებები დასაბეგრი ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოსაყვანად			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	1,561	(143)	1,418
სხვა კორექტირებები	2,225	–	2,225
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**3,144**	**–**	**3,144**
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(59,845)**	**–**	**(59,845)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**55,119**	**–**	**55,119**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა	**(1,582)**	**–**	**(1,582)**
საკურსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	556	–	556
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3,425	–	3,425
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**2,399**	**–**	**2,399**

ბ) ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება და სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობითი ცვლილება

ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ცვლილების ხასიათსა და გავლენას:

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში, და შეიცვალა 2016 წლის აპრილში, და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ჯგუფმა ვადაზე ადრე გამოიყენა შემოსავლის აღიარების ახალი სტანდარტი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. ვადაზე ადრე გამოყენების შედეგად გაუნაწილებელი მოგება შემცირდა 397 ლარით, და სასაქონლო-მატერიალური მარაგები შესაბამისად გაიზარდა (604 ლარი), ხოლო მოთხოვნები შემცირდა (1,001 ლარი).

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ღვინის, ლუდის ლიმონათისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და დისტრიბუცია, ასევე იმპორტირებული ლუდისა და სხვა სასმელების დისტრიბუცია. ჯგუფის კლიენტები არიან საცალო ვაჭრობის მაღაზიები, მომცრო სუპერმარკეტები, რესტორნები და ბარები. ფასს 15-მა შემდეგი გავლენა მოახდინა მის შემოსავლების აღიარების პრინციპებზე:

(i) პრინციპალის და აგენტის საკითხები

ვინაიდან ჯგუფი ალკოჰოლურ და არაალკოჰოლურ სასმელებს საბოლოო მომხმარებლებზე ყიდის მაღაზიების, მცირე სუპერმარკეტების, ბარებისა და რესტორნების მეშვეობით (შუამავალი გამყიდველები), ხელმძღვანელობას ესაჭიროება იმის განსაზღვრა, აკონტროლებს თუ არა ჯგუფი ამ საქონელს საბოლოო მომხმარებლებზე გადაყიდვამდე. გარკვეული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების მიხედვით, შუამავალ გამყიდველებს უპირობო უფლება აქვთ, გაუყიდავი საქონელი ჯგუფს დაუბრუნონ და ჯგუფმა სრულად უნდა დაიბრუნოს გაუყიდავი საქონელი ნებისმიერ დროს კონკრეტული პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გასვლამდე. შესაბამისად, ასეთი ტიპის ხელშეკრულებების გაფორმებისას ჯგუფი იტოვებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების რისკს მანამ, სანამ საქონელი არ გადაიყიდება საბოლოო მომხმარებლებზე. ფასს 15-ის თანახმად, ხელმძღვანელობამ არ აღიარა ასეთი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი საბოლოო მომხმარებლების მიერ საქონლის შესყიდვამდე. 2017 წლის 1 იანვრისთვის საწყის ნაშთებში შეტანილი კორექტირებები გულისხმობდა საქონლის გაყიდვის შედეგად სავაჭრო მოთხოვნების შემცირებას 1,001 ლარით, სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდას 604 ლარით და გაუნაწილებელი მოგების შემცირებას 397 ლარით.

(ii) გარიგების ფასის განსაზღვრა

ფასს 15-ის მიხედვით, ჯგუფის მიერ თავისი მომხმარებლებისთვის გადასახდელი საზღაური აღირიცხება როგორც გარიგების ფასის შემცირება, რადგან ხელმძღვანელობის შეფასებით, ასეთი გადახდები არ ეხება მომხმარებლის მიერ ჯგუფისთვის მიწოდებულ გარკვეულ საქონელს ან მომსახურებას. წინა სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, ასეთი გადახდები აისახებოდა რეალიზაციის და მარკეტინგის ხარჯებში. ფასს 15-ზე გადასვლის შედეგად, ჯგუფმა რეალიზაციის და მარკეტინგის ხარჯებიდან 4,416 ლარი გადაიტანა შემოსავალში.

(iii) ხელშეკრულების შესრულების ვალდებულების განსაზღვრა

ხელმძღვანელობის შეფასებით, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების გაყიდვა და შესაბამისი მარკეტინგული მასალების უსასყიდლო მიწოდება ხელშეკრულების შესრულების ცალ-ცალკე ვალდებულებას წარმოადგენს. თუმცა, ამას გავლენა არ მოუხდენია შემოსავლის განაწილებაზე, რადგან ხელშეკრულების შესრულების ორივე ვალდებულება ერთდროულად შესრულდა. ვინაიდან ამ მარკეტინგული მასალების თვითღირებულება ადრე რეალიზაციის და მარკეტინგის ხარჯებში აღირიცხებოდა, ხელმძღვანელობამ 1,248 ლარის ოდენობის ეს ხარჯები გადაიტანა გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში.

(iv) წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები

ფასს 15-ში უფრო დეტალურად არის ასახული წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები, ვიდრე ახლანდელ ფასს-ში. კერძოდ, ჯგუფმა განავრცო განმარტებითი შენიშვნები შემოსავლის აღიარებისას გამოყენებული განსჯისა (მე-3 შენიშვნა) და სახელშეკრულებო ნაშთების შესახებ (მე-19 შენიშვნა).

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

შემოსავლის ახალი სტანდარტის მოთხოვნით, ფასს 15-ის ვადაზე ადრე მიღების გავლენა განმარტებით შენიშვნებში შემდეგნაირად უნდა აისახოს:

ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი, 2016 წ, ანგარიშგებაში ასახული	*ფასს 15-ის მიღების ეფექტი*	*1 იანვარი, 2017 წ.*
სულ გრძელვადიანი აქტივები	**69,540**	–	**69,540**
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8,426	604	9,030
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	6,755	(1,001)	5,754
სხვა	23,355	–	23,355
სულ მიმდინარე აქტივები	**38,536**	**(397)**	**38,139**
სულ აქტივები	**108,076**	**(397)**	**107,679**
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	2,814	(397)	2,417
სხვა	39,878	–	39,878
სულ კაპიტალი	**42,692**	**(397)**	**42,295**
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**7,611**	–	**7,611**
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**57,773**	–	**57,773**
სულ ვალდებულებები	**65,384**	–	**65,384**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**108,076**	**(397)**	**107,679**

ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2017 წ. თანხები ფასს 15-ის მიღების გათვალისწინების გარეშე	*ფასს 15-ის მიღების ეფექტი*	*31 დეკემბერი, 2017 წ. ანგარიშგებაში ასახული*
სულ გრძელვადიანი აქტივები	**104,549**	**–**	**104,549**
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	16,046	1,076	17,122
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	13,693	(1,793)	11,900
სხვა	24,620	–	24,620
სულ მიმდინარე აქტივები	**54,359**	**(717)**	**53,642**
სულ აქტივები	**158,908**	**(717)**	**158,191**
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	(11,112)	(717)	(11,829)
სხვა	82,167	–	82,167
სულ კაპიტალი	**71,055**	**(717)**	**70,338**
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**61,482**	**–**	**61,482**
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**26,371**	**–**	**26,371**
სულ ვალდებულებები	**87,853**	**–**	**87,853**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**158,908**	**(717)**	**158,191**

ამონარიდი მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31 დეკემბერი, 2017 წ. თანხები ფასს 15-ის მიღების გათვალისწინების გარეშე	*ფასს 15-ის მიღების ეფექტი*	*31 დეკემბერი, 2017 წ. ანგარიშგებაში ასახული*
საქონლის რეალიზაცია	60,183	(5,208)	54,975
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(33,657)	(776)	(34,433)
საერთო მოგება	**26,526**	**(5,984)**	**20,542**
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(21,201)	5,664	(15,537)
სხვა	(9,638)	–	(9,638)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი	**(4,313)**	**(320)**	**(4,633)**
სხვა	(9,613)	–	(9,613)
წლის ზარალი	**(13,926)**	**(320)**	**(14,246)**
მოგება ერთ აქციაზე:			
- საბაზისო და გაზავებული ზარალი ერთ აქციაზე:	(0.000034)	(0.000001)	(0.000035)

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ცვლილებები გასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება: ინფორმაციის გახსნის ინიციატივა“

ცვლილებების თანახმად, საწარმოებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, როგორც ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებების, ისე არაფულადი ცვლილებების (როგორიცაა საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი) ჩათვლით. ჯგუფმა მე-15 შენიშვნაში როგორც ამჟამინდელი, ისე შედარებადი პერიოდის ინფორმაცია წარმოადგინა.

ცვლილებები გასს 12-ში „მოგებიდან გადასახადები: გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება არარეალიზებულ ზარალთან მიმართებით“

ცვლილებები განმარტავს, რომ საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, ხომ არ ზღუდავს საგადასახადო კანონმდებლობა დასაბეგრი მოგების წყაროებს, რომლებიდანაც მან შეიძლება მოახდინოს გაქვითვები არარეალიზებულ ზარალთან დაკავშირებული გამოსაქვითი დროებითი სხვაობის შემობრუნებისას. ამასთან, ცვლილებები განმარტავს, როგორ უნდა განსაზღვროს საწარმომ მომავალში მისაღები დასაბეგრი მოგება და განსაზღვრავს გარემოებებს, რომლებშიც დასაბეგრი მოგება შეიძლება მოიცავდეს გარკვეული აქტივების ამოღებას საბალანსო ღირებულებაზე მეტი ღირებულებით. ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან მას არ აქვს დასაბეგრი მოგება ახალი საგადასახადო მოდელის შემოღების შემდეგ, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს (მე-7 შენიშვნა).

გ) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოსცა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ ბოლო ვერსია, რომელიც ანაცვლებს ბასს 39-ს *„ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“* და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით.

ჯგუფი აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღისთვის და არ გადაიანგარიშებს შედარებად ინფორმაციას. საერთო ჯამში, ფასს 9-ის მიღების შემდეგ ჯგუფი არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავისი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე და კონსოლიდირებულ კაპიტალზე.

(i) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის მიღება იმოქმედებს ჯგუფის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მაგრამ გავლენას არ იქონიებს ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე. სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს ჯგუფი ფლობს იმისათვის, რომ მიიღოს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფულადი სახსრები და მოსალოდნელია, რომ დებიტორული ანგარიშები წარმოშობს მხოლოდ ძირითადი თანხის დაფარვასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს. ამრიგად, ჯგუფი მოელის, რომ ეს აქტივები ფასს 9-ის მიხედვითაც ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება. ჯგუფმა გააანალიზა ამ ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები და დაასკვნა, რომ ისინი აკმაყოფილებს ფასს 9-ის მიხედვით ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კრიტერიუმებს. ამიტომ ამ ინსტრუმენტების ხელახლა კლასიფიკაცია სავალდებულო არ არის.

(ათას ლარში)

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2.5 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

(ii) გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, ჯგუფს ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა სავალო ფასიან ქაღალდზე, სესხსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. ჯგუფი გამოიყენებს გამარტივებულ მიდგომას და აღრიცხავს ყველა სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე მოსალოდნელ ზარალს მათი მთლიანი ვადის განმავლობაში. ჯგუფი არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის კონსოლიდირებულ კაპიტალზე, რადგან მისი სესხები და მისაღები ანგარიშები არ არის უზრუნველყოფილი, მაგრამ გავლენის მასშტაბის დასადგენად იგი ჩაატარებს დამატებით დეტალურ ანალიზს, რომელიც გაითვალისწინებს ყველა გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, საპროგნოზო ელემენტების ჩათვლით.

(iii) ჰეჯირების აღრიცხვა

ჯგუფს ამ ეტაპზე არ აქვს ჰეჯირების ურთიერთობა, ამიტომ იგი არ მოელის ფასს 9-ის გავლენას მისი შემოღების შედეგად.

ფასს 16 „იჯარა“

ფასს 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს 17-ს *„იჯარა“*, ფაისკ 4-ს *„როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“*, იმკ 15-ს *„საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“* და იმკ 27-ს *„გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“*. ფასს 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება).

მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16 როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ახალ სტანდარტზე გადასვლის გავლენას.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მოსაზრებები

შემოსავლის აღიარება - საქონელზე კონტროლის გადაცემა

ხელმძღვანელობა განსჯის საფუძველზე განსაზღვრავს, აკონტროლებს თუ არა ჯგუფი შუამავალი გამყიდველებისთვის მიწოდებულ საქონელს, საბოლოო მომხმარებლებზე მათ გადაყიდვამდე. ყიდვა-გაყიდვის გარკვეული ხელშეკრულებების მიხედვით, შუამავალი გამყიდველები ვალდებულები არიან, რომ საქონლის ღირებულება გადაიხადონ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას გადაყიდიან საბოლოო მომხმარებელზე და აქვთ უპირობო უფლება, დაუბრუნონ გაუყიდავი საქონელი ჯგუფს ნებისმიერ დროს, პროდუქტის ვარგისიანობის გასვლამდე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით, ჯგუფი ინარჩუნებს საქონელზე კონტროლს მანამ, სანამ არ მოხდება მისი გადაყიდვა საბოლოო მომხმარებლებზე და არ აღიარებს შემოსავალს ამ მომენტამდე.

წმინდა ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

ჯგუფი თავისი სავაჭრო მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაწილს უკრაინაში თავისი შვილობილი საწარმოს მიმართ, თავისი წმინდა ინვესტიციის ნაწილად აღრიცხავს. ხელმძღვანელობის აზრით, ამ შიდაჯგუფური თანხების ამოღება მოსალოდნელი არ არის ახლო მომავალში და ეს დამოკიდებულია უკრაინული შვილობილი საწარმოს საერთო შედეგებზე, ამიტომ ეს თანხები შეადგენს უკრაინაში მდებარე შვილობილ საწარმოში ჯგუფის წმინდა ინვესტიციის ნაწილს. ამ ფულად მუხლებზე საკურსო სხვაობების აღიარება თავდაპირველად ხდება სხვა სრულ შემოსავალში. ამ განსჯის თანახმად, 2017 წელს 564 ლარის საკურსო ზარალი აისახა სხვა სრული შემოსავლის ნაწილში (2016 წ.: 54 ლარი).

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება

ჯგუფის მიერ აღებული მოსავალი შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით მოსავლის აღების დროისთვის. ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების დროისთვის სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ზოგადად, ჯგუფის ყურძნის ზუსტი საბაზრო ფასით შეფასება შეუძლებელია, რადგან ყურძენი არ იყიდება ღია ბაზარზე, ამიტომ ხელმძღვანელობა ღირებულებას ადგენს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე, წარსულში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით.

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. ჯგუფი თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფი ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიანიშნებს ჯგუფში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დარყდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

ხელმძღვანელობის შეფასებით, 2,320 ლარის (2016 წ.: 1,687 ლარი) ოდენობის უიმედო თანხების რეზერვი ყველაზე ზუსტად ასახავს დებიტორული დავალიანების გაუფასურებით გამოწვეულ შესაძლო დანაკარგებს (მე-9 შენიშვნა).

4. უკრაინის ეკონომიკური ვითარება

2017 წელს უკრაინის საბანკო სისტემა უფრო მოქნილი და უკეთ კაპიტალიზებული გახდა. სამწლიანი პაუზის შემდეგ ბანკებმა ისევ დაიწყეს კრედიტების გაცემა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. ამას წინ უძღოდა დადებითი ძვრები უკრაინის ეკონომიკაში. 2014-2015 წლების კრიზისის შემდეგ უკრაინის ეკონომიკამ აღმავლობა დაიწყო და შეინარჩუნა მშპ-ის ზრდის დადებითი ტემპი (2017 წლის პირველი კვარტალის გარდა). ეკონომიკური ზრდა ნელი, მაგრამ დადებითი იყო. ხოლო, ფართო მოხმარების საქონელსა და ინვესტიციებზე მოთხოვნა სწრაფად გაიზარდა. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს აღმავლობა დაედო საფუძვლად მშპ-ის ზრდის დაჩქარებულ ტემპს, რომელიც 2018 წელს 2-3%-მდე გაიზარდა.

უკრაინის ეროვნული ბანკის მოლოდინით, ინფლაციის ტემპი შენელდება 2018 წელს. 2017 წლის ბოლოს უკრაინის ეროვნულმა ბანკმა ორჯერ, ჯამში ორი პროცენტით, გაზარდა ძირითადი განაკვეთი 14.5%-მდე. მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შესახებ გადაწყვეტილება ძირითადად განაპირობა 2018 წლის დასაწყისში ინფლაციის მიზნობრივ დონეებამდე დაყვანის საჭიროებამ. გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის დახმარებით მოსალოდნელი ინფლაციის ზრდა თავიდან იქნება აცილებული.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის წმინდა აქტივები, რომლებზეც ქვეყნის რისკი ვრცელდება, დაახლოებით 4,419 ლარს შეადგენდა (2016 წ.: 3,600 ლარი). უკრაინაში მიმდინარე არასახარბიელო მოვლენებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფისა და მისი უკრაინული შვილობილი საწარმოს ფინანსურ შედეგებზე და მდგომარეობაზე, თუმცა მათი გავლენის ზუსტი განსაზღვრა ამ ეტაპზე შეუძლებელია.

5. შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

ჯგუფის დირექტორებმა საქმიანობის შეფასების საზომად წარმოადგინეს EBITDA, რადგან ისინი ამ მაჩვენებელს მონიტორინგს უწევენ კონსოლიდირებულ დონეზე და მიაჩნიათ, რომ ის რელევანტურია ჯგუფის ფინანსური შედეგების შეფასებისთვის. EBITDA გამოითვლება მოგების დაკორექტირებით ისე, რომ არ იქნეს გათვალისწინებული გადასახადის გავლენა, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული წმინდა დანახარჯები, ცვეთა, ამორტიზაცია, საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი და სხვა არარეგულარული შემოსავალი და ხარჯი. ფასს არ განსაზღვრავს EBITDA-ს, როგორც შედეგების საზომს. ჯგუფის მიერ EBITDA-ს განმარტება შესაძლოა არ იყოს შედარებადი საქმიანობის შედეგების ანალოგიური სახელწოდების საზომებთან და სხვა საწარმოების მიერ გაცხადებულ ინფორმაციასთან.

(ათას ლარში)

5. შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) (გაგრძელება)

დაკორექტირებული EBITDA-ს შეჯერება მოგებასთან ასე გამოიყურება:

	შენიშვნა	*2017*	*2016 წ. გადაანგარიშებული*
წლის ზარალი		**(14,246)**	**(210)**
მოგების გადასახადის სარგებელი	7	–	(41)
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		**(14,246)**	**(251)**
კორექტივები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	20, 22, 23, 24	5,234	1,396
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		3,316	886
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		(169)	(99)
საკურსო ზარალი		7,024	1,043
სხვა არასაოპერაციო დანაკარგები		–	64
სხვა არასაოპერაციო მოგება		(558)	–
EBITDA		**601**	**3,039**

(ათას ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სხვა	ვაზი	ვენახის გაშენება	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება									
გადაანგარიშებული 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,146	2,849	7,318	1,070	590	1,155	116	71	14,315
შემოსვლები	–	24	945	251	63	–	30	58,787	60,100
გასვლები	(31)	–	(15)	(175)	(29)	(70)	–	–	(320)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,115	2,873	8,248	1,146	624	1,085	146	58,858	74,095
შემოსვლები	–	11	18,286	4,864	942	–	2	15,436	39,541
გასვლები	–	(202)	(71)	(130)	(10)	–	–	–	(413)
გადატანა დაუმთავრებელი მშენებლობიდან	–	14,917	59,202	–	–	–	–	(74,119)	–
საკურსო სხვაობა	–	–	–	–	(5)	–	–	–	(5)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,115	17,599	85,665	5,880	1,551	1,085	148	175	113,218
ცვეთა									
გადაანგარიშებული 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	13	3,646	636	462	–	–	–	4,757
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში,გადაანგარიშებული	–	199	910	183	52	74	–	–	1,418
ცვეთა აქტივის გასვლისას	–	–	(8)	(174)	(28)	(4)	–	–	(214)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	212	4,548	645	486	70	–	–	5,961
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	–	445	4,000	664	172	70	–	–	5,351
ცვეთა აქტივის გასვლისას	–	(60)	(69)	(115)	(10)	–	–	–	(254)
საკურსო სხვაობა	–	–	–	–	(8)	–	–	–	(8)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	597	8,479	1,194	640	140	–	–	11,050
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,146	2,836	3,672	434	128	1,155	116	71	9,558
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,115	2,661	3,700	501	138	1,015	146	58,858	68,134
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,115	17,002	77,186	4,686	911	945	148	175	102,168

(ათას ლარში)

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ჯგუფმა ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობა 2017 წლის მაისში დაასრულა. 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაციამ შეადგინა 2,149 ლარი (2016 წ.: 818 ლარი) და მოიცავდა ფინანსურ საქმიანობაზე გაწეულ დანახარჯებს 1,710 ლარის ოდენობით (2016 წ.: 712 ლარი) და საკურსო ზარალს 439 ლარის ოდენობით (2016 წ.: 106 ლარი).

ჯგუფმა წარმოადგინა ძირითადი საშუალებები საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციისგან, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისა და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან მიღებული გარე სესხების უზრუნველსაყოფად (მე-18 შენიშვნა).

7. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა მთლიანად შეაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს 12-ის *„მოგებიდან გადასახადები“* შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

2017 წელს კომპანიას დივიდენდი არ გადაუხდია, ამიტომ განაწილებულ მოგებაზე (დივიდენდებზე) დარიცხული მოგების გადასახადი ნულს გაუტოლდა. 2016 წელს ჯგუფმა აღიარა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შემობრუნების შედეგად მიღებული მოგების გადასახადის 704 ლარის ოდენობის სარგებელი მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მოგების გადასახადის სარგებელი მოიცავს შემდეგს:

	2017	*2016*
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება		
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	–	663
მოგების გადასახადის გადავადებული სარგებელი	–	(704)
მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გაცხადებული მოგების გადასახადის სარგებელი	–	**(41)**

მოგების გადასახადის სარგებლისა შეჯერება საქართველოს შიდა საგადასახადო განაკვეთისა და სააღრიცხვო მოგების ნამრავლთან 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ასეთია:

(ათას ლარში)

7. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

	2017	*2016*
წმინდა დივიდენდები / დასაბეგრი მოგება	**–**	**(394)**
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	**15/85**	**15%**
თეორიული მოგების გადასახადის სარგებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთის მიხედვით	–	(59)
უსასყიდლო მიწოდება	–	136
მარკეტინგის ხარჯი	–	69
რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული შემოსავალი	–	(15)
ცვლილება გადავადებული საგადასახადო აქტივის რეზერვში	–	329
საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების ეფექტი	–	(446)
უკრაინაში მოქმედი უფრო მაღალი გადასახადის ეფექტი	–	(55)
მოგების გადასახადის სარგებელი წლის განმავლობაში	**–**	**(41)**

2017 წელს ჯგუფის უკრაინულმა შვილობილმა საწარმომ განიცადა წმინდა საგადასახადო ზარალი 820 ლარის ოდენობით (2016 წ.: 633 ლარი). ამრიგად, ჯგუფმა არ გადაიხადა მოგების გადასახადი უკრაინაში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა მომდევნო პერიოდებზე შეუზღუდავი ვადით გადატანილი საგადასახადო ზარალი 8,471 ლარის ოდენობით (2016 წ.: 7,650 ლარი) უკრაინაში არსებული შვილობილი კომპანიისგან. რადგან ზემოაღნიშნული ზარალის სამომავლო გამოყენების პროგნოზირება შეუძლებელია, ჯგუფმა აღიარა რეზერვი შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი დინამიკა შესაბამის წლებში ასეთია:

	2016 გადაანგა-რიშებული	*ცვლილება მოგება-ზარალის კონსოლი-დირებულ ანგარიშგებაში ასახვით*	*ცვლილება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახვით*	*2017*
გადავადებული საგადასახადო აქტივები				
მომდევნო პერიოდებში გადატანილი ზარალი	1,377	147	–	1,524
მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივები	**1,377**	**–**	**–**	**1,525**
აუღიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივები	(1,377)	(147)	–	(1,524)
გადავადებული საგადასახადო აქტივები, სულ	**–**	**–**	**–**	**–**

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი დინამიკა შესაბამის წლებში ასეთია:

(ათას ლარში)

7. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

	2015 გადაანგა-რიშებული	*ცვლილება მოგება-ზარალის კონსოლი-დირებულ ანგარიშგებაში ასახვით*	*ცვლილება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახვით*	*2016*
გადავადებული საგადასახადო აქტივები				
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	261	(261)	–	–
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	49	(49)	–	–
სხვა ვალდებულებები	65	(65)	–	–
მომდევნო პერიოდებში გადატანილი ზარალი	1,228	149	–	1,377
მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივები	**1,603**	**(226)**	**–**	**1,377**
აუღიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივები	(1,263)	(114)		(1,377)
გადავადებული საგადასახადო აქტივები, სულ	**340**	**(340)**	**–**	**–**
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები				
ძირითადი საშუალებები	(1,545)	1,004	541	–
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	(44)	44	–	–
არამატერიალური აქტივები	(11)	11	–	–
გადახდილი ავანსები	15	(15)	–	–
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები, სულ	**(1,585)**	**1,044**	**541**	**–**
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	**(1,245)**	**704**	**541**	**–**

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	*2016*
ნედლეული	8,037	3,763
წარმოების დამხმარე მასალა	3,005	1,546
მზა პროდუქცია (წარმოებული)	2,976	1,181
მზა პროდუქცია (იმპორტი)	2,150	1,306
დაუმთავრებელი წარმოება	291	296
სხვა მარაგები	663	334
	17,122	**8,426**

(ათას ლარში)

9. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

სავაჭრო დებიტორული ანგარიშების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურებოდა

	2017	*2016*
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	14,220	8,442
გამოკლებული: საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიში	(2,320)	(1,687)
	11,900	**6,755**

საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშის ცვლილება 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	*2016*
1 იანვრის მდგომარეობით	**1,687**	**1,608**
დარიცხვა წლის განმავლობაში	633	79
31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,320**	**1,687**

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და მათი ვადა, როგორც წესი, 30-90 დღეა.

31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო დებიტორული დავალიანების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

2017	*არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული*	*<30 დღე*	*30-90 დღე*	*90-180 დღე*	*სულ*
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	8,328	2,418	1,141	13	**11,900**

2016	*არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული*	*<30 დღე*	*30-90 დღე*	*90-180 დღე*	*სულ*
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	6,468	211	58	18	**6,755**

10. გადახდილი ავანსები

31 დეკემბრის მდგომარეობით, გრძელვადიან აქტივებში შემდეგი გადახდილი ავანსები აისახა:

	2017	*2016*
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	566	827
კლიენტებისთვის გადახდილი ავანსები (ა)	1,092	99
	1,658	**926**

(ათას ლარში)

10. გადახდილი ავანსები (გაგრძელება)

(ა) ჯგუფი კლიენტებს წინასწარ საზღაურს უხდის ახალი ხელშეკრულებების გაფორმების ან არსებული ხელშეკრულებების განახლებისთვის. ეს ხარჯები გადავადდება მანამ, სანამ არ გახდება ამოღებადი მომავალი მოგებიდან. კლიენტებისთვის გადახდილი ავანსები ამორტიზდება წრფივი მეთოდით ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში, რაც ერთიდან სამ წელს შეადგენს. ამორტიზაციის თანხა აღირიცხება, როგორც გარიგების ფასის შემცირება ფასს 15-ის შესაბამისად.

31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე აქტივებში შემდეგი გადახდილი ავანსები აისახა:

	2017	*2016*
კლიენტებისთვის გადახდილი ავანსები	1,710	296
ნედლეულსა და საქონელში გადახდილი ავანსები	300	259
მარკეტინგულ მომსახურებაში გადახდილი ავანსები	227	–
სესხის ასაღებად გადახდილი ავანსები	–	174
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისთვის გადახდილი ავანსები	–	63
სხვა	558	228
	2,795	**1,020**

11. შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები

	2017	*2016*
ფულადი შენატანი საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციასთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში (მე-14 შენიშვნა)	1,759	1,796
ფულადი შენატანი თიბისი ბანკთან გაფორმებული აგროსესხის ფარგლებში (მე-14 შენიშვნა)	2,600	1,500
გარანტია მომწოდებლის აკრედიტივისთვის	–	13,738
	4,359	**17,034**

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	*2016*
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	16,862	2,093
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	575	306
	17,437	**2,399**

მიმდინარე ანგარიშებს ერიცხება წლიური 2%-5%.

13. კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააქციო კაპიტალი მოიცავდა 520,000,000 ჩვეულებრივ აქციას (2016 წ.: 400,000,000), რომლებიც გამოშვებული და სრულად გადახდილი იყო (2016 წ.: 277,094,255). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 0.00001 ლარი.

(ათას ლარში)

13. კაპიტალი (გაგრძელება)

2017 წლის განმავლობაში ჯგუფმა რამდენჯერმე გამოუშვა აქციები თავისი არსებული აქციონერებისთვის. 2017 წლის იანვარში ჯგუფმა გამოუშვა 92,310,000 ახალი აქცია და მოიზიდა 16,154 ლარი, რათა დაეფარა აქციონერებისგან მიღებული მოკლევადიანი ბრიჯ-კრედიტი. 2017 წლის ივნისში ჯგუფმა დამატებით გამოუშვა 82,547,143 აქცია და მოიზიდა 13,961 ლარი, რათა დაეფინანსებინა ლუდის წარმოებასთან დაკავშირებული საბრუნავი კაპიტალი. 2017 წლის დეკემბერში 67,738,602 აქცია იქნა გამოშვებული და 12,216 ლარი იქნა მოზიდული. მოზიდული თანხით ჯგუფი გაისტუმრებს ვალდებულებებს, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დაუფარავი იყო და აპირებს ლუდსახდელი ქარხნისთვის დამატებითი აღჭურვილობის შეძენას.

აქციონერებმა ჯგუფის სააქციო კაპიტალი მთლიანად ლარში გადაიხადეს და მათ უფლება აქვთ მიიღონ დივიდენდები ლარში.

2017 და 2016 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

შემოსავალი აქციაზე

საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება მოცემული წლისათვის ჯგუფის ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა მოგების/ზარალის შეფარდებით წლის განმავლობაში აქციონერთა მფლობელობაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილთან. ჯგუფის გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე უდრის საბაზისო შემოსავალს ერთ აქციაზე, რადგან ჯგუფს არ აქვს გაზავებადი პოტენციური ჩვეულებრივი აქციები.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია შემოსავლებისა და აქციების შესახებ მონაცემები, რომლებიც გამოყენებულია ერთ აქციაზე საბაზისო და გაზავებული შემოსავლის გამოსათვლელად:

	2017	*2016*
ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისთვის მიკუთვნებადი წლის ზარალი	(14,246)	(210)
ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილი	4,08625,000	197,642,200
საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე	**(0.0000035)**	**(0.0000011)**

14. პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები

	დაფარვის ვადა	*ვალუტა*	*2017*
გრძელვადიანი პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები			
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 18.5 მილიონი ევროს სესხი (ა)	20 ოქტომბერი, 2025 წ.	ევრო	56,307
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 8 მილიონი აშშ დოლარის სესხი (ბ)	31 მარტი, 2021 წ.	აშშ დოლარი	5,175
			61,482
მოკლევადიანი პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები			
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 18.5 მილიონი ევროს სესხი (ა)	20 ოქტომბერი, 2025 წ.	ევრო	1,972
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 8 მილიონი აშშ დოლარის სესხი (ბ)	31 მარტი, 2021 წ.	აშშ დოლარი	2,902
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული 5 მილიონი ლარის სესხი (დ)	15 დეკემბერი, 2018 წ.	ლარი	4,868
სხვა	31 დეკემბერი, 2017 წ.	აშშ დოლარი	53
			9,795
			71,277

(ათას ლარში)

14. პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები (გაგრძელება)

	დაფარვის ვადა	*ვალუტა*	*2016*
გრძელვადიანი პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები			
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 8 მილიონი აშშ დოლარის სესხი (ბ)	31 მარტი, 2021 წ.	აშშ დოლარი	7,611
მოკლევადიანი პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები			
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებისგან მიღებული 8 მილიონი აშშ დოლარის სესხი (ბ)	31 მარტი, 2021 წ.	აშშ დოლარი	3,120
აქციონერებისგან მიღებული 6 მილიონი აშშ დოლარის სესხი (გ)	15 თებერვალი, 2017 წ.	აშშ დოლარი	16,597
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული 0.5 მილიონი ევროს სესხი (გ)	28 თებერვალი, 2017 წ.	ევრო	1,538
აქციონერისგან მიღებული 0.7 მილიონი აშშ დოლარის სესხი (გ)	24 თებერვალი, 2017 წ.	აშშ დოლარი	2,027
5 მილიონი ევროს საბანკო სესხი (გ)	30 ივნისი, 2017 წ.	ევრო	13,791
ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული 1.5 მილიონი ლარის სესხი (დ)	15 ივნისი, 2017 წ.	ლარი	1,482
სხვა	31 დეკემბერი, 2016 წ.	აშშ დოლარი	55
			38,610
			46,221

(ა) 2017 წელს ჯგუფმა ისესხა 12,333 ათასი ევრო ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკისგან და 6,167 ათასი ევრო გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან (DEUTSCHE INVESTITIONS- UND ENTWICKLUNGSGESELLSCHAFT MBH). აღნიშნული სესხი ჯგუფმა გამოიყენა აქციონერებისგან მიღებული მიმდინარე მოკლევადიანი ბრიჯ-კრედიტების დაფარვისა და ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობაში ინვესტირებისთვის.

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებასთან გაფორმებულმა სასესხო ხელშეკრულებამ გარკვეული ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებები დააკისრა ჯგუფის შვილობილ კომპანიას - გლობალ ბიერ ჯორჯიას. ეს ვალდებულებები ამოქმედდება პროექტის დასრულების შემდგომ ფაზაზე - 2019 წლის 20 აპრილიდან.

(ბ) 2011 წელს ჯგუფმა ისესხა 8,000 ათასი აშშ დოლარი საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციისგან (OPIC). 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული სასესხო ხელშეკრულება 18,538 ლარის (2016 წ.: 15,728 ლარი) საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებებითა და სასაქონლო-მატერიალური მარაგებითაა უზრუნველყოფილი.

საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციასთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულება ჯგუფს გარკვეულ ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებებს აკისრებს. ჯგუფმა უნდა შეინარჩუნოს (i) მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებთან თანაფარდობის 2-ზე მეტი კოეფიციენტი, (ii) დავალიანების საკუთარ მატერიალურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი არანაკლებ 1.5-ისა და (iii) სესხის დაფარვის კოეფიციენტი არანაკლებ 1.4-ისა. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულება (iii) დაირღვა, თუმცა ჯგუფმა ამ ვალდებულების დარღვევისთვის სათანადო წესით მოიპოვა ნებართვის წერილი.

(ათას ლარში)

14. პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები (გაგრძელება)

(გ) ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობის დასაფინანსებლად ჯგუფმა მიიღო მოკლევადიანი ბრიჯ-კრედიტები აქციონერებისგან, სხვა დაკავშირებული მხარეებისგან და ქართული კომერციული ბანკისგან. ბრიჯ-კრედიტები სრულად დაიფარა ახალი აქციების გამოშვებით და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისგან და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან მიღებული სახსრებით რეფინანსირებით.

(დ) მოკლევადიანი სესხები ჯგუფმა მიიღო ქართული კომერციული ბანკისგან საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

15. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	2017	*2016*
1 იანვრის მდგომარეობით	**46,221**	**14,759**
ფულადი ნაკადები	13,233	26,472
მოგება-ზარალის ანგარიშში ასახული საკურსო ზარალი	6,358	3,286
მოგება-ზარალის ანგარიშში ასახული ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	3,316	886
დაუმთავრებელ მშენებლობაზე კაპიტალიზებული დანახარჯები, რომლებიც გაიწია ფინანსურ საქმიანობაზე (მე-6 შენიშვნა)	1,710	712
დაუმთავრებელ მშენებლობაზე კაპიტალიზებული საკურსო ზარალი (მე-6 შენიშვნა)	439	106
31 დეკემბრის მდგომარეობით	**71,277**	**46,221**

16. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება ასე გამოიყურებოდა:

	2017	*2016*
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	8,930	3,063
ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობასა და სხვა ძირითად საშუალებებზე გადასახდელი თანხები	5,351	15,004
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარის მიმართ	567	49
	14,848	**18,116**

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება პროცენტიანი არ არის და, ჩვეულებრივ, 30-დან 90 დღემდე ვადაში იფარება.

(ათას ლარში)

17. არამატერიალური აქტივები

31 დეკემბრისთვის არამატერიალური აქტივები მოიცავდა შემდეგს:

	სასაქონლო ნიშნები	*საბუღალტრო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა*	*შემუშავების პროცესში მყოფი პროგრამული უზრუნველყოფა*	*სულ*
თვითღირებულება				
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**30**	**163**	**–**	**193**
შემოსვლები	97	27	253	377
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**127**	**190**	**253**	**570**
შემოსვლები	2	272	–	274
შიდა გადაცემა	–	253	(253)	–
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**129**	**715**	**–**	**844**
ამორტიზაცია				
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**–**	**69**	**–**	**69**
ამორტიზაციის დანარიცხი წლის განმავლობაში	–	21	–	21
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**–**	**90**	**–**	**90**
ამორტიზაციის დანარიცხი წლის განმავლობაში	9	22	–	31
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9**	**112**	**–**	**121**
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**127**	**100**	**253**	**480**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**120**	**603**	**–**	**723**

18. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

ქართული და უკრაინული საგადასახადო გარემო

საქართველოს და უკრაინის საგადასახადო და სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს, და შესაძლოა ხშირი იყოს ცვლილებები. ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღქმა შეიძლება ეჭქვეშ დააყენონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა. ხელმძღვანელობის აზრით, სათანადოდ მოახდინა კანონებისა და რეგულაციების ინტერპრეტაცია და ყველა საგადასახადო რისკი ჯეროვნად წარმოადგინა და აღრიცხა.

უზრუნველყოფისთვის გამოყენებული აქტივები

ჯგუფმა წარმოადგინა ჯგუფის (გარდა მისი ერთ-ერთი შვილობილი კომპანიისა - შპს „გლობალ ბიერ ჯორჯია“) საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები და სასაქონლო-მატერიალური მარაგები საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციისგან მიღებული გარე სესხების უზრუნველსაყოფად. შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები და სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ავტომანქანების გამოკლებით, წარმოდგენილი იქნა ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისა და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან მიღებული გარე სესხების უზრუნველსაყოფად.

(ათას ლარში)

18. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფისთვის გამოყენებულ აქტივებს 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	*2016 გადაანგარიშებული*
იპოთეკით დატვირთული ძირითადი საშუალებები	6,215	6,532
გირაოთი დატვირთული სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8,682	5,555
	14,897	**12,087**

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისა და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფისთვის გამოყენებულ აქტივებს 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	*2016*
იპოთეკით დატვირთული ძირითადი საშუალებები	90,610	–
გირაოთი დატვირთული სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4,876	–
	95,486	–

19. შემოსავალი

	2017	*2016*
შემოსავალი (საკუთარი წარმოების) მზა პროდუქციის გაყიდვიდან	32,717	17,675
შემოსავალი გადაყიდვებიდან	22,258	12,118
	54,975	**29,793**

შემოსავალი საკუთარი წარმოების მზა პროდუქციის გაყიდვიდან მოიცავს შემოსავლებს საკუთარი წარმოების ღვინის, ლუდის, ჭაჭის, ცქრიალა ღვინის, ლიმონათისა და ბრენდის გაყიდვებიდან. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

	2017	*2016*
ღვინო	19,207	15,124
ლუდი	9,412	–
ცქრიალა ღვინო	1,742	1,978
ლიმონათი	1,457	–
ჭაჭა	595	524
ბრენდი	304	49
	32,717	**17,675**

(ათას ლარში)

19. შემოსავალი (გაგრძელება)

ჯგუფი ახდენს სხვადასხვა სახის ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების იმპორტს და შემდეგ ყიდის მათ ქართულ ბაზარზე. მიღებული შემოსავალი პროდუქციის გადაყიდვიდან პროდუქტის ტიპის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2017	*2016*
ლუდი	9,489	4,730
წვენი	3,794	2,315
არაყი	3,321	4,271
ცქრიალა ღვინო	2,811	–
ყავა	2,205	268
ვისკი	385	295
სხვა	236	129
ენერგეტიკული სასმელები	17	110
	22,258	**12,118**

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

ჯგუფმა აღიარა შემოსავლებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2017 წ.	*1 იანვარი , 2017 წ.*
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	11,900	5,754
მიღებული ავანსები	95	140

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. მიღებული ავანსები ითვლება კლიენტებისგან მიღებულ საზღაურად და წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, გადასცეს საქონელი ამ კლიენტებს.

95 ლარის მისაღები ავანსების აღიარებაა მოსალოდნელი შემოსავლის სახით 2018 წლის იანვარში, რაც უკავშირდება საანგარიშგებო თარიღისთვის დასაკმაყოფილებელ ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებას. 2017 წლის განმავლობაში ჯგუფმა აღიარა 140 ლარის ოდენობის შემოსავალი, რომელიც აისახა სახელშეკრულებო ვალდებულებებში საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში.

20. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2017	*2016 გადაანგარიშებული*
საკუთარი წარმოების პროდუქციის თვითღირებულება	17,811	8,113
გადაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	16,622	7,661
	34,433	**15,774**

(ათას ლარში)

20. გაყიდული საქონლის თვითღირებულება (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია თვითღირებულება ხარჯების ტიპების მიხედვით:

	2017	*2016 გადაანგარიშებული*
გადაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	16,622	7,661
ნედლეული	15,040	7,470
ცვეთა	1,145	401
კომუნალური ხარჯები	664	50
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	456	192
სხვა წარმოების დანახარჯები	506	–
	34,433	**15,774**

21. ბიოპროდუქცია

ბიოპროდუქციის სამართლიანი ღირებულება იყო:

	2017	*2016*
1 იანვრის მდგომარეობით	–	–
მოსავლის მოყვანასთან დაკავშირებული დანახარჯები	587	459
სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში გადატანილი ყურძნის მოსავლის სამართლიანი ღირებულება	(840)	(475)
ბიოპროდუქციის სამართლიანი ღირებულების მოძრაობა	**253**	**16**
31 დეკემბრის მდგომარეობით	–	–

ყურძნის მოსავლის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების დროისთვის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. 1 ტონა ყურძნის სავარაუდო საბაზრო ფასი, რომელიც გამოყენებულია 2017 წლის მოსავალთან მიმართებით, არის 1 ლარი.

1 ტონა ყურძნის სავარაუდო საბაზრო ფასის 10%-ით ცვლილება ლარამდე გამოიწვევდა იმ წლის ყურძნის მოსავლის სამართლიანი ღირებულების ცვლილებას 59 ლარით.

წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულების 253 ლარის ოდენობის სარგებელი (2016 წ.: 16 ლარი) აღირიცხა და აისახა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ეს შეფასება წარმოადგენს ყურძნის პირობით ღირებულებას, რომელიც მოსავლის აღებისას გადაიტანება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში.

22. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2017	*2016*
გაყიდვების მასტიმულირებელი და სარეკლამო ხარჯი	4,918	4,110
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	4,299	1,311
ტრანსპორტირების ხარჯები	2,926	1,213
ცვეთა და ამორტიზაცია	2,481	540
საიჯარო და კომუნალური გადასახადები	942	306
რეალიზაციის და მარკეტინგის ხარჯები ექსპორტზე	52	265
სხვა	106	52
	15,724	**7,797**

(ათას ლარში)

23. ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	*2016*
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	2,824	2,220
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	974	393
პროფესიული მომსახურება	835	182
საიჯარო და კომუნალური გადასახადები	539	265
ცვეთა და ამორტიზაცია	446	455
საოფისე ხარჯები	271	126
სამივლინებო ხარჯები	212	162
სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	145	48
კომუნიკაციის ხარჯები	124	68
საბანკო ხარჯები	89	49
დაზღვევა	46	10
საწვავის ხარჯები	41	31
სხვა	601	316
	7,147	**4,325**

პროფესიული მომსახურების გასამრჯელო მოიცავს ჯგუფის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საზღაურს 110 ლარის ოდენობით (2016 წ.: 72 ლარი).

24. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2017	*2016*
ცვეთა (ა)	1,162	–
დებიტორული ანგარიშების რეზერვის დარიცხვა (მე-9 შენიშვნა)	633	79
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები ა)	551	–
სხვა	211	191
	2,557	**270**

(ა) 2017 წელს ლუდსახდელი ქარხანა სრული დატვირთვით არ ამუშავდა. ამის გამო ზედნადები ხარჯები სრულად არ განაწილდა ნაწარმზე დაბალი წარმოებისა თუ მოცდენილი სიმძლავრის გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯი მიეკუთვნა სხვა საოპერაციო ხარჯების კატეგორიას ჯგუფის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

25. რისკის მართვა

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს პროცენტიან სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სხვა მიმდინარე ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა ჯგუფის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობისთვის. ჯგუფს აქვს უშუალოდ თავისი საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული სავაჭრო დებიტორული ანგარიშები, ფინანსური დაწესებულებების მიმართ მთხოვნები და ფულადი სახსრები და მიმდინარე ანგარიშები.

ჯგუფს აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები.

ჯგუფის საბაზრო რისკი უმნიშვნელოა, რადგანაც მას არ აქვს ისეთი მნიშვნელოვანი აქტივები ან ვალდებულებები, რომლებზეც სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა იმერყეველს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო.

ჯგუფის ხელძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას. ჯგუფი საკმაოდ შეზღუდულად ეწევა ისეთ საქმიანობას, რომლის დროსაც ფინანსური რისკის აღება მოუწევდა. ჯგუფი არ ეწევა წარმოებული ინსტრუმენტებით რაიმე საქმიანობას რისკის მართვის ან სხვა მიზნებისთვის.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ჯგუფს ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფის საკრედიტო რისკი წარმოდგენილია სავაჭრო დებიტორული ანგარიშების, შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრების, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრების და მოკლევადიანი ანაბრების აგრეგირებული ნაშთით 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სავაჭრო დებიტორული ანგარიშები

კლიენტის საკრედიტო რეიტინგი ფასდება საფუძვლიანი საკრედიტო ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები. მე-4 შენიშვნაში აღწერილი გარემოებების გამო ჯგუფის შვილობილმა საწარმომ უკრაინაში შეწყვიტა კლიენტებისთვის საკრედიტო ლიმიტების შეთავაზება. თუმცა, 2017 წლიდან ჯგუფმა თავისი ახალი პროდუქციის ხაზების - ლუდისა და ლიმონათის ღირებულების დაგვიანებით გადახდის უფლება მისცა თავის კლიენტებს და ამიტომ 2017 წლის 31 დეკემბრისთვის გარკვეული დებიტორული დავალიანება ვადაგადაცილებულია. ჯგუფი აკონტროლებს ამ დებიტორულ დავალიანებას და ცალკე ახდენს გაუფასურების ანალიზს ყოველი მსხვილი კლიენტისთვის. გარდა ამისა, დიდი რაოდენობით მცირე მოცულობის მოთხოვნები გაერთიანებულია ერთგვაროვან ჯგუფებად და მათი გაუფასურებაც კოლექტიურად ფასდება.

მიმდინარე ანგარიშებზე და მოკლევადიან ანაბრებზე განთავსებული ფულადი სახსრები

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც ანაბრები აქვს განთავსებული, ასევე ყოველდღიურად კონტროლდება ძირითადი კლიენტებისა და შესაბამისი მისაღები ანგარიშების სტატუსიც.

2017 წლის 31 დეკემბერს საკრედიტო რისკის მთლიანი მოცულობა 33,143 ლარს (2016 წ.: 25,882 ლარი) უტოლდებოდა.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. სავალუტო კურსის მერყეობის რისკი ჯგუფს აქვს ძირითადად უცხოურ შვილობილ კომპანიებში წმინდა ინვესტიციებზე.

ჯგუფი კონტრაქტებს აფორმებს აშშ დოლარში, ევროში, გრივნასა და ლარში. ჯგუფი არ იყენებს სავალუტო წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომ დააზღვიოს მომავალი გარიგებები და ფულადი ნაკადები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, რომელ ვალუტებში ჰქონდა ჯგუფს მნიშვნელოვანი რისკი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარში გამოხატულ ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე.

2017	*ლარი*	*აშშ დოლარი*	*უკრაინული გრივნა*	*ევრო*	*სულ*
აქტივები					
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	6,755	592	3,236	1,317	**11,900**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,452	13,478	239	1,268	**17,437**
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	2,622	1,759	–	–	**4,381**
ვალდებულებები					
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	(4,868)	(8,130)	–	(58,279)	**(71,277)**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(6,973)	(928)	(193)	(6,754)	**(14,848)**
ნეტო პოზიცია	**(12)**	**6,771**	**3,282**	**(62,448)**	**(52,407)**

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

2016	*ლარი*	*აშშ დოლარი*	*უკრაინული გრივნა*	*ევრო*	*სულ*
აქტივები					
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	3,837	93	2,321	504	**6,755**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	758	4	199	1,438	**2,399**
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	1,500	1,796	–	13,738	**17,034**
ვალდებულებები					
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	(1,482)	(29,410)	–	(15,329)	**(46,221)**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(2,292)	(1,731)	(42)	(14,051)	**(18,116)**
ნეტო პოზიცია	**2,321**	**(29,248)**	**2,478**	**(13,700)**	**(38,149)**

ქვემოთ მოცემული ანალიზი ითვლის ლარის მიმართ სავალუტო კურსების სავარაუდო ცვლილებების ეფექტს მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის შემთხვევაში. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა ან კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

2017	*სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება*	*გამყარება*	*გაუფასურება*
აშშ დოლარი	13.50%	914	(914)
ევრო	16.00%	(9,992)	9,992
უკრაინული გრივნა	30.00%	985	(985)

2016	*სავალუტო კურსის პროცენტული ცვლილება*	*გამყარება*	*გაუფასურება*
აშშ დოლარი	14.0%	(4,095)	4,095
ევრო	17.5%	(2,398)	2,398
უკრაინული გრივნა	30.0%	743	(743)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ლიკვიდურობის რისკი იმართება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შეფასებით, პროგნოზირებული და ფაქტობრივი ფულადი ნაკადების მონიტორინგით, ასევე ფულადი რესურსების მისადაგებით ფინანსური ანგარიშგების ვადიანობის ანალიზთან.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არადისკონტირებული დაფარვის სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე:

2017	*მოთხოვნამდე*	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	–	1,933	9,366	63,226	17,925	**92,450**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	–	14,848	–	–	–	**14,848**
	–	**16,781**	**9,366**	**63,226**	**17,925**	**107,298**

2016	*მოთხოვნამდე*	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	–	21,100	17,621	9,330	–	**48,051**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	–	18,116	–	–	–	**18,116**
	–	**39,216**	**17,621**	**9,330**	**–**	**66,167**

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ მოძრაობაზე ან სამართლიან ღირებულებებზე. თუმცა, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები არ ახდენს გავლენას ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების არცერთ კომპონენტზე. ყველა პროცენტიან სესხს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები და შესაბამისად ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფი არ დგას საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე ამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს, საემისიო შემოსავალს და კაპიტალის ყველა სხვა რეზერვს, რომლებიც მიკუთვნებადია მშობელი კომპანიის წილობრივი მონაწილეებისთვის და შეფასებულია 70,338 ლარით 2017 წლის 31 დეკემბრისთვის (2016 წ.: 42,692 ლარი).

ჯგუფის მიერ კაპიტალის მართვა, სხვა მიზნებთან ერთად, იმასაც ისახავს მიზნად, რომ დააკმაყოფილოს პროცენტიან სესხებთან და გადასახდელ ანგარიშებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც განსაზღვრავს კაპიტალის სტრუქტურის მოთხოვნებს. ჯგუფმა აიღო სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან, რომელმაც ჯგუფის კაპიტალს გარკვეულ ფინანსური ვალდებულებები დააკისრა (მე-14 შენიშვნა). ჯგუფმა უნდა შეინარჩუნოს მთლიანი ვალდებულებების არამატერიალური აქტივებით შემცირებულ წმინდა აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი არაუმეტეს 1.5-1 დონეზე. ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა ფინანსურ ინსტიტუტს უფლებას მისცემს, რომ დააჩქაროს სესხის დაფარვა.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

	2017	*2016*
სულ ვალდებულებები	**87,853**	**65,384**
კაპიტალი	70,338	46,189
არამატერიალური აქტივები	(723)	(480)
საკუთარი მატერიალური აქტივები	**69,615**	**45,709**
მთლიანი ვალდებულებების არამატერიალური აქტივებით შემცირებულ წმინდა აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი	**1.26**	**1.43**

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

26 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

პროცენტიანი სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

გასს 24-ის *„დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“* მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

(ათას ლარში)

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

27.1 საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან შესაბამის ფინანსურ წელს განხორციელდა:

	შესყიდვები	საიჯარო და კომუნალური ხარჯები	სადაზღვევო ხარჯი	დაკავშირებული მხარეებისთვის გადახდილი ავანსები	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები					
2017					
სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“	–	–	273	94	–
შპს „ნიუ კოფი კომპანი“	2,212	60	–	–	556
სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“	–	–	47	–	23
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“	–	–	–	21	–
2016					
სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“	–	–	20	–	–
სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“	–	–	47	–	–

27.2 საინვესტიციო და ფინანსური გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან შესაბამის ფინანსურ წელს განხორციელდა:

	ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული კაპიტალიზებული დანახარჯები	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ფულადი სახსრების წვდომის სახსრები	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ
აქციონერები				
2017				
სს „ჯორჯია კაპიტალი“ (ა)	337	617	–	954
შპს „ფაიერბერდ რიპაბლიკს ფონდი“ (ბ)	–	29	–	–
შპს „ფაიერბერდ ავრორა ფონდი“ (ბ)	–	29	–	–
2016				
სს „ჯორჯია კაპიტალი“ (ბ)	–	717	–	14,164
შპს „ფაიერბერდ რიპაბლიკს ფონდი“ (ბ)	–	105	–	2,230
შპს „ფაიერბერდ ავრორა ფონდი“ (ბ)	–	105	–	2,230
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები				
2017 საქართველოს ბანკი	–	–	14,377	–
„გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგს ლიმიტედი“ (ბ)	–	27	–	–
2017 საქართველოს ბანკი	–	–	14,146	–
„გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგს ლიმიტედი“ (ბ)	–	139	–	1,538

(ათას ლარში)

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

27.2 საინვესტიციო და ფინანსური გარიგებები (გაგრძელება)

(ა) ჯგუფმა თავის გარანტს - სს „ჯორჯია კაპიტალს“ უნდა გადაუხადოს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისა და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან მიღებული სესხების ძირითადი თანხის 2%. გარანტიაზე გაცემული საკომისიოს 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დარიცხული მთლიანი ოდენობა 954 ლარი იყო.

(ბ) ჯგუფს გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგს ლიმიტედისგან (Galt & Taggart Holding Limited), შპს „ფაიერბერდ რიპაბლიკს ფონდისგან“, შპს „ფაიერბერდ ავრორა ფონდისგან“ და სს „ჯორჯია კაპიტალისგან“ მიღებული აქვს პროცენტიანი სესხები.

27.3 ჯგუფის ხელმძღვანელი პირების ანაზღურება

ქვემოთ ცხრილში მოცემულია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ხარჯად აღიარებული თანხები:

	2017	*2016*
ხელმძღვანელობის სახელფასო ხარჯი	703	610
ხელმძღვანელი პირების პრემიები	400	380
	1,103	**990**

28. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

მართვის მიზნებისთვის ჯგუფი მოიცავს ერთიან სეგმენტს, რომლის ანგარიშგებასაც ახდენს - ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელით ვაჭრობა. ხელმძღვანელობა ორგანიზებას უწევს საკუთარი წარმოების მზა პროდუქციის გაყიდვას და იმპორტირებული საქონლის გადაყიდვას ოთხ რეგიონში: საქართველო, უკრაინა, დსთ-ს სხვა ქვეყნები და სხვა ქვეყნები.

ხელმძღვანელობა აკვირდება გეოგრაფიული ერთეულების საოპერაციო შედეგებს განცალკევებულად, რათა გადაწყვეტილება მიიღოს რესურსების განაწილებასა და შედეგების შეფასებაზე. ამა თუ იმ გეოგრაფიული ერთეულის მიერ მიღწეული შედეგები ფასდება შემოსავლებისა და საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება-ზარალის მიხედვით და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საოპერაციო მოგების ან ზარალის შესაბამისად.

გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაცია შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის	*საქართველო*	*უკრაინა*	*დსთ-ის სხვა ქვეყნები*	*სხვა ქვეყნები*	*გადაუნაწილებელი*	*სულ*
გარე კლიენტებისგან მიღებული შემოსავალი	40,145	5,609	3,814	5,407	–	**54,975**
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(27,308)	(3,078)	(1,406)	(2,641)	–	**(34,433)**
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(3,316)	–	–	–	–	**(3,316)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	169	–	–	–	–	**169**
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე	–	–	–	–	(14,246)	**(14,246)**
მოგების გადასახადის ხარჯი	–	–	–	–	–	–
წლის ზარალი	–	–	–	–	(14,246)	**(14,246)**

(ათას ლარში)

28. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი, 2016 წ.	*საქართველო*	*უკრაინა*	*დსთ-ის სხვა ქვეყნები*	*სხვა ქვეყნები*	*გადაუნაწილებელი*	*სულ*
გარე კლიენტებისგან მიღებული შემოსავალი	18,977	4,959	2,238	3,619	–	**29,793**
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(11,268)	(2,045)	(857)	(1,747)	–	**(15,917)**
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(886)	–	–	–	–	**(886)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	99	–	–	–	–	**99**
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე	–	–	–	–	(394)	**(394)**
მოგების გადასახადის სარგებელი	–	–	–	–	41	**41**
წლის ზარალი	–	–	–	–	(353)	**(353)**

გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაცია გრძელვადიანი აქტივების შესახებ 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის	*საქართველო*	*უკრაინა*	*დსთ-ის სხვა ქვეყნები*	*სხვა ქვეყნები*	*გადაუნაწილებელი*	*სულ*
ძირითადი საშუალებები	102,109	59	–	–	–	**102,168**
არამატერიალური აქტივები	723	–	–	–	–	**723**
სულ	**102,832**	**59**	–	–	–	**102,891**

დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი, 2016 წ.	*საქართველო*	*უკრაინა*	*დსთ-ის სხვა ქვეყნები*	*სხვა ქვეყნები*	*გადაუნაწილებელი*	*სულ*
ძირითადი საშუალებები	71,568	63	–	–	–	**71,631**
არამატერიალური აქტივები	480	–	–	–	–	**480**
სულ	**72,048**	**63**	–	–	–	**72,111**

29. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის მარტში უკრაინის საგადასახადო ორგანოებმა დაიწყეს თელიანი ტრეიდინგ უკრაინის სრული საგადასახადო შემოწმება, რომელმაც მოიცვა 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდი. შემოწმების საბოლოო აქტის გამოშვება აპრილშია მოსალოდნელი. შემოწმების წინასწარი შედეგებიდან გამომდინარე, ჯგუფი არ მოელის რამე მნიშვნელოვანი გადასახადების ან ჯარიმების დამატებით დარიცხვას საგადასახადო შემოწმების შედეგად.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180501773
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	04.05.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	თეა კიკუაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი,ლესელიძის ქ. #17
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593235532, 2 93 30 83
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	06102597598218

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თვრამეტი წლის ოთხ მაისს მე, ნოტარიუსი *თეა კიკუაშვილი*, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. 17-ში, ვადასტურებ თარჯიმანი ქეთევან ყანჩაშვილის (დაბ. 14.09.1982, პირადი # 01003009915, გაც. სრს გლდანის სამსახურის მიერ 20.03.2009; მცხოვრები: ქ. თბილისი, მუხიანი, მე-4 ა მ/რ, კორპ.1, ბ.43, ბაკალავრის დიპლომი AB 0001886 გაც. 2003 წელს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ) ხელმოწერის ნამდვილობას. მე, ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოების არარსებობის შესახებ და რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

On the 04.05.2018 I, Tea Kikuashvili, the notary whose Notary Bureau is located at Tbilisi, 17, Leselidze Street, certify the authenticity of the signature of translator Ketevan Kanchashvili (born on 14.09.1982, personal number 01003009915 issued on 20.03.2009 by CRA Gldani Service; residing at: Mukhiani 4a micro district, Building 1, Apt. 43; Bachelor's diploma AB 0001886 issued in 2003 by Tbilisi Ilia Chavchavadze State University of Language and Culture). I warned the translator that she is responsible for the accuracy of the translation. She confirmed that she properly knows the English language and ensures accuracy of the translation.

*გადახდილია **116-00** ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 31-ე მუხლისა, ასევე დღგ **20.88** ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა. **ორი ეგზემპლარისთვის***

***Fee paid** 116-00 GEL, according to the Article 31st, resolution #507 dated 29.12.2011 adopted by Georgian Government about the fees, the rules of payment and approving the service terms determined for the Notary Chamber of Georgia and for the fulfillment of notary activities, also **VAT** 20.88 GEL, according to Article 169th of Georgian Tax Code (including VAT), also 2-00 GEL, according to the Article 39th resolution (dated 29.12.2011).*

ნოტარიუსი ---------- *თეა კიკუაშვილი*